


ბათუმის შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

მზია ხახუტაიშვილი

ქობულურ-აჭარული  
დედაბრული ხელი



თბილისი 2017

**მზია ხახუტაიშვილი:**  
**ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი**  
გამომცემლობა „ივერიონი“. თბილისი. 2017. გვ. 144.

მონოგრაფია ეძღვნება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, კერძოდ ქობულეთ-აჭარაში გავრცელებული წერის თავისებურ სახეს, „დედაბრულ ხელს.“ მასში განხილულია „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების პალეოგრაფიული, ლინგვისტური და სოციოლინგვისტური თავისებურებები.

ნაშრომი განკუთვნილია ფილოლოგთათვის და მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორები:** შუშანა ფუტყარაძე,  
ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, ემერიტუსი;  
**მამია ფალავა,** ფილოლოგიის მეცნიერებათა  
დოქტორი, პროფესორი.

**რეცენზენტები:** ნანა ცეცხლაძე,  
ფილოლოგიის დოქტორი, ასოც. პროფ.  
**რამაზ ხალვაში**  
ფილოლოგიის დოქტორი, პროფ.

გარეკანზე განთავსებული ანბანის დიზაინის ავტორი  
პროფ. **რ. ხალვაში**

ISBN - SBN 978-9941-27-150-2

**რედაქტორთაგან**

ქართული დამწერლობის განვითარებისა და ხელნაწერი წიგნის ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებს. ისინი ცოცხალი მეტყველების ნიმუშებია და მეტად ღირებულია ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის, დიალექტოლოგიის, სტილისტიკის და ლინგვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით. ამგვარი ტექსტები ასევე მდიდარი ემპირიული მასალაა ენის ისტორიისათვის. ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ „დედაბრული“ დამწერლობა უმძიმეს პერიოდში მკვიდრმა მოსახლეობამ ეროვნული თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად შექმნა, ამიტომაც არის ის ფენომენი. ყველაზე კარგად კი ეს ხელნაწერები ამ საშვილიშვილო საქმეში ქალის როლს გამოკვეთს.

წინამდებარე წიგნი „დედაბრული“, კერძოდ, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების პალეოგრაფიული, ლინგვისტური და სოციოლინგვისტური შესწავლის ცდაა. მასში წარმოდგენილია ამგვარი წერის აქამდე არსებული შეფასებანი და მათი ანალიზი. საკითხით დაინტერესება განაპირობა ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულმა „დედაბრული ხელით“ შესრულებულმა ხელნაწერებმა, ასევე ქალბატონი შუშანა ფუტყარაძის მიერ მოწოდებულმა ინფორმაციამ სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული ცნობების შესახებ. კვლევა მეტად გააღრმავა ქობულეთის მუზეუმში დაცულმა „დედაბრულმა“ ხელნაწერმა და

თურქეთში აღმოჩენილმა ლაპიდარულმა ნარწერამ.

მონოგრაფიაში გამოყოფილია „ქობულურ-აჭარული დედაბრული“ ხელის სხვა ამგვარი ხელნაწერებისაგან განმასხვავებელი ნიშნები.

**წინამდებარე მონოგრაფიის ცალკეული ასპექტი მოსმენილია ადგილობრივსა და საერთაშორისო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე: ინტერკულტურული დიალოგი ერთი ლაპიდარული ნარწერის მიხედვით; ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურა და ხელოვნება: ტრადიცია და თანამედროვეობა“ ბათუმი, 28-29 მაისი, 2014; „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „ქუთაისური საუბრები“ XIII, ქუთ. 2013; ქართული საიდუმლო დამწერლობა - დედაბრული ხელი; მე-2 საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქართული ხელნაწერი“, 25-30 ივნისი, 2013 წელი, თბილისი; დედაბრულის გრაფიკული თავისებურებანი, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 14 ივნისი, 2013 წელი, გორი.**

ცალკეული თემა გამოქვეყნებულია: **დედაბრული ხელით შესრულებულ ხელნაწერთა ზოგი ენობრივი თავისებურება, კულტურათაშორისი დიალოგები, შრომები III, თელავი, 2015; ინტერკულტურული დიალოგი ერთი ლაპიდარული ნარწერის მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VI, გამომც. „უნივერსალი“, ბათუმი, 2015; „დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზი, ქართველური მემკვიდრეობა, XVII, ქუთაისი 2014; ზეპირსიტყვიერების უძველესი ჟანრის ნიმუშები „დედაბრულით“ შესრულებულ ხელნაწერებში, ბსუ-ს ნ. ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების კრებული „გამონათლავი“, I, ბათუმი, 2014; ერთი გრაფემის ხმარებისათვის „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერში“, „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“ - II, ბათუმი, 2014; „წელი**

**მნიგნობრობისაჲ“ აჭარაში, ბსუ-ს ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის კრებული „ფილოლოგიური მაცნე,“ I, თბ. 2013; დედაბრულის გრაფიკული თავისებურებანი, გორი, 2013; ქართველი მუჰაჯირი დედები, ლინგვოკულტურული დიებანი, II, ბათუმი, 2011; ქობულეთელ მუჰაჯირთა ეთნიკური და ენობრივი იდენტობის საკითხები, ლინგვისტური ქართველოლოგიისა და აფხაზოლოგიის პრობლემები, ტ. II, თბილისი 2010; ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი კომპონენტი „დედაბრული ხელი“; ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში, საერთაშორისო კონფერენციის მასალები, I, ბათუმი 2009; დედაბრული ხელით შესრულებულ ხელნაწერთა ზოგი ენობრივი თავისებურება, კულტურათაშორისი დიალოგები, შრომები III, თელავი, 2015.**

ამჟამად მკითხველი იხილავს ამ საინტერესო ფენომენის შესახებ მონოგრაფიას, რომელიც, ბუნებრივია, დაზღვეული არ იქნება ხარვეზებისგან. ავტორი ნებისმიერ თვალსაზრისს მადლიერებით მიიღებს.

## შესავალი

კაცობრიობის მიერ შექმნილ კულტურულ ღირებულებათა შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს წერილობით კულტურას, რომლის წარმოშობისა და განვითარების ისტორია ხშირად განსაზღვრავს ამა თუ იმ ერის ადგილს ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციაში. დამწერლობა და ხელნაწერი მემკვიდრეობა სრულყოფილად ასახავს ერის კულტურულ, სულიერ თუ ინტელექტუალურ განვითარებას. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „კაცობრიობის უტყუარი, ზედმინვენითი ისტორია მხოლოდ დამწერლობის გაჩენის შემდგომ იწყება“ (ჯავახიშვილი, 1949: 1).

ძირძველმა ქართულმა დამწერლობამ განვითარების ხანგრძლივი, ათეულსაუკუნოვანი გზა განვლო. აღსანიშნავია, რომ ხელნაწერი წიგნის ისტორიის საგანძურში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს იმგვარ მემკვიდრეობას, რომელსაც ტრადიცია „დედაბრული ხელით“ შესრულებულს უწოდებს.

„დედაბრული ხელი“ მხედრული ანბანის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული საკმაოდ ორიგინალური დანერგობაა. „დედაბრულით“ შესრულებული ხელნაწერები ფრიად მნიშვნელოვანია როგორც პალეოგრაფიული, ასევე ენათმეცნიერული თვალსაზრისით. ამგვარი ტექსტები ასევე მდიდარი ემპირიული მასალაა ენის ისტორიისათვის, რადგან „ქართული ენის თავისებურებათა შესახებ საერო მწერლობის ძეგლების გარდა, ფრიად ღირებული ლინგვისტური მასალაა ისტორიული საბუთები: სიგელ-გუჯრები, წყალობის წიგნები, კარაბადინები და ა. შ. მათში ეპოქის ენის ვითარება, ცოცხალი მეტყველებისა და, ხშირ შემთხვევაში, ამა თუ იმ დიალექტის თავისებურებაა ასახული“ (ქავთარაძე, 1964: 2). სწორედ ამგვარია „დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები, რომლებიც ცოცხალი მეტყველების ნიმუშები და, ამდენად, ფრიად საინტერესო და ღირებულია.

ჩვენ პირველად ვსაუბრობთ „ქობულურ-აჭარული დედაბ-

რული“ ხელის შესახებ, რადგან ის სხვა ამგვარი ხელნაწერებისაგან განსხვავებით 1. უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობას, 2. განირჩევა გრაფიკული მახასიათებლებით.

წინამდებარე წიგნში „დედაბრული ხელით“, კერძოდ, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები განხილულია სხვადასხვა კუთხით: პალეოგრაფიულად, ლინგვისტურად და სოციოლინგვისტურად. აქვე მიმოხილული და გაანალიზებულია ამგვარი წერის აქამდე არსებულ შეფასებებს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები ცხადად მონიშნავს, რომ აჭარაში ხელნაწერი წიგნის ტრადიცია ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც არ მოშლილა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი შენარჩუნება ისევ და ისევ ქალს უკავშირდება. „დედაბრული ხელით“ წერა აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთ-აჭარაში, რასაც ადასტურებს არა მარტო პირადი წერილები, ავგაროზის ტექსტები, არამედ ხელრთვებიც, რომლებიც არაბულით შესრულებულ ნასყიდობის ტექსტებზეა დადასტურებული.

„დედაბრული ხელი“ წიგნის ხელოვნებასთან დაკავშირებული კულტურის გამოძახილია საქართველოს ძირძველი კუთხის - აჭარის უმძიმეს ისტორიაში. მისი შექმნა ამ შემთხვევაშიც ქალმა იტვირთა; იტვირთა ქრისტიანული მწერლობის ძეგლების გარდამსხვავება, ხელით წერილი განძის შექმნა; იტვირთა ქართული ენის გადარჩენა, ქართული ცნობიერების შენარჩუნება. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ უპირატესად მხცოვანი ქალები წერდნენ.

სამი საუკუნე საკმაოდ დიდი დროა იმისათვის, რომ ერი გადაგვარდეს, სხვა ჯიშსა და სისხლში აღიროს, ამიტომ ღირსსაცნობია, რომ დედასამშობლოს მოწყვეტილ აჭარაში არასოდეს ჩამკვდარა ქართული სიტყვა, უმძიმეს პერიოდში მკვიდრმა მოსახლეობამ ეროვნული თვითმყოფადობა შეინარჩუნა, გაუსაძლის პირობებში აქ შეიქმნა დამწერლობის თავისებური სახე, „დედაბრული“, რომლითაც ისინი ერთმანეთ-

თან წერილობით ურთიერთობას ამყარებდნენ. არანაკლებ მნიშვნელოვანია სამშობლოს მონყვეტილ იმ ქართველთა გულისხმიერება, რომელთაც თურქეთში დევნასა და ტერორში შეძლეს ქართული მეხსიერების, ტრადიციების, ადათ-წესების შენარჩუნება. სწორედ მუჰაჯირებმა შემოინახეს ქართული ყოფისა და კულტურისათვის დამახასიათებელი თავისებურებები, რომლებიც გამოიხატა იქაურთა ქორნილში, სამეურნეო საქმიანობაში, მატერიალურ კულტურაში, ხალხურ სამზარეულოში, ჩაცმულობასა და ა.შ.

## თავი I. „დედაბრული ხელი“ - წერის მანერა

### § 1. „წიგნის წერის ჯელოვნების“ ისტორია საქართველოში

ქართული ანბანური დამწერლობა მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მქონე საქართველოს კულტურის უმნიშვნელოვანესი ნაწილია. იგი მსოფლიოში არსებულ თოთხმეტ ანბანს შორის ერთ-ერთი თვითმყოფადი, მონუმენტური და სრულყოფილი დამწერლობაა. საქართველოში ხელნაწერ ტრადიციასა და წიგნის ხელოვნებას თექვსმეტსაუკუნოვანი ისტორია აქვს.

კალიგრაფია ლამაზად წერის ხელოვნებაა. იგი ისტორიულად მამაკაცის პროფესიად ითვლებოდა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ძველ საქართველოში ეკლესია-მონასტრები გადამწერთა და მწიგნობართა კადრების სამჭედლო იყო. მონასტრის ძმობაში გადამწერლობა - „ჯელი მწიგნობრობისა“ ისეთივე ხელობა იყო, როგორც სხვა“ (დანელია...1997: 286). ამასთან, გადამწერლობა ანუ „წიგნის წერის ჯელოვნება“ (Τεχνη καλλιγραφον) საპატიო და საამაყო პროფესიად ითვლებოდა ძველად (იქვე: 284). აღნიშნული პროფესიით არაერთი გადამწერი ამყობდა, მათ შორის ცნობილი არიან მაკარი ლეთეთელი (IX ს.), მიქაელ მოდრეკილი (X ს.), არსენი (XII ს.), ეფრემი (XII-XIV სს.), ავგაროზ ბანდაისძე (XIV ს.), დავით ალექსის ძე (დავით რექტორი, XVIII ს.), ალექსი-მესხიშვილები (XVII-XVIII სს.), ბედისმწერლიშვილები (XVII ს.), კარგარეთელები (XVI-XVII სს.) და ა. შ. მათ საერო თუ სასულიერო მწერლობის არაერთი უნიკალური ძეგლი გადამწერეს და დაუტოვეს შთამომავლობას.

ძველ საქართველოში ადამიანს შეეძლო თავისთვის რომელიმე წიგნი დაეწერა ან გადაეწერა, მაგრამ ყველას არ ჰქონდა საამისოდ არც დრო და არც „ლამაზი ხელი“, რათა საკითხავი წიგნისათვის შესაფერისი ყოფილიყო. „ყველა „მომგებელი“ (დამკვეთი) ცდილობდა, ხელნაწერი „საკადრისი ჯელით“ ყო-

ფილიყო შესრულებული. ნანერის სტილის დახასიათებისას, ჩვეულებრივ, განარჩევენ „ჰავხელად ნანერსა“ და „კაიხელად ნანერს“. სწრაფად, ულამაზოდ ნანერისათვის ვხვდებით შესიტყვებებს: „უცბა წერა“, ფარჩხად წერა“, „სუბუქად წერა“, „ჰავად ჩხრეკა“, „ჰავი ჴელი“ და ა. შ.“ (დანელია... 1997: 286). ცხადია, წიგნის დანერა-გადანერა ფრიად საპასუხისმგებლო და, ამასთან, საშური საქმე იყო.

საისტორიო წყაროებში ტრადიციულად გადამწერებად მამაკაცები მოიხსენიებიან. ქალის ხელით გადამწერილი ხელნაწერები კი ძალზე ნაკლებადაა შემორჩენილი და ძირითადად ამგვარი მანუსკრიპტები ულამაზო ხელით ნანერია. ცუდი მხედრულით შესრულებულ ხელნაწერებს და ამგვარ წერას ტრადიცია „დედაბრულ ხელს“ უწოდებს. აღსანიშნავია, რომ „ამ რიგის ხელნაწერი წიგნები მართლაც არ გამოირჩევა ლამაზი კალიგრაფიით, ანუ „დედაბრული ხელი“ არც ისეთი დახვეწილი და კლასიკურია. „დედაბრული ხელით“ ხელნაწერთა გადანერა-გამრავლების ტრადიცია გურიაში, კერძოდ, უდაბნოს სავანეში გრძელდებოდა, სადაც მონაზვნები აქტიურად გადამწერდნენ სასულიერო ხასიათის ლიტერატურას“ (ჩელევაძე, 2012: 190).

ამრიგად, ცხადია, რომ ხელნაწერი წიგნის შექმნა, გადანერა და გამრავლება ქართველთათვის ტრადიციული მემკვიდრეობითი კულტურის საგანძურის ერთი დიდი ნაწილია. „წიგნის წერის ჴელოვანთ“ არაერთი უნიკალური ხელნაწერი წიგნი გადაუწერიათ. ამ საგანძურის ნაწილია ქალის მიერ ცუდი მხედრულით, „დედაბრული ხელით“ გადამწერილი ხელნაწერებიც. ტრადიციულად „დედაბრული ხელი“ მარტო ქალის ხელით გადამწერილ ხელნაწერს ნიშნავდა.

## §2. ტერმინ „დედაბრული ხელის“ შესახებ

სამეცნიერო ლიტერატურაში „დედაბრული ხელის“ შესახებ მწირი ინფორმაციაა. ტრადიცია „დედაბრულ ხელს“ „ბლარჯვით“, ცუდი მხედრულით შესრულებულ წერის მანერას უწოდებს. ტერმინის შესახებ კი მეტ-ნაკლებად განსხვავებული მოსაზრებებია, თუმცა ყველა თანხმდება იმაზე, რომ იგი მათ უპირატესად ასრულებდნენ ქალები და სახელწოდებაც სწორედ აქედანაა.

„დედაბრული ხელით“ წერა რომ მანდილოსნებს უკავშირდება, ამას მკვლევართა მოსაზრებაც ადასტურებს. ენციკლოპედიაში „ქართული ენა“ ვალერი სილოგავა წერს: „დედაბრული ხელი“ ქართული მხედრული დამწერლობის სახეობაა. უპირატესად გავრცელებული იყო ქალებს შორის“ (სილოგავა, 2008: 138). ნიკო ბერძენიშვილის აზრით, „დედაბრული ხელი“ ნიმუშია ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა... უმთავრესად ქალებში“ (ბერძენიშვილი... 1948: 324).

თედო სახოკია წერს: „...მანდილოსნებს შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა“ (სახოკია, 1950: 245).

ხარიტონ ახვლედიანი აღნიშნავს, რომ „...ქართული დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დედაბრული ხელის“ სახელწოდებით, რადგან მას უმთავრესად ქალები ხმარობდნენ“ (ახვლედიანი, 1978: 231).


ალ. ფრენკელის ცნობით, „ქართული წერა კარგად იცოდნენ ბეგებმა, განსაკუთრებით კი ქალებმა (ფრენკელი, 1879: 41). ჩანს, საკითხით დაინტერესებული მკვლევრების მოსაზრება ერთგვაროვანია.

იმას, რომ „დედაბრულით“ წერა ქალებს უკავშირდება, ადასტურებს 1914 წელს „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილი გრიგოლ ბურჭულაძის წერილი: „სხვა თუ არა - განსაკუთრებით ქალებშია ქართული ენისადმი სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ“...

ჩვენს ხელთ არსებული „დედაბრული ხელით“ შესრულებული

ბული ხელნაწერების ავტორები ასევე მანდილოსნები არიან. კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის **H 1258 ა** ხელნაწერში ვკითხულობთ: **აიშეი**, ვითარუ წიმიდისა იქანა წუთუსოსა ამასა შინა ითუხოვა უფულისაგანუ, სახელითუ **აიშესუ** (H 1258 ა, 12 r); განეშორენითუ კაცისა აგაროზი ვისაცუ ქონუდესუ სახელითუ **აიშესუ ოქრობელოდულისუ** (ოქროპირიძის - მ.ხ.) ქალუსუ (H 1258 ა, 17 v); მე კუნერუ შენი უმუსახური ძალი დიდი სინატურულითუ (H 1258 ბ); შენი ჭირიმე შენი **ფაშაი** გეყურუბანა (**ბიცოლა გენაცვალა**) (ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი).

„დედაბრული ხელით“ წერა რომ უპირატესად ქალებს უკავშირდება, მოწმობს 80 წლის ფატყუმე მიქელაძის ხელნაწერი, რომელიც 1940 წელსაა შესრულებული. იგი საუბრობს ამგვარი წერის თავისებურებაზე: **„მე ძველებური ქართული წერა ვისწავლე ჩემი ბიბილიადან (მამიდასგან). ბავშვობის დროს ძველი ქართული წერა ქალებმა ვიცოდით“**.



საყურადღებოა შემდეგი დეტალი: ქობულეთის სოფლებში უხუცესებს დღემდე ახსოვთ, რომ მათმა ბებიებმა ამგვარი წერა იცოდნენ და ნაწერისა თუ ინფორმაციის დაფარვის მიზნით ის მიმოწერის „კარგი საშუალება იყო“. ცხადია, ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერებიც ადასტურებს მოსაზრებას, რომ ამგვარი წერა უპირატესად ქალებს შორის იყო გავრცელებული. ამავსე ადასტურებს აჭყვისთაველი რუქიე ინაიშვილი-რომანაძის (1900–1988 წწ.) ხელნაწერი, რომელიც ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული: „ჩუვე დუროს ისე იყო წერა, გაკიკვიდება ჩემუ დანერი რუ წეიკითხაუ“ (ჩვენს დროს ისე იყო წერა, გაგვიკვირდება, ჩემს დანერილს რომ წაიკითხავ).

ტერმინის წარმოშობასთან დაკავშირებით საინტერესოა აკად. ივ. ჯავახიშვილის ცნობა, რომლის მიხედვითაც „დასავლეთ ევროპაში XIII საუკუნეში ლათინური დამწერლობიდან შემუშავდა ე.წ. „გუთური“ დამწერლობა, რომელსაც „მონაზონურიც“ ეწოდებოდა... სახელიც მონაზვნური იმიტომ ეწოდა, რომ გადამწერლობა საშუალ საუკუნეებში უმთავრესად მონაზონთა ხელობას შეადგენდა“ (ჯავახიშვილი, 1949:116).

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა მკვლევარ ნ. ჩელებაძის აზრი, „დედაბრული ხელის“ სხვა სახელწოდების, „მონაზვნურის“, შესახებ. იგი ეყრდნობა ეთ. მჟავიას ცნობას, რომელიც წყაროს არ ასახელებს.

ნ. ჩელებაძე ვარაუდობს, რომ „...იგი ადრე საღვთისმეტყველო დამწერლობის თავისებურ სახესაც წარმოადგენდა“ (ჩელებაძე, 2012: 189). მისი ვარაუდით, „დედაბრული ხელი“ მოგვიანებით ეწოდა, როცა იგი მხოლოდ „საოჯახო“ დამწერლობად გადაიქცა. ტერმინის ეტიმოლოგიას იგი უკავშირებს ასევე „ცუდი კალიგრაფიით წერას“ და იმონებს ქობულეთის ეთნოგრაფიულ ყოფაში დამონმებულ გამონათქვამს – „დედაბრულად მოვჩხაპნე“ (ჩელებაძე, 2012: 189).

ვარაუდი ინტერესმოკლებული არ შეიძლება იყოს, თუკი ჩავთვლით, რომ ამგვარი წერა ზოგადად ცუდ კალიგრაფიას

გულისხმობს და არა ოდენ მონაზონთა მიერ შესრულებულ წერას. ამ ვარაუდს ერთგვარად ამყარებს „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერთა ავტორების აზრი, რომ იგი „ძველებური ქართული წერაა: „მე ძველებური ქართული წერა ვისწავლე ჩემი ბიბლიიდან (მამიდასგან). ბავშვობის დროს ძველი ქართული წერა ქალებმა ვიცოდით“ (ფატყუმე მიქელაძის ხელნაწერი. 1940 წ.). აპოლონ ნულაძე ასევე „დედაბრულით“ შესრულებას „ძველ ქართულ წერას“ უწოდებს (გაზეთი „საქართველო“, 1916, №274).

თუკი დავუშვებთ, რომ „დედაბრული ხელით“ წერა გაცილებით ადრე იღებს სათავეს, სავსებით მისაღებია დებულება, რომლის მიხედვითაც იგი „ძველებური (ძველი) ქართული წერაა“. ის სარწმუნოდ შეიძლება ჩაითვალოს იმ თვალსაზრისითაც, რომ ჩვენს ხელთ არსებული „დედაბრული ხელის“ ორი ხელნაწერი ქალების მიერ შესრულებული სახარების ფრაგმენტების შემცველი ავგაროზის ტექსტებია, ეს კი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ გადამწერლობის ტრადიცია გრძელდებოდა ოსმალთა ბატონობის დროსაც. იდენტობის აუცილებელი ატრიბუტი გადამწერებს (ამ შემთხვევაში - ქალებს) წარსულთან აკავშირებდა.

ისტორიული რეალობა, გარემოებები, რომლებშიც გადამწერებს უხდებოდათ ამგვარი ნიგნების „გარდანუსხვა“, აიძულებდა მათ საჭირო სახარების შემცველი ავგაროზის ტექსტები გაესაიდუმლოებინათ. დასახელებული ტექსტების საჭიროებაზე თავად ხელნაწერთა შინაარსიც მოწმობს: „... წინაშე თვალთა მისთა ეს ებისტოლე ანგაროზი იახლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა ევლიასითა;“ „გადაარჩინე ამ ანგაროზის ბატონი ყოველისა მარცხისაგან...“ სავარაუდოდ, საფუძველი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“, როგორც წერის განსაკუთრებული სახის, ჩამოყალიბებისა, შესაძლოა, სწორედ ეს იყო. აღნიშნულ ფაქტორს შემლოცველის დამოკიდებულებაც ემატებოდა. ეს იმ სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის (მკურნალთა, შემლო-

ცველთა), მეტყველებრივი ნაირსახეობაა, რომლის სიტყვები და გამოთქმები მხოლოდ მათთვის უნდა ყოფილიყო გასაგები. ამგვარი მეტყველებრივი ნაირსახეობა კი არგოა. დაშიფრული გამოთქმები მხოლოდ შემლოცველისათვის უნდა ყოფილიყო გასაგები. შეიძლება ითქვას, ამ რიტუალური არგოს მიზანია, დაფაროს ნათქვამი. იგი ხელოვნურადაა გადასხვაფერებული. გასაიდუმლოებისთვის კი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ წერის სხვადასხვა პრინციპს ეფუძნება. ეს პრინციპები კი გათვალისწინებულია ყველა სხვა ტიპის ტექსტში, მათ შორის, პირად წერილებში. ამგვარი წერა რომ სამუსლიმანო საქართველოში იცოდნენ, ამას ზაქარია ჭიჭინაძეც ადასტურებს: „ალამბარში ყოფნის დროს მაჰმუდ ეფენდი ხახუტოლლი (ხახუტაიშვილი) ენახა. „აღმოჩნდა, რომ მას ქართული წერა-კითხვაც სცოდნიყო, მხოლოდ ჩვენებურათ. „ჩვენებურს“ ესენი მათებურ ქართულს უწოდებენ, რომლის ნიმუშად დ. ბაქრაძის ისტორიულს და არხეოლოგიურს მოგზაურობაშიც არის მოყვანილი“ (ჭიჭინაძე, 2013: 60).

საზოგადოდ ძველ წყაროებში დადასტურებულ დამწერლობათა აღმნიშვნელ ტერმინებზე ივ. ჯავახიშვილი წერს: „ქართულ მრავალსაუკუნოვან მწერლობაში ბევრი სხვადასხვა სახისა და მოყვანილობის დამწერლობა იყო მიღებული“ (ჯავახიშვილი, 1949: 116), თუმცა მკვლევარი იქვე დასძენს, რომ ყველას შესახებ ცნობაცა და სახელწოდებაც იმ დროისთვის არ მოიპოვებოდა. ანტონ კათალიკოსის პოზიციაზე დაყრდნობით ივ. ჯავახიშვილი წარმოგვიდგენს დამწერლობათა აღმნიშვნელ შემდეგ ტერმინებს: „გრგლოვანი“, „ყუავის-ფრჩხილოვანი და ასომთავრული“, „საზენაო“ „საზოგადო“, „ნოტრი“, „თხზული“, „კიდურყვავილოვანი“, „კიდურწერტილოვანი“, „ტყუბწვეტიანი“ (ჯავახიშვილი, 1949: 114). ცხადია, ტერმინი „დედაბრული ხელი“ და ამგვარი წერა აკად. ივ. ჯავახიშვილის „პალეოგრაფიაში“ არ არის დადასტურებული.

რაც შეეხება ტერმინის წარმოშობის ისტორიას, ვალერი სილოგავას მოსაზრებით, იგი სიმონ ჯანაშიას ეკუთვნის. ენციკ-



ლოპედიამი „ქართული ენა“ იგი წერს: „ტერმინი „დედაბრული ხელი“ წერილობით დააფიქსირა აკადემიკოსმა სიმ. ჯანაშიამ 1946 წელს“ (სილოგავა, 2008: 138). ვ. სილოგავას მოსაზრებას ვერ დავეთანხმებით, რადგან პროფესორი შუშანა ფუტკარაძე სტამბოლის კათოლიკური ეკლესიის საცავში წააწყდა 1916 წელს გამოცემულ გაზეთ „საქართველოს“. აქ დაბეჭდილ სტატიამი აპოლონ წულაძე „დედაბრულის“ შესახებ წერს: „ჩემს ყმანვილობაში ასეთი ხელით სწერდნენ... მოხუცებული ქალები. დღეს კი **„დედაბრული“** ხელით ანუ, როგორც წინა დედადნენ „მხედრული“ ხელით, აღარავინ სწერს და მაშასადამე, წამკითხავიც აღარავინაა“ (გაზეთი „საქართველო“, 1916, №274). ამრიგად, ცხადია, რომ ეს ტერმინი სიმონ ჯანაშიამდეც არ იყო უცხო.

ამრიგად, ტერმინი „დედაბრული ხელი“ პირველად სიმონ ჯანაშიამ დააფიქსირა 1946 წელს, ხოლო 1948 წელს ნიკო ბერძენიშვილმა გამოიყენა. ეს ტერმინი არ მოიხსენიება ივ. ჯავახიშვილთან („ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია“ გამოიცა 1949 წელს). საფიქრებელია, რომ ავგაროზის ტექსტები, მათი შინაარსის გამო, ვერ გახდებოდა მეცნიერის კვლევის საგანი.

1873 წელს ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, გამოავლინა წერის ამგვარი მანერა – „დედაბრული“.

წერილობითი ტრადიცია ამ ტერმინს იცნობს XX საუკუნის 40-იანი წლებიდან. ზეპირ მეტყველებაში, სავარაუდოდ, მუჰაჯირობის (1877-78 წწ. რუსეთ-თურქეთის ომის) შემდგომ.

ამრიგად, „ტერმინი „დედაბრული ხელი“ პირველად 1916 წელს გამოიყენა აპ. წულაძემ. თავდაპირველად „დედაბრული ხელით“ წერა უპირატესად ქალებს უკავშირდებოდა, ტერმინიც აქედან მომდინარეობს. ძველებური ქართული წერა, გადამწერლობის ტრადიცია, გრძელდებოდა ოსმალთა ბატონობის დროსაც. სწორედ ამ პერიოდში დაეკისრა „დედაბრულს“ ეროვნული თვითმყოფადობის დაცვა. ამგვარი, კონკრეტული

პროფესიული წრის (მკურნალთა, მლოცველთა და შემლოცველთა) მეტყველებრივი ნაირსახეობა არგოა, რათა იგი სხვათათვის გაუგებარი ყოფილიყო და გასაიდუმლოებული ურთიერთობისთვის გამოსაადეგარი.


მოკლედ, ტერმინმა „დედაბრულმა ხელმა“ ახალ სოციო-კულტურულ გარემოში ახლებური შინაარსი შეიძინა. ის რეინტერპრეტირებულია.

### § 3. ცნობები „დედაბრული ხელის“ შესახებ


„დედაბრული ხელის,“ წერის ამგვარი მანერის, შესახებ, როგორც აღვნიშნეთ, მწირი ცნობებია სამეცნიერო ლიტერატურაში. მასზე გაკვრით საუბრობენ ნ. ბერძენიშვილი, დიმ. ბაქრაძე, თ. სახოკია, ვ. სილოგავა, თ. ხაჭომია, ხ. ახვლედიანი და ა.შ. მკვლევართა უმრავლესობის აზრით, „დედაბრული“ წერის ძალიან საინტერესო მანერაა, ქალის ხელით შესრულებული. ხშირ შემთხვევაში ამგვარ წერას „ძველებურ ქართულსაც“ უწოდებენ.

ისტორიკოსმა დიმიტრი ბაქრაძემ, რომელმაც 1873 წლის ზაფხულში იმოგზაურა გურიასა და აჭარაში, ფასდაუდებელი საისტორიო მასალა მოიძია აღნიშნული რეგიონის ყოფისა და მატერიალური კულტურის შესახებ. ისტორიკოსი განსაკუთრებით მოიხიბლა ოსმალთა ბატონობის ქვეშ მყოფ აჭარელთა ყოფისა და ტრადიციების ერთგულებით, გადარჩენილი ეთნომენტალობით. დიმიტრი ბაქრაძე აღაფრთოვანა ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთმა კომპონენტმა, ქართული დამწერლობის ნიმუშებმა, „დედაბრული ხელით“ შესრულებულმა ხელნაწერებმა. ღვანლმოსილმა ისტორიკოსმა პირველმა დაახასიათა აღნიშნული ხელნაწერები: „იქ (ქობულეთში. მ. ხ.) დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე, ძნელად გასარჩევია, ყოველ შემთხვევაში ქობულურ-აჭარული წერილები, რომლებიც გურიაში მიჩვენეს,

ძნელად იკითხება“ (ბაქრაძე, 1987: 73). დიმიტრი ბაქრაძემ ამ-  
გვარი წერის ორსტრიქონიანი ნიმუშიც გამოაქვეყნა (ბაქრაძე,  
1987).



„დედაბრული ხელის“ შესახებ ნიკო ბერძენიშვილი წერს:  
„დედაბრული ხელი“, ნიმუში ქართული დამწერლობისა, რომე-  
ლიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში,  
უმთავრესად ქალებში. ავტორი იქვე დაურთავს ნიმუშს (ბერ-  
ძენიშვილი... 1948: 324).




„დედაბრული ხელი“, ნიმუში ქართული დამწერლობისა, რომელიც  
იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართველ მოსახლეობაში. უმთავრესად  
ქალებში. აქ წარმოდგენილია აჭარელი ქლის ტრაპიზონიდან აჭარაში  
გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტი.

თედო სახოკია აღნიშნავს: „აჭარელ მანდილოსნებს შორის  
არის დაცული ძველებური ქართული წერა“ (სახოკია, 1950:  
245) და ასევე დაურთავს „მაშინდელ აჭარელ ქალების და-  
მწერლობის ნიმუშს“ (იხ. გვ. 19).

წერის აღნიშნული მანერის შესახებ საუბრობს ხარიტონ ახვ-  
ლედიანი და ტერმინსაც იმონებებს: „აჭარისა და ოსმალის მაჰ-  
მადიან ქართველობაში უკანასკნელ დრომდე დაცული ქართუ-  
ლი დამწერლობის განსაკუთრებული სახე ცნობილი იყო „დე-  
დაბრული ხელის“ სახელწოდებით“ (ახვლედიანი, 1978: 231).

აქვე მოხატავეთ მარჯვენა ხელის დაწერის ნიმუში



თვით ეს ხელნაწერი ასე იკითხება:  
ანუ ამას მოგახსენებ ჩვენ ე(ე) რომ ქე თქუით ჩუვენი ქება;  
ბინას ჩუვენს უყუარართ, უყუესი არ იქნება;  
განუ გური (?) წელს უხმივართ, რომ არ წუედეთ, არ იქნება;  
ღონ ღოდო, თლათ უნდა დაუჯდეთ, თლათ ქვეყანა განათოდება.


1914 წელს „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილ სტატიამი „ქა-  
რთული ენა ქართველ მაჰმადიანებში“ გრიგოლ ბურჭულაძე  
„დედაბრული ხელით“ წერის თავისებურებების შესახებ წერს:  
„სხვა თუ არა - განსაკუთრებით ქალებშია ქართული ენისადმი  
სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად  
აქვთ... ეს ასოები ძრიელ ცოტა ნააგვანან ახლანდელ ქართულ  
ასოებს; ასე რომ, მე ვერც ნავიკითხე. ეს მეორედ არის, ისეთი  
ასოებით დანერილს წერილსა ვხედავ ქართულს ენაზე; პირვე-  
ლად პოცხოვის ხეობაში ვნახე ამ 15 წლის წინად“ (ბურჭულა-  
ძე, 1914: №1169).

აპოლონ ნულაძე 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ წერს:  
„ქართველმა მუსლიმანებმა მტკიცედ შეინახეს და დაიცვეს  
ქართული ენა და, წარმოიდგინეთ, ძველი ქართული წერაც კი  
(გაზეთი „საქართველო“, 1916, №274). ცხადია, რომ მკვლევარ-  
თა მოსაზრება ერთგვაროვანია იმ თვალსაზრისით, რომ „დე-  
დაბრული ხელი“ უპირატესად ქალებში იყო გავრცელებული.  
რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ისინი აჭარაში გავრცელებულ  
წერას მეტად თავისებურს უწოდებენ.


ამრიგად, 1873 წელს (რუსეთ-თურქეთის ომამდე) დიმიტრი ბაქრაძემ გამოაქვეყნა „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული წერილის ფრაგმენტი, ამავე პერიოდში, 80-90-იან წლებში, თედო სახოკიამ ქედაში დაადასტურა ამგვარი ნიმუში, 1948 წელს ნიკო ბერძენიშვილმა ის დაუკავშირა გამაჰმადიანებას.

გამოვლინდა კონკრეტული მასალები, რომლებზე დაყრდნობითაც ქვემოთ ვსაუბრობთ.

## თავი II. ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი



ხელნაწერთა გროგნული ცენტრის H ფონდის 2983 (12r-13v) ხელნაწერი



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის Qd ფონდის 3351 r

„ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში“ რიგი ხელნაწერის შესახებ ვკითხულობთ: შესრულებულია „დედაბრულით“ (შდრ. H 556, 557, 563, 564 და ა. შ. (ქსა, 1951: 28, 31)). კორნელი კეკელიძის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამგვარი ხელნაწერი საკმაოდ ბევრია, რომლებიც ძირითადად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მცხოვრები ქალის ხელითაა შესრულებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დედაბრული ხელი“ ცუდი მხედრულით შესრულებული წერის მანერაა და დასახელებული ხელნაწერებიც სწორედ ამგვარია. ისინი უმთავრესად ქალის ხელითაა შესრულებული.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ზემოხსენებული მანუსკრიპტები, მართალია, ცუდი მხედრულითაა შესრულებული, მაინც იოლად, საკმაოდ გარკვევით იკითხება, რასაც ვერ ვიტყვით ქობულეთ-აჭარაში დაცულ „დედაბრულით“ შესრულებულ ხელნაწერებზე და ზოგადად აქ გავრცელებულ წერის მანერაზე. დასახელებულ რეგიონშიც ამგვარი წერა ქალს უკავშირდება, რასაც ადასტურებს ხელნაწერები, რომელთა ავტორებად ქალები გვევლინებიან; ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H 1258 ა და ბ, ქობულეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერები, კერძო წერილები, ანბანის ნიმუშები და ა.შ.

თუ „დედაბრულ ხელს“ ყველა ცუდი კალიგრაფიით, ულამაზო მხედრულით შესრულებულ ხელნაწერებსა და ზოგადად ამგვარი წერის მანერას ვუნოდებთ, მაშინ უპრიანი იქნება, ქობულეთ-აჭარაში გავრცელებულ წერის თავისებურებას ვუწოდოთ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“. ამ უკანასკნელს დიმიტრი ბაქრაძე იყენებს „დედაბრულით“ შესრულებულ წერილებზე საუბრისას: „იქ (ქობულეთში. მ. ხ.) დღემდე ხმარობენ ქართულ დამწერლობასაც, მაგრამ იგი, თუ არ შეეჩვიე, ძნელად გასარჩევია, ყოველ შემთხვევაში ქობულურ-აჭარული წერილები, რომლებიც გურიაში მიჩვენეს, ძნელად იკითხება“ (ბაქრაძე, 1987: 73).

თ. ხაყოშია „დედაბრულ ხელს“ ქართული დამწერლობის ერთ-ერთ თავისებურ სახეს უწოდებს და პირველ რიგში

ასახელებს სწორედ „ქობულურ-აჭარული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებსა (**H1258 ა, ბ**) და, მათ შორის, ნ. ბერძენიშვილის ხელნაწერს – თურქეთიდან მუჰაჯირი ქართველის მიერ გამოგზავნილს. მკვლევარი დასძენს, რომ „ამ სახის დამწერლობით მხოლოდ ქალები აწარმოებდნენ მიმონერას და მას გადასცემდნენ თაობიდან თაობას“ (ხაჟომია, 1949: 87). თ. ხაჟომიას აზრით, „ანალოგიური დამწერლობით შესრულებული საბუთები დადასტურებულ იქნა სიმ. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებაშიაც“ (ხაჟომია, 1949: 87).

გაირკვა, რომ თ. ხაჟომია ერთმანეთთან აიგივებს Qd ფონდის 3580, 3351, 3578 ხელნაწერებს, რომლებიც გურიაში შესრულებული ისტორიული საბუთები და ნასყიდობის დოკუმენტებია. მკვლევრის მიერ „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებად მიჩნეული ეს უკანასკნელი ტექსტები, უმნიშვნელო გრაფიკული მსგავსების მიუხედავად, მეტად ახლოა მხედრულთან, ვიდრე „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზის ტექსტები თუ პირადი წერილები, რომელთა თავისებურებებზე იმთავითვე საუბრობდნენ დიმიტრი ბაქრაძე, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ბერძენიშვილი, აპოლონ ნულაძე, გრიგოლ ბურჭულაძე და სხვანი.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები არის პირადი წერილები, ავგაროზები და ნასყიდობის დოკუმენტებზე არსებული ხელრთვები. ასევე გვხვდება ლაპიდარული წარწერაც. ამგვარი წერა საგრძნობლად განსხვავდება „დედაბრული ხელით“ შესრულებული ყველა სხვა ხელნაწერისაგან. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არაერთი განმასხვავებელი პალეოგრაფიული ნიშანი შეიძლება გამოიყოს, რომლებიც მათ ორიგინალურობაზე მეტყველებს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის განსაკუთრებულობას ასევე ადასტურებს **H ფონდის 1258 ა და ბ ხელნაწერთა** აღწერილობა: „იგი მეტად თავისებური („აჭარული“) მხედრულია“ (ქხა, 1948).

დიმიტრი ბაქრაძე, რომელმაც პირველმა დაახასიათა „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები, აღნიშნავს: „მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად არის შეცვლილი ან დამახინჯებულია“ (ბაქრაძე, 1987: 73). ამდენად, ცხადია, რომ ამგვარი წერის თავისებურებებს ისტორიკოსის ყურადღება მიუქცევია.

ღირსსაცნობია, რომ 1914 წელს „სახალხო გაზეთში“ გრიგოლ ბურჭულაძე „დედაბრული ხელით“ წერის თავისებურებასთან დაკავშირებით წერს: „ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ... მიწერ-მოწერისათვის **განსაკუთრებული ასოებიც კი შეუქმნიათ მაჰმადიან ქართველებს**“. ეს ასოები ძრიელ ცოტა წააგვანან ახლანდელ ქართულ ასოებს; ასე, რომ მე ვერც წავიკითხე“ (ბურჭულაძე, 1914: №1169).

აპოლონ ნულაძე 1916 წელს გაზეთ „საქართველოში“ წერს: „ქობულეთსა და აჭარაში თუ კიდევ მოიპოვებიათ ხანუმები, ქართულ ენაზე, ქართული ასოებით (ანბანით) მიწერ-მოწერის მცოდნენი, ეგ დიდი საკვირველი არ არის, რადგან ახლოს არიან ქრისტიან ქართველებთან“ (ნულაძე, 1916).

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ყველა პალეოგრაფიული ნიშნის მიხედვით ჭეშმარიტად უნიკალური დაწერილობის სახეა და მისი ორიგინალურობის საფუძველი კი ის ისტორიული რეალობაა, რომელშიც დასაბამი მიეცა ამგვარ წერას.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში „დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები „ავჯელად“ ნაწერია. ეს ტერმინი თავდაპირველი მნიშვნელობითაა რეალიზებული.

ჩვენ პირველად ვსაუბრობთ „ქობულურ-აჭარული დედაბრული“ ხელის შესახებ, რადგან ის სხვა ამგვარი ხელნაწერებისაგან განსხვავებით 1. უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობას; 2. განირჩევა გრაფიკული მახასიათებლებით.

## § 1. ეპოქა, რომელშიც „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ შეიქმნა

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი,“ წერის საკმაოდ თავისებური და, ამასთან, ორიგინალური მანერა, შეიმუშავეს იმ ავბედით ეპოქაში, რომელიც ოსმალთა ბატონობას უკავშირდება, შესაბამისად, მის თავისებურებებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ისტორიული ვითარების გათვალისწინება, რომელმაც მისი შექმნის აუცილებლობა შეაპირობა.

XV-XVI საუკუნეები აჭარის ისტორიაში ძნელბედობის ხანაა. ამაზე საისტორიო წყაროები მეტყველებენ. აღზევებული ოსმალეთის იმპერია თანდათან აფართოებს თავის საზღვრებს ჩრდილოეთის მიმართულებით. XVIII საუკუნის პირველი მესამედიდან თურქთა ბატონობის ქვეშ სამცხე-საათაბაგო, მეორე ნახევრიდან კი აჭარა მოექცა. ბარბაროსებს ერთი მიზანი ჰქონდათ: ისლამის გავრცელება და ეროვნული სულის ჩახშობა. მათ ომი გამოუცხადეს ქრისტიანობას, ქართველთა ენას და ზნე-ჩვეულებებს. ადგილობრივი მოსახლეობა ვერ ურიგდებოდა ოსმალთა მიერ ძალით თავს მოხვეულ მაჰმადის სჯულსა და მის რეჟიმს. ოსმალთა უღელქვეშ მყოფნი დღითიდღე აუტანელ პირობებში ცვიოდნენ. მტარვალნი ცდილობდნენ აჭარლებში მიეძინებინათ ეროვნული გრძნობა, დაევიწყებინათ ის, რაც მათ მამა-პაპასთან, ქართველებთან აკავშირებდათ. „ყოველ აჭარელს, შავშელს, ლივანელს, მაჭახლელს და სხვათაც მეტად დიდი სისხლი აქვსთ ოსმალთ წინაშე დაღვრილი სჯულისა და ქვეყნის გულისთვინ,“ – ასე გვაუწყებენ ქართული წყაროები იმ ავბედითი ეპოქის შესახებ.

მიტაცებულ პროვინციებს ქართველი ფაშები და ბეგები მართავდნენ, არ შექმნილა არცერთი კულტურის ძეგლი, არცერთი წიგნი თუ მხატვრული ნაწარმოები.

ოსმალთა ბატონობის სუსხსა და სიმკაცრეზე ამავე პერიოდის „უამთააღმწერნი“ მოგვითხრობენ: „აქ არ არის სახალხო სკოლები, წიგნიერება დაცემულია, საკუთარი ლიტერატურის

რაიმე ნიშანიც კი არ არსებობს“ (ფრენკელი, 2012: 120). „რაც შეეხება სასულიერო სკოლებს, ისინი შედარებით უკეთეს მდგომარეობაში დაგვხვდა. ყოველ ჯამესთან არის სკოლა, სადაც უმთავრესად ყურანი ისწავლება. ასეთ სკოლასთან მიახლოებისას ისმის ხმაური და ყვირილი... ეს ანბანის გაზეპირებაა... იშვიათად რომელიმე მოსწავლეთაგანმა ისწავლოს კითხვა ან წერა; თუ ასეთი ნიჭიერი აღმოჩნდება, მაშინ გენიოსს „ვაყუფის“ ხარჯზე გზავნიან ბათუმის მედრესეში. მედრესე – ეს გიმნაზიის ან სემინარიის მსგავსი სასწავლებელია. საყურადღებოა ქუჩის, ანუ საზოგადოებრივი მწერლები, რომლებიც წერენ ყოველგვარ თხოვნას, საქმიან ქალაქებს და სხვა. ეს სპეციალობა შემოსავლიანია, რადგან მხარეში წერა-კითხვის მცოდნე ცოტაა“ (ფრენკელი, 2012: 129).

დიმიტრი ბაქრაძე წერს: „თურქულმა ენამ აჭარაში ამ ბოლო დროს მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია. ...თურქული ენა უკვე აშკარად ებრძვის ეროვნულ ენას. ... მათი ენა, თითქოს მოარულმა სენმა მოიტანაო, ემუქრება ადგილობრივი ენის არსებობას. აქ ყოველ მეჩეთთან არის სკოლა. ისლამის ბრალია, რომ ქართული ენა სულ ერთიან დათრგუნულია“ (ბაქრაძე, 1987: 73). მაშასადამე, ცხადია, რომ „დამპყრობელთა ძალადობისა და ისლამის გავლენით ვაჟებში თითქოს ნელდებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი. ეროვნულ თვითშეგნებას, მშობლიურ ენასა და მნიშვნობრობას ძირითადად ინახავდნენ ქალები“ (ხახუტაიშვილი, 2011: 281).

1914 წელს „სახალხო გაზეთში“ დაიბეჭდა გრიგოლ ბურჭულაძის წერილი „ქართული ენა ქართველ მაჰმადიანებში“, რომელშიც იგი საუბრობს ქართული ენის ბედზე აჭარაში: არაერთხელ თქმულა და დაწერილა, ქართულ ენას სდევნიან ბათუმის ოლქშიო. ამ ოლქში უკვე რამდენიმე სკოლაა დაარსებული, ახლების გახსნასაც აპირებენ. მაგრამ არც ერთ მათგანში ქართულის სწავლება არ არის აღიარებული. მასწავლებლებად თითქოს განგებ ჰნიშნავდნენ თათარს, ბერძენს,

რუსს. ზოგ ადგილას ქართველსაც აწესებენ, მაგრამ ქართულის სწავლების ნებას კი არ აძლევენ. ხალხს კი დიდი სურვილი აქვს თავისი დედა ენა, ქართული იცოდეს; წერა-კითხვა მაინც შეისწავლოს... ზოგმა მასწავლებელმა... უჩუმრად შემოიღო ქართულის სწავლება თავის სკოლაში, მაგრამ ამ გაბედულობისათვის კაი-კაი მათრახები მიიღო ცნობილ კასპარიანცის დროს...”

დასასრულ, გრ. ბურჭულაძე საუბრობს ქობულეთელ მაჰმადიანთა მძიმე ყოფაზე და მიმართავს ქართველობას, „ყურადღება მიაქციოს ამ ჩვენს გაჭირებულ მდგომარეობას, გვიპატრონონ და გაგვიხსნან ისეთი სკოლები, სადაც ყველა საგნების სწავლება ქართულად სწარმოებდეს“ (ბურჭულაძე, 1914: №1169).

დამპყრობთა ამგვარი სისასტიკის მიუხედავად, მოსახლეობა ლაპარაკობდა ქართულად და ქართულ ზნე-ჩვეულებებს ინარჩუნებდა. მათ შემოინახეს ხალხური სიბრძნის, ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშები - საკუთარი იდენტობის ძირითადი ნიშანი, ქართველობის შენარჩუნების უმთავრესი პირობა.

ცნობილია, რომ „ეროვნული კულტურის დაცვის მოვალეობა ქართველმა ქალმა ბევრი ხიფათის დროს იკისრა და შეასრულა კიდევ. ოსმალო დამპყრობთა ძალადობისა და ისლამის გავლენით ვაჟებში ქრებოდა ქართულის ცოდნა და იფერფლებოდა ქართველობის გრძნობაც კი. ეროვნულ თვითშეგნებას ქართულ ენასა და მწიგნობრობასთან ერთად ინახავდნენ ქალები. აჭარელი ქალები - ოჯახის ბურჯები, ცდილობდნენ გადაენერათ, შეენახათ, რათა შთამომავლობისათვის გადაეცათ ისეთი წიგნი, როგორიცაა სამკურნალო წიგნი – კარაბადინი“ (სურმანიძე, 1996: 14). ასეთმა ორიენტაციამ გააღვივა მშობლიური ენისა და დამწერლობის სიყვარული. ხალხმა დაიწყო თითო-ოროლა შემორჩენილი ქართული წიგნის გადაწერა-გამრავლება.

1914 წელს „სახალხო გაზეთში“ გრიგოლ ბურჭულაძე ხაზ-

გასმით საუბრობს აჭარელი ქალის ღვანლის შესახებ: „სხვა თუ არა - განსაკუთრებით ქალებშია ქართული ენისადმი სიყვარული გავრცელებული; ამათ მიწერ-მოწერა ქართულად აქვთ. გულო ალა კაიკაციშვილის ოჯახში, ქობულეთში, მე ვნახე ქართულ ენაზე დანერილი მოკითხვის წერილი, რომელიც მოუვიდა გულო-ალა კაიკაციშვილის ცოლს თავის ძმის ცოლისაგან. მიწერ-მოწერისათვის **განსაკუთრებული ასოებიც კი შეუქმნიათ მაჰმადიან ქართველებს**“. გრიგოლ ბურჭულაძე იქვე დასძენს, რომ „ზემოდ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორი სამშობლოსადმი სიყვარულით აღსავსე გული უცემთ ქართველ მაჰმადიან ქალებს“ (ბურჭულაძე, 1914: №1169).

აჭარელი ქალის რწმენისა და ეროვნული თვითმყოფადობის აუცილებელი პირობის, ენისა და დამწერლობის ერთგულების დასტურია ხალხში გავრცელებული თქმულებები. მათ შორის საინტერესოა ემენ დავითაძის მიერ ჩანერილი ერგესხეველ „დიდნენედ“ ნოდებულ, ვინმე მერიემ მიქელაძეზე თქმული ხალხური ლექსი:

„დუნია რომ მოიარო, ვერსად ნახო მისებრ ქალი,  
დიდი ნენე მერიემი, თელი ერგეს ზისა თვალი,  
დედაბრულის წერა იცის, არ გასწირა მისი ძველი,  
იგი ჯამეს სტუმარია და ქილისეს მასპინძელი“ (დავითაძე, 1990: 99).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ჟურნალისტ ხათუნა ბახტურიძის სტატია, რომელშიც რესპონდენტი ხელვაჩაურის რაიონის სოფელ მეჯინისწყლელი 82 წლის ნიაზ ომერაძე თავისი დიდი ბებიას შესახებ ყვება: „თავადის ქალი იყო, ბაბუ, და მშობლებმა ყმანვილქალობაშივე ასწავლეს, როგორც ქართული, ისე არაბული, ლათინური და თურქული წერა-კითხვა. მის მიერ შედგენილ ანბანს კი „დედაბრული ჰქვია“ და აჭარის სახელმწიფო მუზეუმში დღემდე ინახება. 14 წელი ვიმუშავე მუზეუმში, მაგრამ ოცნებაშიც კი ვერ წარმომედგინა, რომ „დედაბრულს“ ხელით შევცხებოდი. საიდუმლო საცავშია შენახული და იქ შესვლის უფლება მხოლოდ გამგეს და დი-

რექტორს აქვთ. როდესაც მუზეუმის გამგე ჩემი ყოფილი მოსწავლე, ნაზი მიქელაძე გახდა, მითხრა, - თუ გინდა, საცავში შევიპაროთ და შენი ბებოს ხელნაწერი ვნახოთო. შესვენებაზე, ყველანი რომ წავიდ-წამოვიდნენ, შევედი და ვნახე ის დალოცვილი... მთლად გაყვითლებული იყო... რომ გადავშალე, პირველ ფურცელზე ეს ლექსი ეწერა:

„დუნია რომ მოიარო, ვერსად ნახო მისებრ ქალი.

დიდი ნენე მერიემი - მთელი ერგეს არის თვალი.

იცის წერა, იცის კითხვა და ლექსები გრძელზე გრძელი.

იგი ჯამეს სტუმარია და ქილისეს მასპინძელი“ (ყურნალი „გზა“).

ნაკლებ სარწმუნოა, რომ „დედაბრული“ მერიემ მიქელაძის მიერაა შექმნილი, თუმცა მისი ღვანწლი კუთხისა და ხალხის წინაშე უდავოდ რეალობა იქნებოდა.

აპოლონ წულაძის ცნობით, „დედაბრული ხელით“ წერის აუცილებლობა შეაპირობა იმ ისტორიულმა რეალობამ, რომელიც ოსმალთა ბატონობამ მოიტანა აჭარაში. „სარწმუნოების სხვადასხვაობამ და სხვა და სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომობამ ქართველი მუსლიმანები დროებით დააშორა ღვიძლ ძმებს, განაყოფ ბიძაშვილებს - ქართველ ქრისტიანებს. მიუხედავად რამოდენისამე ას წლის ასეთ მდგომარეობისა, ქართველმა მუსლიმანებმა მტკიცედ შეინახეს და დაიცვეს ქართული ენა, და წარმოიდგინეთ, ქართული წერაც კი. ერის საუკეთესო საუნჯე, ერის დიდება და მშვენიერება, ქართული ენა დაიცვეს ქალებმა. ამავე ხანუშების წყალობით არ მოისპო ქართული წერა. ქობულეთსა და აჭარაში თუ კიდევ მოიპოვებიან ხანუშები ქართულ ენაზე, ქართული ასოებით (ანბანით) მიწერ-მოწერის მცოდნენი, ეგ დიდი საკვირველი არ არის, რადგან ახლოს არიან ქრისტიან ქართველებთან“ (წულაძე, 1916).

ქობულეთისა და გურიის ისტორიული თანამეზობლობა-ურთიერთობაზე ბევრი რამაა ცნობილი. მათ შორის მისვლა-მოსვლა ხშირად მოყვრობა-დანათესავეებით გვირგვინდებოდა, ამიტომ იყო, რომ პეტრე უმიკაშვილი წერდა: თავადაზნაუ-

რობასა (ბეგები) და გლეხკაცობასაც „ქობულეთის გურული ქალები ჰყავთ“. მისივე აზრით, „ქობულეთელ აჭარლებსა და გურულებს შორის „ცოლქმრობა ხშირად სიყვარულით, მიჯნურობით ხდება ხოლმე“ (მგელაძე, 2014: 226). მჭიდრო ეკონომიკური ურთიერთობისა და ერთმანეთში მოყვრობის გამო, გურულებსა და ქობულეთლებს „ერთმანეთში დიდი მისვლა-მოსვლა აქვთ. მოსაზღვრეთ მდებარე სოფლები ქორწილს და ქელესს ისე არ გადაიხდიან, რომ ერთმანეთი არ მოიწვიონ, ერთი სიტყვით, ჭირში და ლხინში ერთობა აქვთ“ (მგელაძე, 2014: 227).

ცხადია, ისტორიკოს ბაქრაძის მიერ გურიაში ნაპოვნი „ქობულურ-აჭარული“ წერილები გასაკვირი არ უნდა იყოს. მით უფრო, რომ დღემდე ამგვარი ხელით წერილი არცერთი ნიმუში ხელთ არა გვაქვს.

ამრიგად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ფენომენია. ოსმალთა ბატონობის პერიოდში საკმაოდ ორიგინალური მხედრული მძლავრი „ფარი“ გახდა ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში სრული ეროვნული გადაგვარებისაგან.

## § 2. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ პალეოგრაფიული მნიშვნელობა

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტების გრაფიკული მახასიათებლების კვლევა პალეოგრაფიული თვალსაზრისით ფრიად საინტერესო აღმოჩნდა. ასეთი ხელნაწერები რიგი პალეოგრაფიული ნიშნით გამოირჩევა სხვა ამგვარად მიჩნეული ხელნაწერებისაგან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა მკვლევარი, რომლებიც „დედაბრული ხელის“, როგორც წერის განსაკუთრებული მანერის, შესახებ მსჯელობდა, სწორედ „ქობულურ-აჭარული დე-



დაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებს ეყრდნობოდა და ნიმუშადაც მათვე წარმოადგენდა.

ჩვენს ხელთ არსებულმა სხვადასხვა დანიშნულების ხელნაწერმა დაადასტურა, რომ „დედაბრული ხელით“ წერა აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთ-აჭარაში. აღნიშნული ხელნაწერები დამწერლობის ამ თავისებური სახის, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის,“ გრაფიკულ თავისებურებებზე საუბრის საშუალებას გვაძლევს. ამგვარი ტექსტების გრაფიკული მახასიათებლების კვლევა კი მნიშვნელოვანია პალეოგრაფიისათვის.




„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“, მიუხედავად მხედრულთან მსგავსებისა, გრაფიკული მახასიათებლებით განსხვავებული, თავისთავადი და გარკვეულწილად ორიგინალური დამწერლობის ნიმუშია. ცხადია, რომ იგი საკმაოდ რთული დაწერილობაა. მხედრულის ტიპის დამწერლობის ერთ-ერთ გრაფიკულ მახასიათებელს ქმნის ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ წერის თავისებურებებზე საუბრობდა ჯერ კიდევ დიმიტრი ბაქრაძე. ისტორიკოსის მიერ მიკვლეულ და გამომზეურებულ არქეოლოგიურ მასალაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სწორედ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერებია. დიმიტრი ბაქრაძე წერს: „მათი თავისებურება ის არის, რომ ზოგი ასოს ფორმა საგრძნობლად არის შეცვლილი ან დამახინჯებულია, გარდა ამისა, სიტყვებში თანხმოვნებს შორის მეტწილად ჩართულია სრულად არასაჭირო ხმოვანი ი“ (ბაქრაძე, 1987: 73).

ჩანს, დიმიტრი ბაქრაძეს გურიაში ნაპოვნი „ქობულურ-აჭარული წერილები“ ხსენებული ნიშნების საფუძველზე „დედაბრული ხელით“ შესრულებული სხვა ხელნაწერებისაგან განსხვავებულობაზე მსჯელობის საშუალებას აძლევდა.

თ. ხაჭომიამ 1949 წელს სტატიაში „ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე“ (ხაჭომია, 1949: 87-97) წა-




რმოადგინა „დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტები, მათი მხედრული ვერსიები და ტაბულები. სტატიაში საუბარია დამწერლობის ამ სახის გრაფიკულ თავისებურებებზე. ამ უკანასკნელზე მსჯელობისას მეცნიერი აცხადებს: „ამოშიფრვის შემდეგ ირკვევა ქართულ მხედრულ ასოთა მოხაზულობა, ხოლო რიგ შემთხვევაში ჩანს ნუსხურ ასოთა ზოგიერთი შტრიხიც“ (ხაჭომია, 1949: 87). ამ ტიპის გრაფემებს მიაკუთვნებს **ბ**, **ი** და **ფ** ასოებს, რაშიც მკვლევარს ვერ დავეთანხმებით, რადგან „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებში სამივე მათგანი გრაფიკულად ახლოს დგას მხედრულთან.

მხედრული	ბ	ი	ფ
დედაბრული ხელი			

მკვლევარი **ა**, **ბ**, **ი**, **კ**, **ფ**, **ყ**, **ც** გრაფემებს ასევე ნუსხურ ტრადიციებს უკავშირებს და ხელის გარდამავლობაზე საუბრობს. ვფიქრობთ, „დედაბრულში“ აღნიშნული გრაფემები შესაბამისი მხედრულის მოდიფიცირებული ასო-ნიშნებია.

„დედაბრული ხელისათვის“ დამახასიათებელია მხედრულ ასოთა კუთხოვანი მოყვანილობა. ცალკეულ შემთხვევაში მხედრულად ნაწერ ტექსტში ზედმეტად ჩართულია ნუსხური **უ**, **ი** ან სხვა ასოები. **ანის**, **განის**, **ენისა** და სხვა ასოთა მოხაზულობა ემსგავსება XI საუკუნის ადრეულ მხედრულ მოხაზულობებს. მეცნიერთა ნაწილი ადრეულ მხედრულთან მსგავსების გამო ვარაუდობს, რომ წერის ეს სახე გაცილებით ადრე უნდა ჩამოყალიბებულიყო (ხაჭომია, 1949: 87).

აღსანიშნავია, რომ თუ მხედრულში ნატიფი წრეებია, „დედაბრულში“ ასოთა გარკვეული ჯგუფები: **ა**, **ჰ**, **ო** მხოლოდ კუთხოვანი შტრიხებითაა წარმოდგენილი.

მხედრული	ა	ჰ	ო
დედაბრული ხელი			

„მხედრული“ ანბანის 33 ასო-ნიშნისაგან „დედაბრულში“ ცამეტს (ა, დ, რ, უ, მ, ი, თ, ლ, შ, ვ, ბ, გ, ე) შენარჩუნებული აქვს ძირითადი ფორმა. თორმეტი გრაფემის ზ, კ, ფ, პ, ჟ, რ, ჯ, ტ, ღ, ც, ძ, ყ მოხაზულობა არ იმეორებს მხედრულ პროტოტიპებს.

მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გრაფემათა ვერსიები, რომლებიც სხვადასხვა ხელნაწერშია დადასტურებული.

მხედრული	დედაბრული (ხოშნეთ ბაჟუნაიშვილი)	დედაბრული (ვატყუშე მიქელაძის)	სხვა ხელნაწერები
ბ			
რ			
ზ			
პ			
ჯ			
ტ			
ფ			
ქ		-----	
ძ			
წ			

ყ			
ღ			

ნ, ნ, ხ, ქ, ჭ გრაფიკული ფორმები ასახავს სათანადო მხედრული ასოების მოხაზულობას, გართულებულს „დედაბრულში“ (გარკვეული დამატებითი ხაზებით).

მხედრული	წ	ნ	ხ	ქ	ჭ
დედაბრული ხელი					

გრაფემათა ურთიერთმიმართებით გაირკვა, რომ „დედაბრული“ დამწერლობის გრაფიკულ ნიშანთა შედგენა-შეთხზვისას საფუძვლად მხედრულია აღებული. შეიძლება ითქვას, რომ მხედრული ანბანის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული დანერილობა საკმაოდ ორიგინალურია. ამ ტიპის დამწერლობის გრაფიკულ მახასიათებლებზე საუბრისას აუცილებელია აღინიშნოს, რომ რიგი გრაფემა მსგავსებას ავლენს მხედრული დამწერლობის ცალკეულ გრაფიკულ სიმბოლოსთან, ნაწილი კი სრულებით შორდება შესაბამის გრაფემებს. ჩვენს ხელთ არსებულ ხელნაწერთაგან კერძო წერილები მეტად კუთხოვანი, ლურსმულისებრია და, შესაბამისად, ძნელად ამოსაკითხი.

საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ პირად წერილებში გრაფემები მეტად კუთხოვანია, რაც მის დანიშნულებას, მეტად დაიფაროს ნაწერის შინაარსი, ამართლებს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თავისებურება ხმოვანმეტობაა. საზოგადოდ, ხმოვანმეტობით (ასომეტობით) არაერთი უძველესი ძეგლი და ისტორიული საბუთი გამოირჩევა. აღნიშნული თავისებურება დასტურდება „ტბეთის სულთა მატეანეში“ (XII-XVII სს): მეულლისა ... და მათის შავილისა... შეუნდვენ (III

r), კოსატანტილესა შეუნდვენ (VIIIr), მისისა შივილისა (IX r), სულსა იაკობასა (IX r), სულსა აბარაჰამ წინამძღურისა... (XIII r) და ა. შ. (ტბეთი, 1977: 64).

სმოვანმეტობა დასტურდება „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ყველა ხელნაწერში. მათში მეტ-ნაკლები პრინციპულობით ვხვდებით **ამეტობას, იმეტობას და უმეტობას**. უნდა აღინიშნოს, რომ ეს უკანასკნელი დომინირებს „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებში. **H ფონდის 1258 ბ ხელნაწერში**, რომელიც მუჰაჯირის წერილია, პრინციპულადაა დაცული **უ** სმოვანმეტობა: შესუ აბავუსუ და შესუ კარუქა ყოფუნასუ თუ შეგუვატუყობიღეფუ, შენ იცოდე და შენმა ქალობამუ, დიღელაუ. ანი შესუ ქალიშვილუსუ, ხუმისუ ხანუმუსუ სელამი და ხეირუდუვა მიმითუვი დიღელაუ. (H 1258 ბ) [შენს კარგად ყოფუნას თუ შეგვატყობინებ, შენ იცი და შენმა ქალობამ, დაო! შენს ქალიშვილს, ხურმის ხანუმს, სალამი გადაეცი, დაო].

ასევე პრინციპული უმეტობა დასტურდება ნიკო ბერძენიშვილის მიერ წარმოდგენილ აჭარელი ქალის ტრაპიზონიდან აჭარაში გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტში: ბედუნიერო, დაუ დესუპინე ხანუმო, თუქუვენი გაკუჭებული დაა რეხიმე სელამუსუ, ხელუ მოკითუხუვასუ მუვახუსენებუ [ბედნიერო, დაო დესპინე ხანუმ, თქვენი გაბრაზებული და, რეხიმე, სელამს, ხელზე მოკითხვას მოვახსენებ].


„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებში ასევე დასტურდება **ამეტობა: აბარამისათა (6r), საყადარისა (16v). კავიპრიანესა, წინასაწარმეტყველობითა; დალისა შინა კავიპრიანესა** განიხსენების ყოველი ნასკნი (გვ. 16). ზ. სარჯველაძის აზრით, „XI-XV სს. საბუთების ერთ ნაწილს ახასიათებს მოვლენა, რომელიც ანმეტობის მოვლენის სახელითაა ცნობილი. მსახურთა/უხუცესმან/ა ბეგამან/ა ძემან/ა ქუას/ა შვილს/ა ჯომარ/ა ჩუენ/ა პატ/არონ/ამან/ა ატენ/ა/ისა მოურავ/ამან/ა“. მკვლევარი დასძენს, რომ უპირატესად მეტი ანი იწერება თანსმოვნების გამომხატველ გრაფემათა შორის.

იგი თვლის, რომ მოვლენა აუხსნელია (სარჯველაძე, 1976: 123).

**იმეტობა:** გიძინეულობასაგანუ (11 v); წიმიდისაო (1 v)//წუმიდაო (2r; 12 v); ხიმითა (8r); გარიდამოხუთა (8 v); არისებასა (10r); ძირიელობითა (10 v); მორინუმუბითა (12r); უფილისა (20 v).

ერთგან ომეტობაც დასტურდება: **ლომერუთო, ჩემო (H 1258 ა)**.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ თავისებურება, როგორც ითქვა, ისიცაა, რომ ამ ტიპის ტექსტებში სიტყვე-



ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H 1258 ბ ხელნაწერი (თურქეთიდან მუჰაჯირი ქართველის მიერ გამოგზავნილი პირადი წერილი)

ბს შორის ინტერვალი არაა, რაც აზრს აბუნდოვებს. სწორედ უინტერვალობაც ქმნის ამგვარი ტექსტების ნაკითხვის სირთულეს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ერთ-ერთი თავისებურება სასვენი ნიშნების უქონლობაა. საზოგადოდ, სასვენი ნიშნები ქართულ მწერლობაში უკვე VI საუკუნეში უხმარიათ. თავდაპირველად წერტილს ხმარობდნენ „განსაკუთელად სიტყვსა“, რომ „სიტყვები ერთიმეორისაგან გაეყოთ და მათი ნაკითხვა გაეადვილებინათ. საამისოდ ორი ან სამი წერტილი იყო მიღებული. ეფრემ მცირის ნაშრომებში აქტიურად იხმარებოდა სასვენი-განკვეთილობის ნიშნები“ (ჯავახიშვილი, 1949: 145).

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებში კი, წესისამებრ, სიტყვებს შორის ინტერვალი არაა, შესაბამისად, არც სასვენი ნიშნები დასტურდება. ამრიგად, სასვენი ნიშნების გამოუყენებლობაც მნიშვნელოვნად აძნელებს ტექსტის ამოკითხვას.

მაშასადამე, ასოთა **კუთხოვანი მოხაზულობაც** ის უმნიშვნელოვანესი გრაფიკული თავისებურებაა, რომელიც „ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ განასხვავებს ცუდი მხედრულით, „დედაბრული ხელით“ შესრულებული სხვა ხელნაწერებისაგან. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ მხედრული ანბანის მოდიფიკაციის შედეგად მიღებული დანერილობაა.

**მეორე** უმნიშვნელოვანესი ნიშანი, რომელიც ახასიათებს „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერას, არის **ხმოვანმეტობა**. იგი ხშირ შემთხვევაში შეუძლებელს ხდის ტექსტის ნაკითხვას.

**მესამე**, ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი თავისებურება, რომელიც „ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ ასევე განასხვავებს „დედაბრული ხელით“ შესრულებული სხვა ხელნაწერებისაგან და მის ამოკითხვას ართულებს, არის სიტყვების **გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა**. ეს კი დაფარვისა და გასაიდუმლოებისათვის მნიშვნელოვანი საშუალებაა.

**მეოთხე** თავისებურება კი **სასვენი ნიშნების უქონლობაა**.

ვფიქრობთ, ყველა ზემოთ დასახელებული ნიშანი მნიშვნელოვანი მახასიათებელია „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელისა“, როგორც წერის მანერისა, რაც საფუძველს გვაძლევს, რომ მას ვუნოდოთ საიდუმლო დამწერლობის ერთ-ერთი სახე, თუკი გავითვალისწინებთ იმ ისტორიულ რეალობას, რომელშიც იგი შეიქმნა.

ცხადია, რომ წარმოდგენილ ავგაროზთა ტექსტებში სახარების ფრაგმენტები, წმინდა სალოცავები, წმინდანთა სახელებია დადასტურებული, რაც უკიდურესად რთულ პირობებში გასაიდუმლოებისთვის აუცილებლად საჭირო რამ იყო. მხოლოდ ეს თუ შეაძლებინებდა აჭარელ ქალს მისთვის საინტერესო, მახლობელი წიგნები გადაეწერა. ამას მოწმობს ზაქარია ჭიჭინაძის ცნობაც: „...ამას გარდა აქა-იქ ძველებური ქართული ექიმობაც სცოდნიათ... ჩურუქსუმი ქართულ წერა-კითხვას გარდა, გავრცელებულია კიდევ ქართული „ავგაროზები““ (ჭიჭინაძე, 2013: 106).

ყველა ზემოთ ხსენებული ნიშანი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“, დამწერლობის ამ თავისებური სახის, საიდუმლოობაზე მსჯელობის საფუძველს იძლევა. ივანე ჯავახიშვილის აზრით, „ქართულად საიდუმლო ანბანს გარდა, საიდუმლო ენაც, მეტყველებაც არსებობდა, რომლის მთავარს, სიტყვათა სახის შემცვლელ ელემენტს მარცვალსა და მარცვალს შუა განზრახ ჩანართ მარცვალს... შეადგენდა“ (ჯავახიშვილი, 1949: 131).

ბესარიონ ჯორბენაძე კი არგოს (ხელოვნურად გადასხვაფერებული ნაირსახეობა) ნიმუშად მიიჩნევს „კარგად ცნობილ „ქაჯურ ენას“, სადაც სიტყვები გადასხვაფერებულია ყოველ მარცვალზე რაიმე ნაწილაკის დართვით: მოწავინადანა ან მონდერვინდერდა „მოვიდა““ (ჯორბენაძე, 1989: 51). ამგვარ მეტყველებას ჩვენში „ჩიტის ენასაც“ უწოდებენ და, რა თქმა უნდა, მას ნათქვამის დასაფარავად იყენებდნენ.

მართალია, „ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“ კლასი-

კური საიდუმლო დამწერლობის სახედ ვერ მივიჩნევთ, თუმცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნაწერის გასაიდუმლოებისათვის მისი ავტორები უამრავ ხერხს იყენებდნენ. ესენია: ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა, უინტერვალო წერა, ხმოვანმეტობა და სასვენი ნიშნების უქონლობა.

ამრიგად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ თვითმყოფადი, დამოუკიდებელი, სხვა დედაბრულ ხელნაწერთაგან ერთობ განსხვავებული წერის მანერაა.

### § 3. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ლინგვისტური ანალიზი

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები ფრიად ღირებულია ლინგვისტური თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ემპირიული მასალაა ცოცხალი მეტყველების თავისებურებების საკვლევადა. ამგვარი ხელით“ შესრულებულ პირად წერილებში დასტურდება დიალექტური ფორმები, რომლებიც ნიშანდობლივია აჭარულისათვის (უმეტესწილად ქვემოაჭარულისათვის).

დასახელებული ხელნაწერი ტექსტებისათვის ერთ-ერთი ტიპობრივი თავისებურება, როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანმეტობაა. მათში ძირითადად უმეტობა დასტურდება, თუმცა გვხვდება ა, ო, და ი მეტობაც. თანხმოვანთგასაყარად დასახელებული ხმოვნები სხვადასხვა პოზიციაშია გამოყენებული. H ფონდის 1258 ა ხელნაწერში კი უ გვხვდება:

1. ზმნის აბსოლუტურ ბოლოში, პირის თუ რიცხვის ნიშნის შემდეგ: გვედითუ (29 r), ვარუ (18 r), იხუსენებოდესუ (33 r), ილოცუსუ (30 r), იკითხოსუ (3 r), განუმუბურავალიდენუ (8 v);

2. სიტყვათა ფუძეში: ა) სახელის ფუძეში: გუნუდი (11 r), მუტერი (11 r), ნიგუნი (30 r), ღუმერთო (12 r), კაცუსა (14 r); ნუმინუდა გიორუგი (გვ.3); ბ) ზმნის ფუძეში: შეიბურალე (33 v), იხუსენი (33 v), დასუნერე (28 v) და ა. შ.

ქობულეთის მუზეუმში დაცულ ხელნაწერში უ თანხმოვანთგასაყარად დასტურდება არა იმ სიხშირით, რა სიხშირითაც მას ანალოგიური სახის ტექსტში, H ფონდის 1258 ა ხელნაწერში, ვხვდებით: მაცუდური (მაცდური); მუცელუსა პენსა (მუცელსა); მიქაელგაბრიელუსა; კურთებოდა; უკულოვენ(უკვალავენ); ლესუვენ (ლესავენ); ღუმერთო (ღმერთო); თუქვა (თქვა); სულუსა (სულსა) და ა. შ..


სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ „დიალექტებში უდავოდ არსებობს მარცვალთგასაყარი ხმოვნები სხვადასხვა საჭიროების მიხედვით“ (ქავთარაძე, 1964: 72). ეს მეგრულში ხმოვანთა რეფლექსია (ჩიქობავა, 1953: 20), იმერულსა და ლეჩხუმურში წინადადებაში პაუზის დროს ვითარდება (ძიძიგური, 1954: 175), რაჭულში, ქართლურსა და მოხეურში კითხვას გამოხატავს მასზე დინამიკური მახვილით (თოფური, 1962: 245), შავშურში სხვადასხვა პოზიციაში დასტურდება. ერთ შემთხვევაში ანაპტიქსურ ხმოვანს წარმოადგენს, ხოლო სხვა შემთხვევაში – რომელიმე ბგერის პოზიციური ვარიანტია (ფალავა, 2011: 222). „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ ხელნაწერებში უ ერთგან ვ ბგერის რეფლექსია: მაუნებელი, უნახე, მოუსჭრით, შაუსა, თაუსა და პირსა, მაცხოურებისა. რიგ შემთხვევაში ტექსტში უ გვევლინება ანაპტიქსური ხმოვნის ფუნქციითაც: კულუდესაგანუ, ცუხენი, ტუყისაგანუ. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ხმოვანთმეტობა ამგვარ ხელნაწერებში ცოცხალი მეტყველების თავისებურებასაც ასახავს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ანალიზმა გვიჩვენა, რომ უ (ა, ი) ხმოვნის ძირითადი ფუნქციაა მისი ხმარება თანხმოვანთგასაყარად. ეს ფუნქცია რომ აჭარულისათვის დამახასიათებელია, ადასტურებს გასული საუკუნის დასაწყისში ქობულეთიდან მუჰაჯირად გადახვენილი რეჯებ ბალაძის წერილები. რეჯებ ბალაძის ცხოვრების ისტორია იმ გადახვენილთა ტრავიკულ ისტორიას ჰგავს, რომლებიც ორი ქვეყნის იმპერიის ამბიციას ემსხვერ-

პლენენ. 1931 წელს თურქეთიდან გამოგზავნილი წერილის ადრესატი ცდილობს სალიტერატურო ქართულით წეროს, თუმცა იგი ცოცხალი მეტყველების ფორმებს ვერ აღწევს თავს: მე ყადრი კი მუქონდა; ბევური სელამი სულეიმან ბიძიას ნუვერზე კოცნით; ყუველას გელიხანუმებს სელამი; ზე და თუვარესავეთ შეაბეროს ღმერთმა.

საინტერესოა, რომ მუჰაჯირთა მიერ გამოგზავნილ პირად წერილში დასტურდება გრაფემა (ლ), რომელიც ჩვენს ხელთ არსებულ, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერთა ანბანურ რიგში არაა და რომლის ფონემური მნიშვნელობის გარკვევაც ძალიან საინტერესო აღმოჩნდა. აღნიშნული გრაფემა თ. ხაჟომიას ც-დ მიაჩნია: „ხშირია ც-ს ხმარება ი-ს შემდეგ, ერთ შემთხვევაში ე-ს წინ, ხოლო მეორე შემთხვევაში ა-ს წინ: დეიჭლა, გეიკარიჭა“ (ხაჟომია, 1949: 88). ამავე გრაფემადაა დასახელებული იგი ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაშიც. ჩვენ ამ მოსაზრებას ვერ გავიზიარებთ. თ. ხაჟომიას ვარაუდი, რომ აღნიშნული გრაფემა ც-ა, სამწერლობო ენაში გამოვლენილ არცერთ კანონზომიერებას არ ექვემდებარება, რადგან იგი არც ეჲ დიფთონგს გადმოსცემს, არც სრულხმოვან ე-ს და არც ჰაე-ს სანაცვლოდ გვხვდება, მით უფრო, ამ ეპოქისთვის მისი დადასტურება ცოტა არ იყოს, საეჭვოა.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ პირად წერილებში არსებული გრაფემა, ვფიქრობთ, ი ხმოვნის რეფლექსია. იგი ძირითადად სიტყვის ძირში დასტურდება და ე ნახევარხმოვნის ბადალია, მაგრამ თვალში საცემია ის გარემოება, რომელიც წერილის ავტორის ინდივიდუალიზმზე მეტყველებს. დასახელებული გრაფემა სრულხმოვანი ი-ს გვერდითაა. ფაქტია, რომ იგი ცოცხალ მეტყველებაში წარმოთქმული ბგერის გრაფიკული გამოხატულებაა. ეს კი მეტად მნიშვნელოვანია როგორც დიალექტოლოგიის, ასევე პალეოგრაფიის თვალსაზრისითაც. აღნიშნული გრაფემა იე/ია ინტერვოკალურ პოზიციაში გვხვდება, ამასთან, უფუნქციოდ. წერილის ავტორი მას პრინციპულად იყენებს.



რეჯებ ბალადის წერილი (თურქეთი, 1931 წელი)

**სახელებში:** დიღელაუ (მოფერებით-დაო), ბედუნიღერო (ბედნიერო);

**ზმნურ ძირში:** შეგუვატყობიღეფუ (შეგვატყობინებ), მატაცუნიღებუსუ (მატაცინებ), არიღანუ (არიან); ენიშუტიეღა (ენიშტეა - აქ. სიძეა);

**მიმღებებში:** დანერილიღა (დანერილია), გადარეულიღა; მოზიღარეუ (მოზიარე).

აღსანიშნავია, რომ ორთოგრაფიული ტრადიცია **ღ**, **ჭ** და **კ** გრაფემების ხმარებისა, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ პერიოდის ქართულისათვის სრულიად დარღვეულია. ამას ადასტურებს „ქობულურ-აჭარული დედაბრულით შესრულებული მოკითხვის წერილებიც. კერძოდ კი, ხმოვანფუძიანი სახელების სახელობით ბრუნვაში გვხვდება სრულხმოვანი **ი**: შენი ძუმაი... არ ჩამოსულა.

ამ მხრივ საინტერესოა ჯ. ნოლაიდელის მოსაზრება: „აჭარულში ორივე სახის დიფთონგი გვხვდება: აღმავალიც და დამავალიც. აღმავალი აიხსნება ჭანურის გავლენით“ (ნოლაიდელი, 1980:10). იქვე მკვლევარი ადასტურებს აღმავალი დიფთონგის მაგალითებს არა მხოლოდ ნასესხებ სიტყვებში: კაბეზი, ლელეზი, მამობა, დედობა. მ. ფალავას თვალსაზრისით, აჭარულში აღმავალი დიფთონგი არ მოგვეპოვება (ფალავა, 1995: 55).

საინტერესოა, რომ წერილის ავტორი **ღ** გრაფემას ხშირ შემთხვევაში სწორედ აღმავალი დიფთონგის გამოსახატად სრულხმოვანი **ი**-ს გვერდით იყენებს. როგორც ჩანს, იგი ცდილობს სამწერლობო ტრადიციას მიჰყვეს, თუმცა ცოცხალი მეტყველების არტიკულაციურ თავისებურებასაც ითვალისწინებს. უნდა ითქვას, რომ ქობულეთური მეტყველების ეს თავისებურებაა, გრაფიკულად გამოხატული პირად წერილებში.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ტექსტები საინტერესო მასალას გვანვდიან ისტორიული დიალექტოლოგიის თვალსაზრისით. ამგვარ ხელნაწერებში დასტურდება დიალექტიზმები: **სინატრულით** - მონატრებით; მუ-

ჰაჯირი ქალის წერილში ვკითხულობთ: მე კუნერუ შენი უმუსახური ძალი დიდი სინატრულითუ. უმსახური – ის, ვინც არ მომსახურებია სხვას; საინტერესოა შემოგერე – შემოგველე ფორმა.

სამხრულ კილოებში, ისევე როგორც გურულში, სიარულის გამომხატველი ლექსემები სისტემურად გადმოიცემა მხოლოდ „გარება“ და არა გავლა ფუძით. აჭარულ დიალექტში გავლა'ს გარება ცვლის პირიან ფორმებშიც და სახელზმნებშიც: რაც გულში გიგაარს, საჭმელები ხაზირი იქნებაგო (ნოლ. 86. ხულო); მის გარებულ ადგილზე ბალახი დგებოდა (ნოლ. 67. ხულო).

იგივე ვითარებაა ქობულეთურში: იარება, ვარუნეფ, ვარუნია, ვიარ. შესაბამისად, დროს გამოხატავს ზმნიზედები: ეიერს (ავლის დროს); ჩამეიერს (ჩამოვლის დროს); გეიერს (გავლისდროს) შდრ. აჭარული: გავლაჲ, ავლაჲ, ჩავლაჲ. „მოვლა“ სიტყვაში მოიაზრება ვალ ძირი და გადმოიცემა, როგორც „ვუარები“ – ვუვლი: თქვენო კარქა გიარებენ კაცებო (ქობ. მუჰაჯირთა მეტყვ.) (ხახუტაიშვილი, 2014: 21). იგივე შემთხვევა გვაქვს „შემოგველე“ სიტყვაშიც. იგი დადასტურებულია, როგორც „შემოგერე“: სიკუდილი ჩუვეთუვინა დიღელაუ, შემოგერე.

ხმოვანფუძიანი ხელები სახელობით ბრუნვაში –ი ნიშნითაა წარმოდგენილი. ერთმარცვლიანი ფუძის მქონე სახელები: შენი ძუმაი ხემუშილი; იღვა ქვაი. ასევე ადამიანთა საკუთარი ან მასთან გატოლებული სახელები: შენი ფაშიი გეყურუბანა; გაკუჭებული დაი რეხიმიე.

გაკუჭება ქობულეთურში გაბრაზებას ნიშნავს. გაკუჭება (გურ.) გულის მოსვლა, გაბრაზება (დლონტი, 1984). გაკუჭებას გაბრაზების მნიშვნელობით ვხვდებით „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ მუჰაჯირი ქალის წერილში: თუქუვენეი გაკუჭებული დაი რეხიმიე.

ბეჩი ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონაში განმარტებულია, როგორც ლენჩი, მოსულელო, უჭკუო (დლონტი, 1984).

ამ სიტყვისგან ნაწარმოები მიმღობური ფორმა „დაბეჩებუ-ლი“ ქობულეთურში აღნიშნავს **შეშინებულს**. სწორედ ამ მნიშვნელობით დასტურდება იგი ავგაროზის ტექსტში: იხსენი **და-ნაბეჩებისაგან (H 1258 ა)**.

ზმნისწინებში სპორადულად გვხვდება კონტაქტური რეგრესული ასიმილაცია (**და>დე**), რაც გურული დიალექტის გავლენას უნდა მივანეროთ: დეფსო მისი სამზერე თვალი... ეს პროცესი უფრო ღრმავდება, რაც აჭარულისთვის საზოგადოდ არ არის უცხო. **ა** ხმოვნის შემცველ ყველა ზმნისწინში სისტემურად დასტურდება **ე** პრეფიქსის წინ სრული რეგრესული ასიმილაციის შემდგომი რეგრესული დისიმილაცია: და-დე-დი: **გადიესხა** წყალი (გვ.11); **დეიცევი** და შეიბრაღე (გვ.10); გადიესუხა ცეცხლი (28v). ასევე დამონმებულია ზმნისწინთა დისიმილირებული ფორმები: **შე//ში**: მაცდური ვერა **შეინთხვას** (გვ.5); **შეინე** და მოუხთინე (გვ.5).

დიალექტური ფორმები თვით სახარების ფრაგმენტებშიცაა. დასტურდება ზმნისწინთა ნაწილობრივი ასიმილაციის შემთხვევები: ადგა მარიამი და **წევიდა** მთასა კერუძუნუსა (19 r); მარიამუსუ... და **წევიდესუ** და გაგემორო... (22 r).

**რუმ** კავშირი ქობულეთურში გვხვდება **რუმე** ფორმით. საზოგადოდ, ქობულეთურში **ო** ხმოვანი ნაზალურ **მ**-სთან მეზობლობაში **უ** ხმოვნად იქცევა (შდრ. რუმ, ტუმარაჲ, დააჟდუმლა). შენ **რუმ დასწერავ**; გზაში იკითხა, **ხუმ არ** დიგინახვენო ამფერს რუმ ჭამსო (ქობ. მუჰაჯირ.).

**რუმ, ხუმ** გვხვდება გურულშიც (ყლენტი, 1936: 53).

მუჰაჯირის პირად წერილში **წიგნი** წერილის მნიშვნელობით დასტურდება: მოგენერა, რუმე ხუთი წიგინი გამუვაგუზანევო. ეთი (sic) **წიგინი** ჩამომიუდა; აგი **წიგინი** თუხუმეტუ ივანობისუ თუვესუ დანერილი და დიელაუ. ძველ ქართულში **წიგნი** „ხელით-წერილი, ნაწერი, ტექსტი, ასო, მატთანე, დოკუმენტი, სიგელია. **წიგნის წერა** – წერილის წერა (აბულ.). **წიგნი** წერილის მნიშვნელობით დასტურდება „ვეფხისტყაოსანში“: თვით ვიქმ ხელითა ჩემითა ამა **წიგნისა** წერასა (ვტ.).

**წული** შვილის მნიშვნელობითაა „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებულ ხელნაწერში. ძველ ქართულში **წული** „ყრმა, წულებრი, ვაჟის“ მნიშვნელობით: უკუეთუ წული იყოს, მოჰკლით იგი (O). **წული** ფონეტიკური სახეცვლილებით გვხვდება კომპოზიტში – **ძმისული**: შენი ძუმისულები – ვკითხულობთ მუჰაჯირის წერილში. ამგვარი ფორმითაა იგი გურულშიც.

ადურე, ადურე ამუსუ **სუთულისუ** და კითხულობუსუ – ვკითხულობთ წერილში. ავტორი საუბრობს ავგაროზზე, რომელიც შემდეგ გამოგზავნეს წერილთან ერთად საქართველოში.

**თლა** ქობულეთურში **გადაშლის, გადაფურცვლის, დათვალიერების** მნიშვნელობით გამოიყენება. აღნიშნულ ზმნურ ფორმაში ქობულეთურისათვის ნიშანდობლივი პირის ნიშანთა სიჭარბე დასტურდება. საზოგადოდ, დასახელებული თავისებურება ტიპურია ქობულეთურისათვის, რასაც მუჰაჯირთა მეტყველება ადასტურებს (დასწერვიდა; გაჰყიდი; შემოსჭამია; მოშჭრიდა; წამოსწია და ა.შ.).

**ტაცება** ხელის ხლების, დაკარების მნიშვნელობითაა დამონმებული მუჰაჯირის პირად წერილში. ხელს არ **მატაცუნე-ბიებს** (H 1258 ბ) – ხელს არ მახლებინებს / მაკარებინებს.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ პირად წერილში დასტურდება სიტყვა **კილაგ**: *ჩემუ ანასუ კილაუ უნდა დუნეროვო//ჩემს დედას კიდეგ უნდა დაუნეროო. კილაგ - ძველ ქართულში კულად//კულად – მერმე, მეორედ, მართლუკუნ, კიდეგ, ისევე (აბულ. 1973): რაჲსა გნებავს კულად სმენად? (ი. 9,27) //კულად მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ (მ. 13,47); კულად (DE)//მერმე (მრ. 3,20 C). კვლა ნუთუმცა შემოვიქეც, ღმერთმან სრულად არ დამკარგა (ვტ. 168).*

**კილაგ** დასტურდება გურულში (ლლონტი, 1984). **კილაგ** ქობულეთურ მეტყველებაში დღეს უკვე აღარ დასტურდება, თუმცა თურქეთის ქალაქ ფაცასა და მის მიმდებარე რაიონებში მცხოვრებ ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების



მეტყველებაში იგი ხშირად გვხვდება: **კილავ** ვიცით იახნი; **კილავ** მეტყვიან ექიმის ბადიში ხარო, თუმცა ერთგან გვხვდება „**კიდვენ**“ ფორმაც: **კიდვენ** მოხთა ხაპი თავში (ხახუტაიშვილი, 2013: 42).

აჭარულსა და მთლიანად სამხრულ დიალექტებში **-თვის** თანდებულს ფონეტიკური სახესხვაობა **-თვინ** ენაცვლება, რომელიც დაერთვის ნათესაობითის ფორმას (ჩემთვინ, ზამთრისთინ, სტუმრისთინ).

ქობულეთურში კი გვხვდება **-იზა** (კაციზა, ქალიზა, იმიზა, ყაბზობიზა, ტკივილიზა), რასაც გურულის გავლენას მიაწერენ. იფერუ **დანერილიზა** რაზუ გახუთა, – ვკითხულობთ მუჰაჯირი ქალის წერილში.

განვიხილოთ სხვა თავისებურებანი: მოვიდოდა **ანგელოზნები** ღვთისანი (34r, H 1258 ა). **სამ ძმანები თავდგირიძნები** ზის სამებისა კარსა (გვ. 12); **აღნიშნულ** ფრაზაში დასტურდება ქვემდებარისა და შემასმენლის რიცხვში შეუთანხმებლობა (მოდიოდა ანგელოზნები, თავდგირიძნები ზის), სახელი ორმაგი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი, რაც ქობულეთურისათვის არაა უცხო. სპეციალურ ლიტერატურაში მითითებულია, რომ „ქობულეთურში შემონახულია **ძმანები**“ სტიპის ფორმები: **დანები, გვერდენები, ხალვაშნები, ბიძანები...** ბათუმის მეტყველებაში: **ქიქავანები, ფალავანები...** თუმცა ამ უკანასკნელთ სხვა ახსნა მოეძებნება“ (ფალავა, ცეცხლაძე, 2016: 123).

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზის ტექსტში მიცემითში დასმული სახელის მრავლობითობა ზმნაში გამოხატულია **-ენ** სუფიქსით: გულუზე **ეკიდენუ** (ეკიდათ)... (34 v).

**ეკიდენ** ზმნა საინტერესოა პირის ნიშანთა ხმარების მხრივ. ინვერსიულ და გაინვერსიულების გზაზე მდგარ ზმნებში მიცემით ბრუნვაში დასმული სახელის მრავლობითობა გამოიხატება: **1. ყე ნაწილაკის გამოყენებით** (რაჭ. ლეჩხ. იმერ. ფერეიდნ. ინგილ. მთიულ. მოხ.); **2. თ-სუფიქსით** (სალიტერატურო

ქართულსა და დიალექტთა უმრავლესობაში); **3. III სუბიექტური პირის სუფიქსის დართვით** (ქვემოიმერულ-გურულ-აჭარულ-მესხურსა და ზანურ-სვანურში. **ზან.:** მიღუნან, გიღუნან, უღუნან. **სვან.:** ჯუღვა-ხ, ხუღვა-ხ: გაქვთ, აქვთ) (თოფურია 1979: 453).

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია ამგვარი მოვლენის შესახებ აჭარულში, რომ „აქ და სხვა ანალოგიურ შემთხვევებში ქვემდებარის მრავლობითობა **თ** ბოლოსართით კი არ არის გამოხატული, როგორც ეს სალიტერატურო ქართულსა და აღმოსავლეთ კილოებშია, არამედ სუბიექტური მესამე პირის მრავლობითი რიცხვის **ენ, ან** სუფიქსებით“ (ნოლაიდელი, 1960:42). „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზის ტექსტებში ვხვდებით მსგავს ფორმებს: ....თერთმეტი ანგელოზნი ზეცისანი იარებოდენ სოფლად, კურნებოდენ კერპებს; გავიდენ მთასა, მიენიენ ალსა, ხელი სტაცეს მკლავსა, მოიყუვანეს სახლსა, დასვეს კარსა.

**ენ//ნენ** დაბოლოება თანდათან ბატონდება XVI- XVIII საუკუნეების ძეგლებში. „ეს და ენ//ნენ სუფიქსების ჭიდილი არსებითად მთავრდება XVIII საუკუნეში ნ(ენ)-ის გამარჯვებით.

ერგატიული კონსტრუქცია იბერიულ-კავკასიურ ენათათვის დამახასიათებელი თავისებურებაა, რომელიც კარგად ჩანს სამხრულ კილოებში, მეტადრე - კლარჯულში. სპეციალურ ლიტერატურაში ვკითხულობთ: „სამხრული კილოების გამოკვეთილი თავისებურებაა გარდაუვალ ზმნასთან ქვემდებარის მოთხრობითში დგომა (ფალავა, ცეცხლაძე, 2016: 127).

აჭარულს ახასიათებს ერგატიული კონსტრუქციის გამოყენება ნომინატიურის ნაცვლად მეორე სერიაში: **მივდა მელამ** (ნოლ. 114. შუახ.); მეფის **შვილმა გადირია** სიხარულით (ნოლ. 90.ქობ.); **შვილმა ჩევდა** (იქვე, 86); **ბელყიამაც შეშინდა; გამოშპა ტრედმა**, გაფრინდა და გეიქცა (ნოლ. 93).

ამგვარ პრინციპს ვხვდებით „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ტექსტებშიც. აქ გარდაუვალი ზმნით გადმოცემული ზმნა-შემასმენლის მესამე სერიის ფო-

რმასთან ქვემდებარე მოთხრობით ბრუნვაშია: ნიგინი რუმე იხუფენე მემური შენი ძუმად, ხემუშილი, **მანუ არუ ჩამოსულა** და ...

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ მუჰაჯირთა პირად წერილებში, როგორც მოსალოდნელი იყო, გვერდიგვერდ გვხვდება დალოცვის შინაარსის შემცველი ქართული და თურქული ვარიანტები, რაც ქართულ-თურქულ ენათა მჭიდრო კონტაქტის მაჩვენებელია. თურქულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის შედეგია არა მხოლოდ მიგრირებული, არამედ მკვიდრი მოსახლეობის მეტყველებაში დამონმებული თურქიზმები, არაბიზმები თუ სპარსიზმები.

**აღირათ** გასახსენებლო (**agir** - ძვირფასი, ფასეული);

**ბაშუმ სალოლსუნ** (**basun sagolsun**—მისამძიმრება) შენი თავი მიმყოფოს ღმერთმა; **ხეირდუას** მოგახსენებ: **ხეირდუა** გულით დალოცვაა;

**ბელქი** (სპ. Belki - შესაძლებელია) არ მოგწონდება;

**ენიშტე** ალა... (**eniste** - სიძე); **სელამს** და **სელამეთობით** ადრე ადრე მოკითხვას მოგახსენებ. **Selamet** (არ. სიკეთე, კეთილდღეობა), შდრ. ამას ბევრი დღე მისცეს ღმერთმა... რომე მოხუელ და გვნახე, მოგვიკითხე, ღმერთმა **სალამეთობა** მოქცეს (ფუტკარაძე, 1993: 610); **სელამეთით** (სიკეთე, უსაფრთხოება) მიგიყუანოს ღმერთმა სახლში, სელამეთით გამცხოვროს იქში (ფუტკარაძე, 1993: 225).

**დავო, დერუმანო** (**derman** სპ. — წამალი, საშუალება, ძალა); **იშალა** მეღირსება შენი ნახვა (**insallah** — ვიმედოვნებ).

„ენობრივი კოდების ცვლა ინდივიდის ან სოციუმის მიერ სამეტყველო ნაკადში ორი ან მეტი სხვადასხვა ენის (ენობრივი ვარიანტის), როგორც სამეტყველო კოდის შენაცვლებით გამოყენებაა“ (თანდაშვილი, 2016: 35).

როგორც „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულმა პირადმა წერილებმა გვიჩვენა, ორენოვანი მუჰაჯირისა თუ მკვიდრი მოსახლეობისათვის მართლაც უცხო არაა თურქულენოვანი ლექსიკა, რომელიც რიგი ფონეტიკურ

რი ცვლილებით გვხვდება. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ბილინგვი ავტორი ოსტატურად ახერხებს ფრაზას მოარგოს სიტყვები და დააკისროს ესთეტიკური ფუნქცია.

ავთანდილ არაბულის აზრით, „ეფემიზაცია კულტურულ-მნივნილობის ენებისთვისაა დამახასიათებელი. ენობრივი ეტიკეტი, თავაზიანობის გარკვეული ფორმულები და ფორმები, ამ კულტურასთან თანაზიარობაა, ხოლო დარღვევა მისი უცხოობის ერთ-ერთი ნიშანია“ (არაბული, 2005: 236).

საზოგადოდ, ქობულეთურისათვის უცხო არ არის კრძალვის, თავმდაბლობისა და მორიდების გამომხატველი საკუთრივ ქართული თუ უცხოენოვანი სიტყვები. თავის საცხოვრისს, სანათესაოს მონატრებული, როგორც თავად ამბობს „უმსახური“ რძალი გულისამაჩუყებელ სიტყვაფორმებს იყენებს გრძნობებისა და ემოციების გამოსახატავად. მისთვის მეუღლის და - მული **წარჩინებული, ბედნიერი და ბედნიერად გასახსენებელია, ამომავალი სული და სიცოცხლე, დარდის და სიხარულის მოზიარეა**. თავად წერილი სამეტყველო კოდების ცვლის უნიკალური ნიმუშია.

დის ტოლფასი მული, „დიელა“ (მოფერებით – და) მისთვის არა ბატონი, არამედ კნინობითი „**ბატონილაა**“, მონატრების სალბუნია: **ჯიგერო (ciger - ღვიძლი (გადატ.) სული, გული, ღვიძლი ნათესავი), დავო დერუმანო (წამალი, ძალა), ფაშა ბატონილაუ**. ჭეშმარიტად ეფემისტური მეტყველების უნიკალურ ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს მუჰაჯირი ქალის წერილი: „შენი გახსენების ჭირიმე, ჩემო დარდის და სიხარულის მოზიარე. კწერ შენი უმსახური რძალი. შენი გახსენების ჭირიმე, დიელავ“ (H 1258 ბ). ჩანს, მუჰაჯირი ქალი ოსტატურად ანაცვლებს თურქულ და ქართულ ლექსემებს გრძნობებისა და ემოციების ექსპრესიისთვის.

წერილის ავტორი კოდის შეცვლას არა მხოლოდ ცალკეული ლექსემის, არამედ ფრაზების ურთიერთმონაცვლეობის გზით ახერხებს. ამ მხრივ საინტერესოა კალკური ფრაზეოლოგიზმების რამდენიმე შემთხვევა. საზოგადოდ, სამხრულმა

კილოებმა თურქულთან უშუალო კონტაქტის შედეგად აღმო-  
სავლურ ფრაზეოლოგიზმთაგან ნაწილი უცვლელად გადმო-  
იღო, ნახევრადკალკებში არაბული, სპარსული და თურქული  
ლექსემები დასტურდება. ეს საინტერესო ფაქტია როგორც  
ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ისე ლინგ-  
ვოკულტუროლოგიის თვალსაზრისით.

„სამხრულ კილოებში ოსმალთა ბატონობისა თუ თურქუ-  
ლთან უშუალო კონტაქტის შედეგად გაჩნდა ბევრი კალკი.  
ფრაზების სხვა ენის ყაიდაზე აგება ამავდროულად მეტყველე-  
ბის ფსიქოლოგიის შეცვლაცაა. სპეციალურ ლიტერატურაში  
აღწერილია შემდეგი კალკები აჭარულში: **ყუსურზე არ დიმი-  
ხედოთ, სულის სიმწარით, სიტყვის დაკავება// ნაქცევა, თვა-  
ლიდან ჩამოგდება, ქესაში ჩაგდება** (სპ. დაიმედება), **ეზიეთის  
მიცემა** (შ. ნიჟარაძე); **ბოლთის ცემა** (კ. დონდუა); **სჯულიდან  
გადაბრუნება, კლავის განვდა, ენაზე მოსვლა** (ნ. გურგენიძე);  
**ხათრის გატეხა, წყალივით იცის** (ს. ჯიქია); **ლაზურში- ჯონის  
ჭამა, ამბის მიცემა, პირდაპირ მოსვლა და ა.შ.** (ს. ჯიქია); **ყუ-  
სურზე დარჩენა, ყუსურის ჩუქება, ბეზარზე მოსვლა, ხათრის  
აშენება, ცოდვები გავა მეიდანში, იუზის მიცემა, ფითის მიცე-  
მა, ხიშმის ჭამა, ყაფა აღარ საქმობს...**“ (ცეცხლაძე, 2016:133).

საინტერესოა, რომ ზემოთ დასახელებულ წერილში დასტუ-  
რდება კალკირებული ზმნური ფრაზეოლოგიზმი – **ყუსურზე  
არ დიმიხედოთ**.

**ყუსურზე დახედვა** ფიგურული გამოთქმაა და ნიშნავს ნა-  
კლის დანახვას, ამის გამო დანუნებას. **ყუსურზე არ დიმიხე-  
დოთ** - ნუ დამძრახავთ (**ყუსური** არაბ. kuşur -ნაკლი, დეფექტი,  
დანაშაულია, მთლიანი გამოთქმა თურქული kusura batmamak  
კალკია (გურგენიძე, 1973:77). მაგ: კარქა თუ ვერ შექხედეთ,  
**ყუსურზე არნა დიგვიხედო** და კიდონა მოხვიდე (ჩვენებ.).

მ. ბარამიძემ შავშურში დაადასტურა ამ გამოთქმის სტრუქ-  
ტურული ვარიანტი **ყუსურზე არ დიმიჩჩე**: ჭამოთ'ნა, ქათამიც  
არი, ყუსურზე არ დიმიჩჩეთ (შავშ. 400). აქვე გვხვდება თურქუ-  
ლი გამოთქმაც: წყალ'ნა ნავხედო, მარტოჲ გაგდებ, **ყუსურ ბახმა**

(იქვე, 384) (ბარამიძე, 2011:46), რომელიც აჭარულში არაა.

კმაყოფილების გამოსახატავად წერილის ავტორი იყენებს  
შესიტყვებას **რაზ გახთა**.

Razi (არაბ.) ნიშნავს თანახმას, კმაყოფილს: ღმერთი **რაზი  
გახადე** (იმერხ.).

ხელნაწერებში მრავლად გვხვდება ძველი ქართული ლექ-  
სიკური ერთეული და გრამატიკული ფორმა, რაც გასაკვირი  
არაა, რადგანაც ავგაროზის ტექსტებში სახარების ფრაგ-  
მენტებია: **ცხრო** და **ხურვება**. ცხრო – (ძვ. ციება): გგუემოს  
შენ... სენითა სიცხისათა და ცხროთა (II შჯ. 28,22); როგორც  
ჩანს, ციებისთვის ლოცვაში გამოყენებულია როგორც ძველი  
**ცხრო**, ასევე ახალი ქართული სიტყვა **ციებაც**: **შაუსა ხელუსა**  
ეცვა ეკავა. **შაუსა თაუსა** ებურა გუველსა...

აქვე უნდა დავასახელოთ **შეტყუვილი** – მოტყუება, ცდენა:  
ყო ესე შეტყუვილით (O IV, მფ. 10,19).

განიხსნების ყოველი **ნასკნი** და აღიხოცენი. **ნასკუ** – ძვ. ნა-  
სკვი: წმამან შენმან განჰჰსნა **ნასკვ** იგი უსამართლოებისაჲ (მ.  
სწ. 64,12).

**აღჯოცა** – მოსვრა, აღება, ამოშლა: რაითა აღიჯოცნენ ცოდ-  
ვანი თქუენნი (საქ. მოც. 3,19).

ყოველი **შეტყუვილი** ემმაკისადამცა დაიცვების, ვითარცა  
შეკრდენ და **გლიდენ**. **გლა** – ძვ. ზრუნვა, დარდი: ნუ რაჲ **გლის**  
ამას წელიწადსა (მ. სწ. 361 r).

ამრიგად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შეს-  
რულებული ხელნაწერები ფრიად საინტერესო აღმოჩნდა რო-  
გორც პალეოგრაფიის, ასევე დიალექტოლოგიისა და ქართუ-  
ლი სალიტერატურო ენის ისტორიის თვალსაზრისით. ამგვარი  
ხელნაწერებიდან კერძო წერილები ყველაზე კარგად ასახავს  
გადანერისდროინდელ ცოცხალ მეტყველებას, აქ გვხვდე-  
ბა **დიალექტიზები** (გაკუჭება, ბეჩი, დანაბეჩები, თლა (გადა-  
შლის, გადაფურცვლის, დათვალიერების მნიშვნელობით),  
ტაცება (ხელის ხლების მნიშვნელობით); **არქაიზმები** (ცხრო,  
გლა, ნასკუ, აღჯოცა, შეტყუვილი), **თურქიზმები, არაბიზმები**


თუ სპარსიზმები (აღირი, ბაშუმ სალოლსუნ, ხეირდუა, ბელქი, ენიშტე, სელამი, სელამეთობა) თუ კალკები (ყუსურზე დახედვა, რაზ გახდომა).

#### § 4. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები

##### ა) H ფონდის 1258 ბ ხელნაწერი


ჩვენს ხელთ არსებული ხელნაწერები ძირითადად XIX საუკუნის დასაწყისისაა. მათ შორის ყველაზე ადრეული კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H ფონდის 1258 ა და და 1258 ბ ხელნაწერებია. ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში მეტ-ნაკლებად სრულყოფილი ინფორმაციაა „დედაბრული ხელით“ შესრულებული დასახელებული ხელნაწერების შესახებ.

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ბ ხელნაწერი მოკითხვის წიგნია მე-19 ს. 4 გვ.; 33 x 18; ქალაღი (2 ფ. გრძლიური, ორად შეკეცილი) და შენახვის დროს (მუზეუმში შემოსვლამდე ოთხად ნაკეცი; უყდო (განაკეც ადგილებზე გაცვეთილი და დაზიანებული, ფანქრით ნანერი); აჭარული („დედაბრული“) ხელით. აქვია საყურადღებო შენიშვნებიც: 1. ხელნაწერის ხელს წინა (1258 ა) ხელნაწერთან შედარებით, მეტი კუთხოვანება ახასიათებს; 2. საყურადღებოა, რომ წერილის ტექსტი საერთოდ მარცხნიდან მარჯვნივ დაწერილი, გვერდებზე განლაგებულია მარჯვნიდან მარცხნით; 3. საინვენტარო დავთარში შეტანილია 1916 წ. ე. თაყაიშვილის ხელით: „მოკითხვის წიგნი გადასახლებული ქობულეთელიდან“; 4. 1258 ა და 1258 ბ გახვეულია თეთრ ქალაღში, რომელსაც ლურჯი მელნით აწერია: 1. [1258 ა] ქობულეთში ნაპოვნი ხელნაწერი ქართული კარაბადინი; 2. მოკითხვის წიგნი 40 წლის წინათ გადასახლებულ (მოჰაჯირ) ქობულეთელიდან ქობულეთში გამოგზავნილი ამ 8 წლის წინათ (ქსა 1948: 198-199).



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ბ (რ) ხელნაწერი

H ფონდის 1258 ა და H 1258 ბ ხელნაწერების შესახებ გაცილებით სრულყოფილ ინფორმაციას გვანვდის გაზეთი „საქართველო“ (ნულაძე 1916: №274), რომელიც სტამბულის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკის საცავში პროფესორმა შუშანა ფუტყარაძემ იპოვა. ამ ნომრის ასლი ქალბატონმა შუშანამ გადმოგვცა, რისთვისაც მას ძალიან დიდ მადლობას მოვახსენებთ. აპოლონ ნულაძის სტატიამ „ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“ ვკითხულობთ: „საკვირველი ის არის, რომ ქართული ენა და ქართული „ნიგნის“ (წერილის) წერა არ დაუვიწყრიათ აჭარა-ქობულეთიდან წასულებს - მუხაჯირებს. ლაზისტანში (ოსმალეთის სამეფოში) ქ. ათინის მახლობლად, სოფ. ესკიტრაპიზონში ცხოვრობს 90 კომლამდე ქართველი მუსლიმანი. მათში, გარდა ორიოდე კომლისა, ქობულეთიდან არიან მუხაჯირათ წასულნი ამ 40 წლის წინად. ცხადია, მათ ნათესავები ჰყავთ დარჩენილი ჩვენში (ქობულეთ-აჭარაში) და მათთან კავშირი არ გაუწყვეტიათ“. აპოლონ ნულაძე დასძენს, რომ ესკიტრაპიზონელები მენავეობას მისდევენ და ამ მეზღვაურთა ხელით იქაური ხანუმები (ქალები) აქაურებს მოკითხვის წიგნს სხირად უგზავნიან. სწორედ ეს წერილია H ფონდის 1258 ბ ხელნაწერი.



ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ბ (v) ხელნაწერი



გაზეთი „საქართველო“, 1916 წელი, №274;

„დედაბრული ხელით“ შესრულებული ერთი ასეთი წიგნი ამ ომის შემდეგაც მიიღო ერთმა ქობულეთელმა, – წერს აპოლონ წულაძე. იქაური სწერს: „აქაურობა რუსებმა ეიღეს, თქვენ ბედნიერი ხართ, რომ თქვენს ქვეყანაში ხართ, მოხაჯირობა არ იფიქროთ და თქვენს ქვეყანას გაუფრთხილდითო, ომამდი კი მიწერ-მოწერა, მისვლა-მოსვლა ხშირად იყო“... (წულაძე, 1916: №274).

აღნიშნული წერილი აპ. წულაძისთვის მიუცია ქობულეთელ ქემალ ნოღაიდელს „დედაბრული ხელით“ შესრულებული წიგნითურთ, რომელიც შემდგომ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისთვის გადაუციათ (წულაძე, 1916: № 274).

აპოლონ წულაძე წერილში ადრესანტის შესახებაც წერს: „ვინმე გურულ ყენიას გურიაში კაცი შემოკვდომია, ქობულეთში გადავარდნილა და იქ მუსლიმანობა მიუღია, სახელად მისთვის დილევერი დაურქმევიათ. დილევერიც ათინაში გადასახლებულა. და აი, მისი ქალიშვილი, ნოღაიდელის მეუღლე, მოკითხვის წიგნს უგზავნის თავის მულს, სულთანეს. სულთანე-ხანუმი თავის ძმასთან ყოფილა ესკიტრაპზონში და იქ გაუცნია თავისი რძალი. აპ. წულაძე საოცარი სიტბოთი და სიყვარულით სავსე „დედაბრული ხელით“ შესრულებული წერილის „მხედრულ“ არასრულ ვერსიას გვთავაზობს თავის სტატიაში“ (წულაძე, 1916: № 274).

როგორც ჩანს, „დედაბრული ხელით“ შესრულებული წერილის ადრესატი 1877–1878 წლების ომის შემდეგ გახიზნულა ქობულეთიდან. წიგნი კი წერილთან ერთად „ამ რვა წლის წინ“, ანუ დაახლოებით 1908 წელს, გამოუგზავნია საქართველოში.

მუჰაჯირი ქობულეთელის მიერ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შექმნილი პირადი წერილის ტექსტი გარდამარცხნივაა შესრულებული, მეორე ნაწილი კი სანინაალმდეგო მიმართულებით. კერძოდ კი, პირველი გვერდი შეიცავს ოცდახუთ სტრიქონს, მეორე – ოცდაშვიდს, რომლის თხუთმეტი სტრიქონი დაწერილია თორმეტის მიმართ თავშექცევით, მე-

სამე და მეოთხე გვერდებიც 25-25 სტრიქონია. უკანასკნელი გვერდის ოთხი სტრიქონიც დაწერილია თავშექცევით. ყველა თავისებურებასთან ერთად, ესეც აზუსტებს ამგვარი ტექსტების მიზანს, ავტორმა გაასაიდუმლოოს ნაწერის შინაარსი.

თავად წერილი, სასწაული სიტბოთი და სიყვარულით გაჯერებული, გაუღენთილია მუჰაჯირობის მსხვერპლთა განცდებით, ურთიერთპატივისცემით, ღრმა ნოსტალგიით. ჩვენ ასე თუ ისე შევძელით სრულყოფილად ამოგვეკითხა ეს ხელნაწერი. H 1258 ბ ხელნაწერი საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც იგი ცოცხალი მეტყველების ტიპური ნიმუშია:

დეულეთულო, ბედუნიერო, ბედუნიერათუ და აღირათუ გასახუსენებელო, ჩემო ამომავალო სულო და სიცოცუ(ხ)ლეო. ჯიგერო დავო დერუმანო ფაშა ბატონილაუ. შენი გახუსენებისუ ჭირიმე, ჩემო დე(რ)დისუ და სიხარულისუ მოზილარეუ. მე კუნერუ შენი უმუსახური ძალი დიდი სინატურულითუ. სელამუსუ და სელამეთობითუ ადურე ნახუსასუ მოგახუსენებუ დილელაუ. შენი გახუსენებისუ ჭირიმე, დილელაუ. ... ბაშუმუ-სალოლუსუნუ, რა უქუნათუ. სიკუდილი ჩუვეთუვინა დილელაუ, შემოგერე. მოგენერა რუმე ხუთი წიგინი გამუვაგუზანეგო. ეთი (sic) წიგინი ჩამომიუდა დილელაუ. ჩუვე თუ გუვიკითუხაუ ძალილანი კარუქუ ვარუთუ. შესუ აბავუსუ და შესუ კარუქა ყოფუნასუ თუ შეგუვატუყობილეფუ, შენ იცოდე და შენმა ქალობამუ, დილელაუ. ანი შესუ ქალიშუვილუსუ, ხუმისუ ხანუმუსუ სელამი და ხეირუდუვა მიმითუვი დილელაუ. ანი მათუ ეყურუბანა აბულამისი. ნური ბეგუსუ და ახმედუ ბეგუსუ სელამი და თუვალებუში კოცუნა მიმითუვი. მათი გახუსენებისუ ჭირიმე. ეიშალა, მეღისება თუქუვენე ნახუსვა, დილელაუ.

ანი, დილელაუ შენი წიგინი რუმე იხუვენე მემური შენი ძუმაი ხემუშილი მანუ არუ ჩამოსულა და ... წიგინი . .... არუ შეგეშინოსუ.

ადურე, ადურე ამუსუ სუთულისუ და კითუხულობუსუ. ...რუმე ვიცუ ჩამოვიდა და რა ვუქუნათუ. გამუჩესუ შუქური

ქარუქა ვართუთ, შენი ძუმაი ძალიანი კაქა არისუ, დიელაუ. ანე ნენემუ და გელინუმა ეთობუ სელამუსუ მოგახუსენა. ყუსუზე ნუ დიგუხედაუ აფერი დანერილია. აგი წიგინი თუხუმეტუ ივანობისუ თუვესუ დანერილია დიელაუ.

ანე თუ ეკადურება და გეიბედუნება ენუშუტელალუსუ და ძუმობესუ(sic) სელამუსუ და ხელუზე მოკითუხუვასუ მუვახუსენებუ, დიელაუ.

ანი, დიელაუ დუსუნელამუ იფერუ დანერილიზა რაზუ გახუთა რუმე ჩემუ ანასუ კილაუ უდა დუნეროვო, ისე თუქუვა და წიგზე კოცუნა დუუნყო, რუმე ჩემუ ანასუთანუ მიხუვალუ, წიგისუ უთუხურა, იგი ნუ მომიკუდება, აზე (sic) გადარეულია. შესუ რამესუ რუმე დეინახუსუ, ხელუსუ არუ მატაცუნისებუსუ, დიელაუ...

თუქუვა .. შერეთი და თუქუვა და ბელუქი არუ მოქუნოდება, მარა რა უქუნა, დაგაფიცა, რუმე შერეთულაიავო... უნერუსუ, რუმე ბიბილა აღასუ თუ ვინ მაქა თუ გამოვედივო, დიელაუ. შენი ძუმისულები შერითი კი გიცუნობუსუ და სულუსუ უჩენიხარუ, მარდესელაუ( sic).

ანი როხუსეთუმა დიდი სინატურულითუ, სელამუსუ და ხეირდუვასუ მოგახუსენებუსუ დიელა.

და ნადირელამ და ნაფიელამუ და თერათიმუ სელამი და მოგახუსენა...

ანი, დიელაუ. შენუმა ძუმისულუმა დუსუნიმუ და შერითიმუ ძუძუვებუზე და ხელებუზე მოკითუხუვასუ მოგახუსენებუსუ, დიელაუ. შესუ ძუმისულებუსუ თუ იკითუხაუ კაქა არიანუ. შერითულა ფეხი ეიდუგა. ...რუმე კი მოგეგებება, იშალა, დიელაუ.

აქვე გთავაზობთ ტექსტის გაშიფრულ ვერსიას (ავტ.)

**წარჩინებულო, ბედნიერო, ბედნიერად და ძვირფასად გასახსენებლო, ჩემო ამოსავალო სულო და სიცოცხლე, დაო, დარდის წამალო, ფაშა ბატონო. შენი გახსენების ჭირიმე, ჩემო დარდის და სიხარულის მოზიარევე. მე გწერ შენი უმსახური**

**რძალი, დიდი მონატრებით. სალამს და სიკეთით ადრე ნახვას მოგახსენებ, დაო.**

შენი თავი მიცოცხლოს ღმერთმა, რა ვქნათ. სიკვდილი ჩვენთვისაა დაო, შემოგვევლე. მოგიწერია, რომ ხუთი წიგნი (აქ. წერილი. ავტ.) გამოვაგზავნეო. მე ერთი წერილი მივიღე, დაო. ჩვენ თუ მოგვიკითხავ, ძალიან კარგად ვართ, შენს კარგად ყოფნას თუ შეგვატყობინებ, შენ იცი და შენმა ქალობამ, დაო. შენს ქალიშვილს, ხურმის ხანუმს, სალამი დაგულით დალოცვაგადაეცი. მათ ენაცვალათ მათი ბიცოლა. ნური ბეგს და ახმედ ბეგს სალამი და თვალებში კოცნა მიმირთვი. მათი გახსენების ჭირიმე. ღვთის წყალობით, მეღირსება თქვენი ნახვა, დაო.

შენ რომ გვთხოვე, შენი სახელმწიფო მოხელე ძმა, ხემშილი არ ჩამოსულა... ამ წიგნს ადრე-ადრე გადაშლის და კითხულობს ხოლმე. გამჩენს მაღლობა, კარგად ვართ, შენი ძმაც კარგადაა. დედა და რძალიც მოკითხვას ვითვლის. მოგვიტევე ასეთი დანერილის გამო. ეს წერილი, დაო დანერილია თხუთმეტ ივანობისთვეში (ივნისში).

თუ იკადრება და გაიბედება სიძე ბატონს სალამს და ხელზე მოკითხვას მოგახსენებ, დაო.

დაო, დურსუნი ასეთი დანერილის გამოც თანახმაა. ჩემს დედას კიდევ უნდა დავუნეროო და წერილს კოცნა დაუნყო. შენს რამეს რომ დაინახავს, ხელს არმახლებინებს. შენი ძმისწულებს სულს ურჩვენიხარ, დაო. როხსეთმა დიდი მონატრებით სალამი და გულით ლოცვა გადმოგცა დაო.

შენმა ძმისწულებმა დურსუნმა და შერითიმ ძუძუებზე და ხელებზე მოკითხვა მოგახსენეს. შენს ძმისწულებს თუ იკითხავ, კარგად არიან. შერითულამ ფეხი აიდგა. ღმერთით, მოგეგებება, დაო.

უალრესად საინტერესოა დედაბრულით“ შესრულებული პირადი წერილების შინაარსი. ტექსტში საუბარია ხელებსა და თვალებში კოცნით სიყვარულისა და ურთიერთპატივისცემის გამომხატვაზე, რომლის ტრადიციაც საქართველოში არ

დასტურდება. ფაქტობრივად, წერილი გაჯერებულია ამგვარი შესიტყვებით. საზოგადოდ, ხელზე ამბორი სხვადასხვა კულტურაში სიყვარულის, პატივისცემისა და მოკრძალების გამომხატველი რიტუალია. დასავლეთში ამგვარ დამოკიდებულებას გამომხატავენ ხელზე ამბორით, მუსლიმები კი თავდაპირველად ხელზე ამბორის, ხოლო შემდეგ შუბლზე მიდების რიტუალს ასრულებენ. ისინი ამავე რიტუალს მიმართავენ დღესასწაულებზე (ძირითადად უმცროსები უფროსებს ეამბორებიან). ასევე საინტერესოა პირად წერილში დადასტურებული „თვალეში, ძუძუებზე კოცნა“. აღნიშნული რიტუალიც პატივისცემის, სიყვარულისა და კრძალების გამომხატველია (goguste opmek). ეს უკანასკნელი განსაკუთრებით შორი გზიდან დაბრუნებული ადამიანის პატივისცემის აღსანიშნად სრულდება (<https://tr.wikipedia.org/ge>).

აღნიშნული ტრადიციის შესახებ საუბრობს ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავალი: დიდვანებს ხელზე მუუკითხვიდით, მუუტანდით დიდვანებს შოკოლადებს, ბაქლავას. იმ დღეს იქნება მოყრილობა. სოფლის ენ დიდი თავში დადგება. ხელზე მეიკითხავენ ერთმანებს, პანვანები დიდვანებს მეიკითხავენ. დიდვანებთან წვიტები მუა. სამ დღეს ნენეა გარეთ არ წევა, იმასთან მოვლენ მეიკითხვენ. მეოთხე დღეს მანაც მის დიდთან წავა მეიკითხავს. ბაბასთან მივალთ ერთხან, იმასთან ვჭამთ. მემრე ნენესთან წევალთ, იმას მევეკითხავთ. ეს ადეთი ჩვენებურებში იქნება (აითენ გოგიტიძე (გუნდუზი), 52 წლის, თურქეთი, ქ. ფაცა). აშკარაა, ქართულ და თურქულ კულტურათა ინტერფერენცია, სხვადასხვა ტრადიციის, მრწამსის, ენის მქონე ქართველი და თურქი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობა, აისახა მუჰაჯირთა არა მხოლოდ მეტყველებებზე, არამედ მათს სოციალურ თუ ეთნოგრაფიულ ყოფაზეც.

### ბ) H ფონდის 1258 ა ხელნაწერი

ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის მიხედვით: H ფონდის 1258 ა ხელნაწერი შეიცავს 34 ფურცელს; ლოცვები და

შელოცვები; მე-19 საუკუნისა; 14,5x10,5; ქალაღი; თხელი მუყაოს კანი (ყუა - ძაფით შეკერილი), მეტად თავისებური („აჭარული“) მხედრულით. 1. ხელნაწერი საყურადღებოა, როგორც დამწერლობის, აგრეთვე ტექსტის (ენობრივი) თავისებურებით. 2. საინვენტარო დავთარში ე. თაყაიშვილის ხელით, მოკლედ ჩანწერილია: კარაბადინი, ქობულეთში ნაპოვნი, მხედრული რვეულად. 3. შელოცვებსა და ლოცვებში ვედრება ხურვების, ავი თვალისა და სხვ. საწინააღმდეგოდ. მინაწერები ყდის შიგნითა მხარეს (ქსა 1948: 198-199).

H ფონდის 1258 ა ხელნაწერი ავგაროზია. ამას ადასტურებს თვით ხელნაწერი: „ვისაცუ ესე ებისტოლე ვაგაროზი ქონედუსუ...(5 r); „ვისაცუ ესე ავაროზი ქოდესუ სახელითუ აიშესუ ... განემორენითუ კაცისა ავაროზი ვისაცუ ქონედუსუ (17 v); მე ვარუ, მე ავაროზი ვარუ (18 r).


ლოცვებსა და შელოცვებში მვედრებელი წმინდა გიორგის „კურუნებას“ შესთხოვს, ყოველისა ავადობისაგანუ, მოჩუვენებისაგანუ, ალისაგანუ, ხურვებისაგანუ (27 v). ასევეა: ლოცუვა თუვალისა თუვალცემულისა (28 r); ცივებისაგანუ და ხურუვენებისაგანუ, მუტერისაგანუ, დანაბერებისაგანუ, დუღეთა და ლამეთა მავალისაგანუ და მოჩუვენებისაგანუ და დუღუმებისაგანუ (33 r); უსუმინე ლუმერუთო მისი შეხუვენება რაცუ საქუმეზე მივიდესუ, წამარუთება მუცესუ, ამენუ კირიე... (34 r)).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ H 1258 ბ ხელნაწერი H 1258 ა ხელნაწერთან შედარებით გაცილებით ძნელად იკითხება.


უინტერვალო, უპუნქტუაციო წერა და გახმოვანება ძალიან ართულებს „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ა ხელნაწერის წაკითხვას. ამ სიძნელეს ისიც ემატება, რომ იგი ავგაროზის ტექსტია. აქვე H 1258 ა ხელნაწერი წარმოვადგინეთ გაშიფრული ვერსიით.

1r აიშეი, ვითარუ წიმიდისა იქა საწუთუროსა ამასა შინა ითუხოვა უფულისაგანუ ისოსუ ქურისუთუსოსაგანუ, მოელო





ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H 1258 ა ხელნაწერი



ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული H 1258 ა ხელნაწერი

და თუქუვა: გიგალობუ და თუქუვა: მე, უფალო ცათა და ქუ-  
ეყნისაო, დულისა შინა //სანუთროში აიშემ როგორც ითხოვა  
უფალი იესო ქრისტესაგან, მიეცა და თქვა: უფალო, ცათა და  
ქვეყნისაო,

**1v** წიმიდისაო კუვირიკისაო, განიხუსენი ყოველი ნანასუ და  
აღიხოცების, სადაც ყოველი საცუთური სახარება მუხუთისა-  
თა დულისათა გულისათა ენებოს ...დესა სახელი წუმიდითა  
შენი// წმინდისა კვირიკისაო, გახსენი ყოველგვარი ნასკვი და  
სადაც ყოველგვარი საცუთური იქნება უფლის წმინდა სახელით

**2 r** და სახელი მონისა შენისა კვირიანესი ვილიტოდი (sic)  
და იმუ... ოვე მედუგარი სალუმობა ცუხურო და ხურუვებისა  
განუთავები ანუ ყოველი და ერინითინი, ღომერუთო, ჩემო,  
სადაცუ იხუსენებოდესუ სახელი წუმიდაო// ყოველგვარი ავა-  
დმყოფობა, ცივება და ხურუება, სადაც იხსენებოდეს უფალო,  
შენი და შენი მონის, კვიპრიანეს სახელი

**2 v** შენი სახელი მონისა შენისა კუპირიანე ვიტუყოდი მაცუ-  
ხოველი ყოველი. მედუგარი ცუხოს და ხურუვებისაგანუ ყო-  
ველი და ერინი მათინი უკუთურიინი სამობა და მოხუთომელი  
გალობანი და დაუყენე თუვალი// სახელი მონისა შენისა კვიპ-  
რიანესვიტყოდი მაცხოვნებელი ყოველი.ცივებისა და ხურუე-  
ბისაგან. ყოველი და ერი უკუთური...

**3 r** სა კაცისათა ანუ სოფელუთანა იხსენი სული უკეთური-  
ნი ..... მუტერისუ ოდესუ იკითუხოსუ ლოცუვა ესე სახელისა  
შინა მისითა წინა შეთუხოველითა მისითა// ყოველისა კაცისა  
და სოფლისა იხსენი უკეთური სული... როცა ამ ლოცვას წაი-  
კითხავს მისი სახელით მთხოვნელი იხსენი...

**3 v** განამოხსენი ... ყოველისა ეშუმაკისა ნასუკუნისა და კუ-  
ნებისაგანუ ცუხოებისა და ხურუვებისაგანუ ყოველი ჩანასუ  
... წინა თუვალითა მისითა იგი// ყოველგვარი ეშუმაკისეული  
ნასკვი და ავადმყოფობა

**4 r** განუმოხსენილ არის ყოველისა ეშუმაკისა ნასუკუნისა  
და კურუნებისა. ყოველისა მედუგარისა, ცუხურო და ხურუვე-  
ბისაგანუ ჩანუსა წინაშე თუვალითა მუთა ყოველი კი ჩანუსუ

(sic)// იხსენი ყოველგვარი ეშუმაკისა ნასკვისაგან. ყოველგვარი  
ცივებისა და ხურუებისაგან.

**4 v** აღისა ცენისა წინაშე მისი ..... მარუთული .... მის წუ-  
მიდითა დამცა დაიცავენ სახელი მისი ყანა და ვენახი ნაყო-  
ფიერიმუცა მხთისა ძალითა მამისა ძისა, სულისა წუმიდისა.//  
ღმრთის ძალით, მამისა ძისა, სულისა წმიდისა ..... დაიცავი  
სახლი, ყანა და ვენახი ნაყოფიერი....

**5 r** ვისაცუ ესე ებისუტოლე ვაგაროზი(sic) ქონედუსუ, სახე-  
ლითუ აიშესუ ვითუარუსა და ენახანი, რომელითა სამოთუხე  
და ედემი განადაფისონი და ურაცონი ყიმურისანი რომელი კი  
ნანუ.....// ვისაც ეს ავგაროზის ებისტოლე ჰქონდეს აიშეს სა-  
ხელით...

**5 v** მუბელი და მუთოვარეთა ვერავინ გინა ალი უხოველი  
კი სახელითუ ერი თუ ვინ ნუცა დადუგომელი ხორუცუსა. ესე  
სეულეება ეშუმაკისა ცუხურო და ხურუება და შეტუყული ეშ-  
მაკისა დაცადა// ვისაც ეს ეშუმაკისეული სნეულეება ციება და  
ხურუება ჰქონდეს

**6 r** ცივებისა წინაშე თუვალითა მისითა ებისტოლე იახულოს,  
ზეცისა და ქუვეყუნისა და ამისა ხატოვანებითა ეველისათა,  
მორუნუმუნებითა აბარამისთა, წინანარუმეტუყუველებითა

**6v** იაკობუსათა, ძრიელობისათა, სიმუდაბულითა მოსესი-  
თა, წინანარუმეტუყუველებითა და ელისა და დავითისათა,  
სოლომონისათა. ლოცუვა ეჯკელითა მითისათა // ებისტოლე  
... ზეცისა და ქვეყნის, ელიას ხატოვანებით, აბრამის მორ-  
ნმუნებით, იაკობის წინასწარმეტყველებით, მოსეს ძლიერები-  
თა და სიმდაბლითა, წინასწარმეტყველებითა ელიასა და დავი-  
თისა, სოლომონისა

**7r** წინანარუმეტუყუველობითა და ძალითა დიდითა მოცი-  
ქულითა, წინანარუმეტუყუველობითა მონამეთა მარუტუვი-  
ლითა მარუტომყოფილისათა შორითა მესვეტისათა, მუგა-  
ლობელისათა არა არისუ //წინასწარმეტყველებითა მონამეთა  
მარტვილთა მარტმყოფელთა შორის მესვეტისა მგალობელთა  
არ არის

**7v** ზაკუვარი და ზაკუვა და ფიცითა, რომელითა გარისიხე-  
ბი მუშუვიდობისა ძალისათა ზეცისა და ქუვეყანისათა. სახე-  
ლითუ უფულისა ჩუვენისა იესუ ქურისუტისა // *მზაკვარი და  
ზაკვა და ფიცითა, რომლითა განრისხდები მშვიდობის ძალით  
ზეცისა და ქვეყნისა. სახელით უფლისა ჩვენისა იესო ქრისტე-  
სა*

**8r** ლოცუვა სამთა რუყუმათა გამოცუდილებითა წუმინუ-  
დათა ხიმითა ქუხილისათა, სინათულითა ეველიასითა, შესუ-  
ხუმითა ანუგელოზითა მუშუვიდობითა მომავალისათა, რომე-  
ლი გამოჩუნუდა მუთასა ზედა// *ლოცვა სამთა ყრმათა. გამოც-  
დილებითა წმინდა ხმათა ქუხილითა, ელიას სინათლითა*

**8v** სიონუსა დიდითა ძალისა ძრიელობითა, რომელი გარი-  
დამოხუთა სასუნაულითა და საკუვირელებითა ვერ იტუყუ-  
ვისუ ენა კაცისა ერითა შინა, რომელი განუმუბურავალიდე-  
ნუ(sic) ქუხილი, ჭება მათა// *სიონის მაღალ მთაზე გამოჩნდა  
ძლიერი ძალით გარდა სასნაული საკვირველებით, სასნაული  
ჭება-ქუხილი*

**9r** ყოველუთა მისასა შეკურიდენუ და უკუნ იქუეცი ეშუმა-  
კო, მედუგარო. გირუძინეულეა სამობა, ცუხო და ხურუვება  
და შეტუყული ეშმაკისა თუ დაშუთენუ ეშმაკინი // *მისგან შე-  
კრთი და უკუიქეც ეშმაკო. გრძნეულეების ტკივილი, ციება და  
ხურვება და ეშმაკის შეტყუება, დარჩენ ეშმაკნი*

**9v** ზეცა და შეცინუდა ნაკუვეცუხალი, ცეცუხულისა და  
წყლითა ზულუვისათასა. სახელითა ძირიელო შამოქუმედისა  
კურუთუხეულისათა, ვითარუცა დადუნესუ// *ზეცას შეცვივდა  
ნაკვერჩხალი, ცეცხლი და წყალი ზღვისა, სახელითა ძლიერო.  
ვითარცა დადნეს ცეცხლის წინაშე, ეგრე განქარდეს ყოველი  
ტკივილი, ციება და ცხელება, ქერუბიმთა გალობითა იესო  
ქრისტეს ამაღლებას*

**10r** ... წინაშე ცეცუხულისათა, ეგრე თუ გაქარუდენუ ყო-  
ველი მედუგარი სამობა ცუხურო და ხურუვება, გალობითა  
ქერობინითა, არისებასა ამაღლებითა უფულისა ჩუვენისა //  
*წინაშე ცეცხლისა, ეგრე განქარდეს ყოველი მედგარი ტკივი-*

*ლი, ციება და ხურვება, ქერობინთა გალობითა, ჩვენი უფლის  
არსების ამაღლებით*

**10v** იესოსუ ქურისუტისაითა ზეცადა. ძირიელობითა მისი  
სახელითა მხითთა მათა. სახელითა მოციქულითა მიქაელუ  
გაბურიელო ურაელოსა ურაელო რაფაელორა შუტაელო ზე-  
ცაფაელო // *იესო ქრისტესისა ზეცად სახელითა მოციქულითა  
მიქაელ გაბრიელო ....*

**11r** იოვანე ამუბირეოკო(sic)სახელითა დიდითა ანუგელო-  
ზითა ძურიელობითა დაიცენისუ. შეკურიდესუ ყოველი ეშუ-  
მაკინი და მედუგარისა და გუნუდი მათნი ბილნებისა და// *იო-  
ვანე ამუბირეოკო, სახელითა დიდითა ანგელოზითა ძლიერებითა  
დაიცავი. შეკრდეს ყოველი ეშმაკი და მედგარი და მათი გუნდი  
ბილნებისა და*

**11v** გიძინეულისაგანუ ლოცუვა ზაკული ბედისათა. რომე-  
ლი ითუხოვა შემატება ცუხურებისა და ეგრევე შემატა აგე-  
ლოზუმა .... მუშუვიდობისა, ვისაცუ ესუ// *გრძნეულეებისაგან,  
ლოცვა ზაკული ბედისა... ვისაც ეს*

**12 r** აგაროზი ქოდესუ, სახელითუ აიშესუ სახელითა სახა-  
რებისა ტივილისათა(sic) პეტურესითა, პაულესითა ლოცუვა  
წუმინუდათა მოციქულითა გვირინითა ეველიასითა, მორი-  
წუმუბითა სახელითა იესოსუთა// *ავგაროზი ჰქონდეს, აიშეს  
სახელით ... სახარებითა პეტრესა და პავლესითა ლოცვა წმი-  
ნდათა მოციქულთა, გვირგვინითა ელიასა, მორწმუნებითა სა-  
ხელითა იესოსა*

**12 v** რომელი არისუ სასო ყოველითა სახეთუ ლუმერუთო  
ანუ შენუ მიეცი დიდება ლუმერუთოსა. სახელითა წუმინუდი-  
თა და მოციქულითა გვერიგუნებითა იელიასითა...// *რომელი  
არის სასო ყოველთა. ღმერთო, შენ მიეცი დიდება ღმერთსა.  
სახელითა წმინდითა და მოციქულითა გვირგვინებითა ელია-  
სითა...*

**13 r** მორუწუმუნებითა სახელითა იესოსითასა, რომელიც  
არისუ სასო ყოველითა სახელითუ ან ... სული მიეცი დიდება  
ღუმერუთუსა სამებისა ხელითა წუმინდითა და სადა მო ... მა-

რიამ... კაცისა // **მორწმუნებითა სახელითა იესოსითასა, რომელიც არის სასო ყოველითა სახელით ან ... სული მიეცი დიდება ღმერთსა სამებისა ხელითა წმინდითა ... მარიამ...**

**13 v** ასოთა შინა, გინა წარბუსა, გინა თუვალისა, გინა ყურისა ან პირისა ანუ მუკერიდისა ანუ გუვერიდისა ანუ გულისა ანუ ლუვიდილისა ანუ ფანალისა ანუ ...// **ასოთა შინა, წარბუსა, თვალისა, ყურისა ან პირისა ანუ მკერდისა ანუ გვერდისა ანუ გულისა ანუ ღვიძლისა ანუ ფანალისა**

**14 r** წელუსა. ანუ ძარულუსა თავარუ და ყოველუთა განეშორენი კაცუსა მასასა .... მასა, სადაცა იხუსენებოდა ესე სახელი მუხუთისაგანუ . ..... ეშუმაკინი// **წელსა. ანუ ძარღუსა მთავარსა და ყოველთაგან განეშორე კაცსა მას ... სადაც იხსენებოდა ეს სახელი ღვთისაგან**

**14v** გაქარუდენუ სახელითა მუხუთისათა, გაფიცებუ შენუ ყოველითა სულითა, გულითა შეგიბურო ... ძალისა ჯვარი მისუგანუ იესოსუ ქურისუტესაგანუ და შეგაშინე ...// **განქარდეს ღვთის სახელით გაფიცებ, იესო ქრისტეს ჯვრის ძალით შეგაშინე**

**15r** ქარები.. ჯვართა ქურისეტესითა ანუ გართა შენუსა მუფუხურისა ანუ მუგუზარითა ... მისა ბოროტისა ანუ ატირებუესუ ანუ აცინებუდესუ // **ქარებით ... ქრისტეს ჯვრით... ბოროტსა ატირებდა**

**15v** ანუ აგონებუდესუ ანუ დუდე ანუ ღამე ანუ პირუსა, დორუბულუსა წარე გემუდესუ ანუ ლათუ... ანუ მუცუხადათუ ანუ მუძინარესა ანუ მულუვიდარესა მუცუბითა// **ანუ აგონებდეს დღე, ღამე; პირსა, დორბლსა მწარე გემო...ცხადსა ანუ მძინარესა ანუ მღვიძარესა**

**16 r** ანუ უცუნობითა დაეხუსენითუ და განეშორენითუ ვი რომელი ხემუნიფებითუ იმარხულეებითუ სოფელი აქებუდენუ მამასა ძისა, სულისა წუმინუდისა, რომელი// **ნაცნობსა თუ უცნობსა დაეხსენ და განეშორე. ვინც მარხულობს, აქებდეს მამასა, ძესა, სული წმინდას**

**16v** იყო უწინარესი საუკუნითა მამაცნობელი საშინელე-

ბათა ... რომელი .... ანუგელოზი უგალობესუ საყადარისა გაბუნუყინებულისა მუხუთებისა წამითა// **რომელიც იყო უწინარესი...ანგელოზი უგალობს საყადარგაბრწყინებულსა...**

**17r** ძალისა გულისა გულისა ლობელისათა (sic) და მუდევართასად უკეთურისა ანუ შეძლებულო დიდო ღუმერუთო იხუსენი და გადაარუჩინე მტერიდანუ// **შეძლებულო დიდო ღმერთო, იხსენი და გადაარჩინე მტრისაგან**

**17 v** ხელითა განეშორენითუ კაცისა აგაროზი ვისაცუ ქონუდესუ სახელითუ აიშესუ ოქრობელოლულისუ ქალუსუ. შეთუ რუკინა ხარუ მე მადევარი ვარუ// **განაშორეხელითა, ავგაროზი ვისაც ჰქონდეს აიშე ოქროპირიდის ქალის სახელით. შენ თუ რკინა ხარ, მე მადევარი ვარ**

**18 r** შე თუ ცეცხული ხა, მე წუყალი ვარუ. შე თუ მერუხი ხარუ მე ვარუ მე აგაროზი ვარუ. სახელითა მუხუთითა მამისა ძისათა სულისა წუმიდისათა ლოცუვა უჟამურისა. გამოვიდა შავი კაცი// **შენ თუ ცეცხლი ხარ, მე წყალი ვარ. შენ თუ მეხი ხარ, მე ვარ ავგაროზი. სახელითა ღვთითა მამისა ძისათა სულისა წმიდისა ლოცუვა უჟამურისა. გამოვიდა შავი კაცი**

**18 v** შასა ტუყისაგანუ, შავისა კულუდესაგანუ, უფუსუკურულისაგანუ, გამოუყუვანა შავი ცუხენი, გამოილო შავი ლაგამი და უნაგირი, შეკაზუმა შავითა შეკაზუმულობითა// **შავი ტყისაგან, შავი კლდისაგან, უფსკრულისაგან, გამოიყვანა შავი ცხენი, გამოილო შავი ლაგამი და უნაგირი, შეკაზუმა შავი შეკაზუმულობით**

**19 r** სახარება ლუკუსუთესათა. წუმიდისა სახარებისა ისუმინე მარიამისა შინა. ადუგა მარიამი და წევიდა მუთასა კერუძუნუსა, ქალაქუსა დიდუსა იუდისასა და შევიდა სახელუსა// **სახარება ლუკასა. წმიდისა სახარებისა ისმინე მარიამისა შინა. ადგა მარიამი და წავიდა მთაზე, ქალაქ უდეს და შევიდა სახლში**

**19 v** ზაქარიეისასა. მოიკითუხა ელისაბედი. იყო ვითარუცა ესუმა ელისაბედისუ, მოკითუხა მარიამი. რუყუმა მუცელუსა მისასა და აღავუსო სულიწუმინუდითა// **ზაქარიასთან.**

**მოიკითხა ელისაბედი. როგორც კი გაიგონა ელისაბედის ხმა, მოიკითხა მარიამი. ყრმა მუცელში შეთამაშდა და აღივსო სულიწმიდითა**

**20 r** ელისაბედი და ხუმაყო ხუმითა დიდითა თქუვა: კურუ-თუხეული ხარ შე დედათა შორისუ. კუთუხეულ არისუ ნაყოფი შენი მუცელისა შენისა და ვინუ ესე ჩემუდა რათა მოვიდა// **ელისაბედი და თქვა: კურთხეული ხარ დედათა შორის. კურთხეულია ნაყოფი შენს მუცელში და ვინცრემთან მოვიდა**

**20 v** ესუ დედა უფილისა ჩუვენისა ჩუვენიდა რათა ... ვითარუცა იყო ხუმა მოკითუხუვისა შენისა ყურუთა მომართუ ჩემუთა, კურუთებოდა რუყუმა ესე სიხარულითა//**დედა უფლისა ჩვენისა ჩვენი... როგორც კი გაისმა ხმა, კრთებოდა ყრმა სიხარულითა**

**21 r** მუცელუსა ჩემუსა ნეტარუ არისუ სულუთა ... წამუსუ, რამეთუ იყო აღუსურულება თქუმულუთა მათი ძალუთა მიმართუ უფულისა მიერი და თუქუვა მარიამუ. ადიდებუსუ სულისა// **მუცელში, ნეტარ არს სულითა ... სწამს, რამეთუ აღსრულდა უფლის თქმული და თქვა მარიამმა. ადიდებს სულსა**

**21 v** ჩუვენსა უფულისასა უკურუნებისა და განიხარა სულუმანუ. ღუმერთო, ცუხურო და ხურუვებო ჩემო. რამეთუ მოხედნა სიდაბულოსა ხელისა თუვისისა, რამეთუ ესე არისუ...// **ჩვენსა უფლისა და გაიხარა სულმა. ღმერთო, ცივებო და ხურვებო ჩემო. რამეთუ მოხედა სიმდაბლესა... უკურუნებისა და გაიხარა სულმა.**

**22 r** არიდენუ ყოველნი ნათესავინი და გარუნა მარიამუ, მარიამუ და ნევიდესუ და გაგემორო, ამენუ. ლოცუვა ცივებისუ... ადე შენუ იქუნა ბელუქი განა კულუდესა ბოლო. // **არიდე ყოველი ნათესავი და განაშორა მარიამმა და წავა და გაგეცლება, ამინ. ლოცვა ცივების...**

**22 v** ბაგა... ესე თორუმეტი თავინი ესენი არისუ ცივებისანი. ესე მარუჯუვენასუ მუკულაუსუ ებასუ, მასუ ცივება არისუ ესუცუ... ნებითა და შენევიინითა მუხუთისათა. სახელითა ყუმარუნუვილუსა// **ესე თორმეტი თავი არის ცივებისა. ეს**

**მარჯვენა მკლავზე ებას, მას ცივება... ნებითა და შენევიინითა ღვთისა, სახელითა ყმანვილისა**

**23 r** ლოცუვა ნუმინუდისა გიორუგისა, მაქარუვებელისა. ნუმინუდა გიორუგი ჩუხარისაო, ნუმინუდა გიორუგი ხონისაო, ნუმინუდა გიორუგი სადღეგომისაო, ნუმინუდა გიორუგი ხუვამულისაო, ნუმინუდა გიორუგი გამორჩინებულისაო, ნუმინუდა გიორუგი სუჯუნისაო, ნუმინუდა გიორუგი ციხესაო, ნუმინუდა გიორუგი თერეთისაო, // **ლოცვა წმინდისა გიორგისა, მაქარვებლისა. წმინდა გიორგი ჩუხარისაო, წმინდა გიორგი ხონისაო, წმინდა გიორგი სადღეგომისაო, წმინდა გიორგი ხვამლისაო, წმინდა გიორგი გამორჩინებულისაო, წმინდა გიორგი სუჯუნისაო, წმინდა გიორგი ციხესაო, წმინდა გიორგი თერეთისაო,**

**24** ნუმინუდა გიორუგი ლანჩხუთისაო, ნუმინუდა გიორუგი ილორისაო, ნუმინუდა გიორუგი ნაბაკურისაო, ნუმინუდა გიორუგი ჭახანისაო, ნუმინუდა გიორუგი ბოჭონისაო, ნუმინუდა გიორუგი ლევედისაო, ნუმინუდა გიორუგი კონუჭეთისაო (sic), ნუმინუდა გიორუგი გურიამუთისაო, ნუმინუდა გიორუგი მელექუთისაო, // **წმინდა გიორგი ლანჩხუთისაო, წმინდა გიორგი ილორისაო, წმინდა გიორგი ნაბაკურისაო, წმინდა გიორგი ჭახათისაო, წმინდა გიორგი ბოჭონისაო, წმინდა გიორგი ლევედისაო, წმინდა გიორგი კონუჭეთისაო (სავარაუდოდ, კონჭკათი), წმინდა გიორგი გურიამუთისაო, წმინდა გიორგი მელექუთისაო (სავარაუდოდ, მელექედური)**

**25** ნუმინუდა გიორუგი ნითეთურისაო, ნუმინუდა გიორუგი ხუცუბუნისაო, გურიამეთისაო, ნუმინუდა გიორუგი სასუნაულისაო, ნუმინუდა გიორუგი ჯიხანუჯურისაო, ნუმინუდა გიორუგი ქაქუთისაო, ნუმინუდა გიორუგი ამალულებისაო, ნუმინუდა გიორუგი აჭისა, ნუმინუდა გიორუგი წაბუნარისა, ნუმინუდა გიორუგი შუშანეთისა, ნუმინუდა გიორუგი გურისაო, ნუმინუდა გიორუგი ახალუჩენისაო, ნუმინუდა გიორუგი ვაკისაო, ნუმინუდა გიორუგი ხუცუბუნისაო, // **წმინდა გიორგი ნითეთურისაო (sic), წმინდა გიორგი ხუცუბუნისაო, გუ-**

*რიანთისაო, წმინდა გიორგი სასწაულისაო, წმინდა გიორგი ჯიხანჯურისაო, წმინდა გიორგი ქაქუთისაო, წმინდა გიორგი ამაღლებისაო, წმინდა გიორგი აჭისა, წმინდა გიორგი ნაბნარისა, წმინდა გიორგი შუშანეთისა, წმინდა გიორგი გურისაო, წმინდა გიორგი ახალშენისაო, წმინდა გიორგი ვაკისაო, წმინდა გიორგი ხუცუბნისაო,*

26 წმინდა გიორგი გუვარამეთისაო, წმინდა გიორგი კუვირიკისაო, წმინდა გიორგი ჩუხარისაო, წმინდა გიორგი ჩაქუვისუთავისაო, წმინდა გიორგი ჭახათისაო, წმინდა გიორგი კეჭიეთისაო, // *წმინდა გიორგი გვარამეთისაო, წმინდა გიორგი კვირიკისაო, წმინდა გიორგი ფუხარისაო, წმინდა გიორგი ჩაქვისთავისაო, წმინდა გიორგი ჭახათისაო, წმინდა გიორგი კეჭიეთისაო,*

27 რ წმინდა გიორგი ვარუკანისაო (sic), წმინდა გიორგი ცუხემულისაო, წმინდა გიორგი ზერაბოსულისაო, წმინდა გიორგი აჭყუვისთავისაო, წმინდა გიორგი დიდაკისაო // *წმინდა გიორგი ვარუკანისაო, წმინდა გიორგი ცხემლისაო, წმინდა გიორგი ზერაბოსლისაო, წმინდა გიორგი აჭყვისთავისაო, წმინდა გიორგი დიდაკისაო*

27 v სამასსამოცდახუთო სასწაულო დიდო წმინდა გიორგი, დეიცევი და შეიბურალე ყოველისა ავათყოფობისაგანუ, ავადობისაგანუ, მოჩვენებისაგანუ, ალისა და სუხვისაგანუ // *სამასსამოცდახუთო, სასწაულო, დიდო წმინდა გიორგი, დაიცავი და შეიბურალე ყოველგვარი ავათყოფობისაგან, ავადობისაგან, მოჩვენებისაგან, ალისა და სხვისაგან*

28 რ... იხუსენი ღუმერთო, მონა თუქუვენი სახელითუ აიშესუ. ლოცვა თუვალისა, თუვალუცემულისა. იდუვა ქუვა. ქუვისა ქუვეშე ჯოხი ჯუვარისა... ერუთი თუვალი ქონუდა // *იხსენი, ღმერთო, მონა თქვენი აიშეს სახელით. ლოცვა თვალისა, თვალცემულისა. იდუვა ქვა. ქვისა ქვეშ ჯოხი ჯვარისა... ერთი თვალი ჰქონდა*

28 v წუყალისა და ერუთი ცეცხუსა. გასუკუდა წუყალი და გადიესუხა ცეცხუსული ესე ... მისა თუვალუთა ზაკუვარი, და-

სუნერე წმინდა გიორგი // *წყლისა და ერთი ცეცხლისა. გასკდა წყალი და გადაესხა ცეცხლი... დასნერე, წმინდა გიორგი*

29 რ შენი ჯუვარი. სახელითუ აიშესუ ლოცუვა ალი ეშუმაკისა. ვიყავითუ ჩუვენუ სამი ძუმანი კუვიროზ, კოროზ, კოროტინე, გევედითუ მუთასა მალალსა ნადირობუდით, უნახე კუვალი // *შენი ჯვარი, სახელით აიშეს, ლოცვა ალი ეშმაკისა. ვიყავით ჩვენ სამი ძმანი: კუვიროზ, კოროზ, კოროტინე, გავედით მთასა მალალსა ვნადირობდით, ვნახე კვალი*

29 v ეშუმაკისა, კულუდესა ძირისა. ჩავაგუდე ბადე აბურეშუმისა და შევიპყარეთუ ალი ეშუმაკი და თუქუვა მუთავარუანუგელუზუმა: რა ხარუ – თუქუვა. მე ვარუ ეშუმაკი და ასონი სუტუმაკუნი, არა დაუტიო რუყუმა ... ვიჭარით ხელუსა და // *ეშმაკისა, კლდისა ძირისა. ჩავაგდე ბადე აბრეშუმისა და შევიპყარით ალი ეშმაკი და თქვა მთავარანგელოზმა: რა ხარო. მე ვარ ეშმაკი და ..... მოვჭარით ხელი*

30 რ ფეხუკულმართუსასა, დევენახე წიგუნი წერილი თუქუვენი, გავალ გამოსუნერუდესუ და განიკურუნოსუ მონა იგი ქურისუტესი, ვისაცუ ლოცუვა ულოცუსუ ალისა ხელუსა თუვალისა გულისა // *ფეხუკულმართუსასა, დავინახე წერილი თქვენი. გავალ გამოსწორდეს და განიკურნოს მონა იგი ქრისტესი, ვისაც ლოცვა ულოცოს ალისა თვალისა*

31 რ დიდებისასა. მიქაელი გაბურიელი მუთავარუანუგელოზი ანატერილობუდესუ (sic) მათუ მამადუგესუ ნადირი ყოველუთა ვარესი, რომელი დაიხასუ მუცელი, ზურუგუსა ტირის მუცელუსა, პირუ კისერუსა ... // *დიდებისასა. მიქელ-გაბრიელ მთავარანგელოზი... მათ ... ნადირი ყოველთა უარესი...*

31 v ქუხილისა წერილი მათინი ფითინი (sic) უკუმოსი თუმანესი წურითა ზეცისათა გამონუმედელი ღუმერუთა მიქელუგაბურიელი მუთავარუანგელოზი. მოუკალითუ ნადირი // ... *მოვკალით ნადირი*

32 რ ყოველუთავარესი... ეხუვნებოდა ალი მიქაელუსუ, ნუმომუკულაუ. თურე შევეხე დედაკაცუსა მუშობიარესუ, სადაცუ ისუმოდესუ ხუმა თუქუვენი, ვიტუყოდეთუ მუხდითა კუ-

ლუდესა ძირუსა// უმთავრესი. *ეხვეწებოდა ალი მიქაელს, ნუ მომკლავ. თუ შეეხები დედაკაცსა მშობიარესა, სადაც ისმოდეს ხმა თქვენი...*

**32v** გვევგებეთუ ქუვე... იხუსენი და გადაარუჩინე ყოველი-სა თუვალუნაკრულისაგანუ სახელითუ აიშესუ, იხუსენი ავი ყოფისაგანუ, ავადობისაგან, *//გავეგებეთ... იხსენი და გადაარჩინე ყოველი თვალნაკრულისაგან, აიშეს სახელით, იხსენი ავადყოფობისაგან,*

**33 r** ცივებისაგანუ და ხუვეებისაგანუ, მუტერისაგანუ, დანაბერებისაგანუ. დულეთა და ღამეთა მავალისაგანუ და მოჩუვენებისაგანუ და დადუმებისაგანუ *// ცივებისაგან და ხურვებისაგან, მტრისაგან, შეშინებისაგან. დღითა და ღამით მავალისაგან, მოჩვენებისაგან და დადუმებისაგან.*

**33 v** ეშამაკისაგანუ იხუსენი და აგრუფინე (sic)... ლუმერთო შენი ჯუვარი და შეიბურალე ყოველი ავი საქუმისაგანუ მონავედურები შენი. უსუმინე ლუმერთო *//ეშამაკისაგან იხსენი და... ღმერთო, შენი ჯვარი და შეიბურალე ყოველი ავი საქუმისაგან მონავედურები. უსუმინე ღმერთო*

**34 r** მისი შეხუვენება, რაცუ საქუმეზე მოვიდესუ, წამართება მიეცესუ, ამენუ. კირიე...*//მისი ვედრება, რომელ საქუმეზე მოვიდეს, წარმატება მიეცეს, ამინ.*

**34 v** სახელითა მუხუთითა, სულისა წუმინუდისა, ლოცუვა თუვალისა, ზეციდანა მოვიდოდა ანუგელოზუნები მუხუთისანი, გულუზე ეკიდენუ...*//სახელითა ღვთითა, სულისა წმინდისა, ლოცვა თვალისა, ზეციდან მოდიოდნენ ანგელოზები ღვთისანი, გულზე ეკიდათ...*

H ფონდის 1258 ა ხელნაწერი, ისე როგორც ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი, ავგაროზებია, რასაც თავად ტექსტები ადასტურებს: ვისაცუ ესე ებისუტოლე *ავგაროზი* (sic) ქონედუსუ (**5 r**); ვისაცუ ესე *ავგაროზი* ქოდესუ (**12 r**). ეს ორი ხელნაწერი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელითა“ შესრულებული, კერძოდ კი სიტყვათა შორის არ დასტურდება ინტერვალი,


არცერთი პუნქტუაციური ნიშანი და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დასტურდება ხმოვანმეტობა (მართალია, ნაკლებად პრინციპულად, ვიდრე პირად წერილში (მ.ხ.): განიკურუნოსუ მონა იგი ქურისუტესი, ვისაცუ ლოცუვა ულოცუსუ; გვევდითუ მუთასა მალალსა ნადირობუდით, უნახე კუვალი.

ავგაროზში სახარების ფრაგმენტებია, დასტურდება უამრავი ქრისტოლოგიური ტერმინი: გალობითა *ქერობინითა* არისებასა ამაღლებითა უფულისა ჩუვენისაიესოსუ ქურისუტისაითა (**10v**) *// ქერობინთა გალობითა ამაღლებითა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა;* წმიდისაო კუვირიკისაო (**1v**) *// წმინდისა კვირიკისა;* წინანარუმეტუყუველობითა მონამეთა მარუტუვილითა მარუტომყოფილისათა შორის (**7r**) *// წინასწარმეტყველებითა მონამე მარტმყოფელთა შორის;* წინანარუმეტუყუველებითა იაკობუსათა, ძრიელობისათა, სიმუდაბულითა მოსესითა, წინანარუმეტუყუველებითა და ელისა და დავითისათა, სოლომონისათა (**6v**) *// წინასწარმეტყველებითა იაკობისა, ძლიერებითა, მოსეს სიმდაბლითა, წინასწარმეტყველებითა ელიას, დავითისა და სოლომონისა.*


ტექსტში ვედრების ტრაფარეტია წარმოდგენილი. დადასტურებულია მვედრებელის სახელი და გვარიც: განეშორენითუ კაცისა ავაროზი ვისაცუ ქონუდესუ სახელითუ *აიშესუ ოქრობელოდულისუ* ქალუსუ ანუ მვედრებელი ქობულეთელი აიშე ოქროპირიძეა. ასევე დადასტურებულია წმინდა გიორგის სალოცავები, რომლის მადლსა და ძალაში მვედრებელი ღრმად იყო დარწმუნებული.

### გ) ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერი ამ რამდენიმე ხნის წინ აღმოჩნდა ქობულეთის რაიონის სოფელ ქობულეთში მცხოვრები მეგრელიძეების ოჯახში. ახლადაღმოჩენილმა ხელნაწერმა კიდევ ერთხელ დაადასტურა „დედაბრული ხელით“ წერის ტრადიცია ქობულეთ-აჭარაში.



ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი



ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი



ქობულეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერი ტექსტი შესრულებულია ქალაქდზე, დაკეცილია კვადრატულად, გრძლიურად, რაც კიდევ მეტად ადასტურებს მის დანიშნულებას. ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით შესრულებული მანუსკრიპტი ადგილ-ადგილ დაზიანებულია, ზოგან ძაფით ნაკერი. ტექსტში ჩართულია უამრავი არქაული შელოცვა, თუმცა დაზიანების გამო იგი ნაკლულია.

იმას, რომ ხელნაწერი ავგაროზია, ვიგებთ თავად ტექსტიდან: „...წინაშე თვალთა მისთა ეს ებისტოლე **ანგაროზი** იახლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა ევლიასითა“; „გადაარჩინე ამ **ანგაროზის** ბატონი ყოველისა მარცხისაგან...“.

ავგაროზის ტექსტის ძირითადი ნაწილი სახარების ფრაგმენტებითა და ქრისტიანული ელემენტებით არის გაჯერებული, ასევე მასში სწეულთა განკურნების, არანმინდა სულთაგან შეპყრობისა თუ გათავისუფლების ლოცვები და შელოცვებია. ხელნაწერის ტექსტი კლასიკური შელოცვებია, იმდენად რამდენადაც მასში შეტანილია სხვადასხვა ტიპის სამკურნალო შელოცვა. ასევე ერთგან სამეურნეო შელოცვაც გვხვდება: წმინდითა დამცა დაიცვე სახელისი ყანა, ვაენახი ნაყოფიერცმც არს მხთის ძალითა მამისა, ძისათა, სულითსა წმინთადსა..

გვ.1. [ვისა]ც ესე წიგინი ქონდეს, მას ბოროტი, ეშმაკისა მათუნებელი, მაცუდური ვერა შეეთუხვას ვერცა დლითა ვერცა, ღამითა. ნებითა, შეწეუნითა მუხთითა. სახელითა სახარებითა ლუკასითა. წმინდითა სახარებითა ისმინე მარიამისა შინა. აღდგა მარიამ და წარვიდა

გვ. 2. მთად კერძო(ნსა) მსწრაფლ ქალაქი იუდისასა, მოიკითხა ელისაბედ. მოკითხუა მარიამისა კურთებოდა რუყუმა (sic) მუცელსა მისა და აღაუსო სულიწმიდითა ელისაბედ და ხმაყო ხმითა დითა (sic) და ქვა (რქუა): კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, კურთხეულ არ ნაყნი (ნაყოფნი) მუცელუსა შენსა და ვინ ესე დედა რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩუვენისა.

გვ. 3. ჩუვენდა ესერა ვითარცა იყო ხმა მოკითხვისა ჩუვენისა. კურთებოდა **რყუმა** სიხარულისა მუცელუსა ჩემსა და ნე-

ტარცა არს რომელთა იყო აღსრულება თქმულთა მათ მისთა. ადიდებს სულსა ჩუვენსა უფლისა და განიხარა სულმან ჩუვენმან მხთის მიმართ, მაცხოვრებისა ჩუვენისა,

გვ. 4. რამეთუ მოხედნა სიმდაბლისა ხელისათვისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლისა ხელისა თვისა, რამეთუ აჰა, ესე ამიერიდან არიდენ მე ყოველი ნათესავი და გარნა მარიამ ელისაბედ თანა. მარიამ წარვიდა სამ თვედსად თვისახად (sic) თუვისი, ამინ. ლოცვა ცივებისა: ილა ილმა ნაფალ მანა ღადებინ ჯინიქმანა მინიქმანა ბოლობა გამანა.

გვ. 5. ესე თორმეტი თავი ესენი არიან ცივებისანი. ვისაც ესე **ანგაროზი** ქონდეს, მას ბოროტი ეშმაკისა მათუნებელი, მაცუდური ვერა შეეთუხვას ვერცა დლითა, ვერცა ღამითა, ნებითა, შეწეუნითა მხთითა, ღმერთო, შეწიე და მოუხთინე სახელითა ლოცვა წმინდისა გიორგისა, ეშმაკისა გამაქარვებელისა. **წუმინდაო**

გვ. 6. **გიორგი ჩოხარისაო, წმინდაო გიორგი ხონისაო, წმინდაო გიორგი სადმირისაო, წმინდაო გიორგი გამორჩინებულისაო, წმინდაო გიორგი სუჯუნისაო, წმინდაო გიორგი ციხისაო, წმინდაო გიორგი გამორჩინებულისაო, წმინდაო გიორგი ბაილეთისაო, წმინდაო გიორგი იმერეთისაო, წმინდაო გიორგი ოდიშისაო,**

გვ. 7. **წმინდაო გიორგი ჩოჩხათისაო, წმინდაო გიორგი ლანჩხუთისაო, წმინდაო გიორგი ჩიბათისაო, წმინდაო გიორგი დუვაბზიზისაო, წმინდაო გიორგი ოზურგეთისაო, წმინდაო გიორგი ასკანისაო, წმინდაო გიორგი ნიგოეთისაო, წმინდაო გიორგი ზედობნისაო, წმინდაო გიორგი ლეხოურისაო,**

გვ. 8. **წმინდაო გიორგი ქაქუთისაო, წმინდაო გიორგი ჩეხედნისაო, წმინდაო გიორგი აჭყვისთავისაო, წმინდაო გიორგი ზენითისაო, წმინდაო გიორგი გორისაო, წმინდაო გიორგი მაცხოვრის ჭახათისაო, წმინდაო გიორგი კეჭიეთისაო, წმინდაო გიორგი ცხემლვანისაო,**

გვ. 9. **წმინდაო გიორგი ამაღლებისაო, წმინდაო გიორგი დიდვაკისაო, წმინდაო გიორგი ნათლისცემისაო, წმინდაო**

*გიორგი გვარამეთისაო, წმინდაო გიორგი შუშანეთისაო, წმინდაო გიორგი გვარისაო, წმინდაო გიორგი ახალჩენისაო, წმინდაო გიორგი თეთროსნისაო, წმინდაო გიორგი*

**გვ. 10.** *სამებისაო, წმინდაო გიორგი კუვირიკისაო, წმინდაო გიორგი ნაბნარისაო, წმინდაო გიორგი ჩაქვისაო, წმინდაო გიორგი გულიანიდისაო, წმინდაო გიორგი ციხისაო.* სამასამოცობთო(sic) დიდო წმინდაო გიორგი, დეიცევი და შეიბრალე ყოველისა ავადობისაგან,

**გვ. 11.** ავათყოფისაგან, მოჩუვენებისაგან. სახელითა მხთისათა მამისა ძისათა, სულისა წმინდისათა, ლოცვა თვალყრისა. იდვა ქვაი, ქუვასა ქვეშ ჯირკვალი, ჯირკვალსა შინა უნახე შავისა ასპიტი; ერთი თვალი ქონდა ცეცხლისა და მეორე წყალისა. გასკდა ცეცუხლი, გადიესხა წყალი,

**გვ. 12.** დაშთა ცეცუხლი. ისემუც დაშთებოდეს, ისემც და ღრებოდეს ამ კაცის თვალთა, გულთა, მუზაკუვათა, დასწერე ღმერთო შენი ჯვარი, არგე ლოცვა ჩემი სახელითა მხთითა მისა ძისათა, სულისა წმინდისა ლოცვა აღისა. სამ ძმანები თავდგირიძნები ზის სამებისა კარსა,

**გვ. 13.** კვალს უკულოვენ უალუსა. გავიდენ მთასა, მიენიენ აღსა, ხელი სტაცეს მკლავსა, მოიყუვანეს სახლსა, დასვეს კარსა, ლესუვენ რუ ხმალსა, ხუვალ მოუსჭრით თავსა აღისასა. ღუმერთო, იხსენი ყოველისა საუჟმუროს ანუ იხსენი, და იპატივე სახელითა მუხთითა, მამისა, ძისათა, სულისა წმინდისა, ლოცვა აღისა და ეშმაკისა. ჩუვენ ვიყავით სამი ძმანი სამებისა ძალისანი, ჩუვენ გუვეთქვა სახელი კუვიროზ, კოროზ, კოროტინე. გავედით მთასა მაღალუსა, ვნადირობდით, უნახეთ კვალი ეშმაკისა კლდისა ძირსა, ჩაუდგი ბადე ასი მფხარი აბრეშუმისა, შევყარეთ ალი ეშმაკი

**გვ. 14.** და თუქვა მთავარანგელოზუმა. რა ხარ? – თუქვა, მე ვარუ ეშმაკინი და ასონი სტომაკუნი არა დაუტო რყმა ვინოდე, შენი ვარ ხმელი, ვიჭარით ხელსა და ფეხუკულმართსა, და თუქვა: გაფიცებ და გაგაფუცებ მამასა, ძესა, სულუსა წმინდასა, ნუ დამჭრით ხელუსა და ფეხსა უკულმართსა. სად უნახეთ

ნიგნი წერილი თქვენი? გაუწყდეთ და გავიკურნოთ მონა იგი ქრისტესი, ვისაც ლოცვა ულოცო აღისა, თვალისა, გულისა, დიდებისა მიქელ და გაბრიელ მთავარანგელოზისა... იყო ალი მიქაელი: ნუ მომკლაუ, არა შევენთხვე დედაკაცსა მშობიარესა არუცა ვავნო...

**გვ. 15.** შენთხოვისაგან დღითა და ღამით მავალისა, განცივებისა, განცხელებისა, განცხრო დამავალისა, გაცრომის(sic), მუცისა ტკივილისამან. მტერის ბძოლისაგან იხსენ ღმერთო, სახელითა ვითარ წმინდა იქნა სანუთუროსა ამასა შინა

**გვ. 16.** ითხოვა უფლისაგან ისოს ქრისტესაგან: უფალო ცათა და ქვეყნისაო, დაღისა შინა **კავიპრიანესა** განიხსენების ყოველი ნასკნი და აღიხოცენი ყოველი საცთური. ანი, უფალო ღმერთო ძრიელო, ვითხოვე ვედრებასა და სადაცა ეხსენებოდეს სახლი წმინდისა შენი სახისა შეიბრალე, ღმერთო და სამასამოცო უთუ(sic) დიდო ანგელოზნებო. მეოხეთ ყოველისა მებრისაგან ცხრო და ხურვებისაგან განამორო მათნი უკეთურნი მოხთომილნი

**გვ. 17.** მოძღრობანი და დაუყენ და ყოველსა კაცსა თანა, რომელთანა იყნე, სული უკეთურნი უცხო მტერსა, ოდეს იკითხოს ლოცვა ესენი სახელისა წინაშე თვალთა მისთა, იგი განმოსხნილ არს ყოველი საეშმაკოს ნასკნი და კრულეებისაგანი ყოველისა მედგრისა ცხერო და ხორვებისა გარანეს(sic). წინაშე თვალთა მისა

**გვ. 18.** იგი გამოსხნილ არს ყოველისა საეშმაკოსა ნასკოსანა.... სკნიდა ველისაბედ(sic) გორისა ცხრო და ხურვებისაგან სკნიდა. შეთვალა თვალთა მისთა, რომელი არა ... აღიხოცების ... ნათლითა და ოთხნი მის

**გვ. 19.** წმინდათა დამცა დაიცვენ სახელისი ყანა და ვაენახი ნაყოფიერცმცა არს მხთის ძალითა მამისა, ძისათა, სულითსა წმითადსა. არსა ეს **ეპისტო ანგაროზი** ქონდეს, სახელით ეგრეთვე ნება დადგომილ არს გრძნელეზა(sic) ეშმაკისა ცხრო და ხურვება გაყოფილი შეტყუვილი ეშმაკისა დამცა დაიცვები.

**გვ. 20.** წინაშე თვალთა მისთა ეს **ეპისტოლე ანგაროზი** ია-

ხლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა ევლიასითა, მორწმუნებითა წინასწარმეტყველობითა იაკობითა, ძრიელობითა იოსებითა, სიმდაბლითა წინასწარმეტყველებითა ძუელისათა და დავითისათა ნეფე და სიბძნითა სოლომონისათა, ლოცვა ეზეკიელ მეფისათა,

**გვ. 21.** წინასწარმეტყველობითა და ძალითა მოციქულითა, წინასწარმეტყველობითა და მარტვილთა მარტმყოფელთა შორთა მოხვეიხსათ (sic) მგალობელისათა არა არს ზაკვა და ფიცითა, რომელთა გარისიხები (sic) მშვიდობითა მაღლისათა და ზეცისა და ქვეყნისათა. სახელითა უფლისა ჩვენისა იესოს ქრისტესითა ლოცვა სამთა რყმათა.

**გვ. 22.** გამოცთილებითა წიმინდითა ხმითა ქუხილითა სინათლითა ევლიასითა(sic), შესხმითა ანგელოზი მშვიდობითა ძალითა ძრიელებითა, რომელი გამოჩინდა სასწაული და საკვირველებითა იგი ვერ იტყვის ენა კაცისა; რომელი ერთა შინა განბრაულდენ იბხილი (sic), ჭეხა(sic) მათ ამიერი. შეკრდენ და უკუნნი... ეშმაკო რწყეულო, მედგარო. გრძნეულება, სალმობა ცხრო და ხურვება და ყოველი შეტყუვილი

**გვ. 23.** ეშმაკისა დამცა დაიცვების, ვითარცა შეკრდენ და გლიდენ. ვნებიან ეშიმაკი ზეცისა და ქვეყანისა. შეცვინდა ნაკვერცხალი ცეცხლისა და წყალი ზღვისა სახელითა ძირიელო... შემოქუმედისა კურუთუხეულისათა...

**გვ. 24.** ხელითა ძრელობა მოვედისათა კურთხეულისათა ვითარ დადნის წინაშე ცეცხლისა ეს, ეგრეთვე განქარდენ ყოველი მედგრისა სალმობა ცხრო და ხურვება, ბძანებითა ქრისტესითა ზეცადა ძრიელობითა, სახელითა მხთითა, მათა სახელითა მოციქულითა მიქაელგაბრიელუსა, სახელითა დიდსუ ანგელოზნებითა დაიყნეს! და შეკრთენ ყოველნი გუნდნი მათნი ბილნებისა და გრძნეულებისაგან. ლოცვა ეზკელ(sic) მეფისთა, რომელმან ითხოვა ... მატება ცხოვრებისა და ეგრეთვე შემატა ანგელოზმა მშვიდობა სახელითა სახარება პეტრესითა, პავლესითა, ლოცვა წიმინდითა მოციქულითა გვირგვინით ევლიასითა, მორწმუნებითა სახელითა ისესითა, რომელიც სასო ყოველთა სახელი ...

მიეც დიდება ღმერთსა ... სახელითა წიმინდითა (...თადა ჯადოცმარარა (sic)) კაცისა ასოთა შინა), გინა წარბსა შინა, გინა პირსა, გინა თვალსა, ცრემლსა (**დაზიანებულია ხელნაწერი**).

**გვ. 25.** მისა ბოროტისა. ანუ აშინებდა, ანუ ამონებდა, ანუ ატირებდა, ანუ აყინებდა(sic) ანუ დღე ანუ ღამე ანუ ძილში ანუ ღვიძილში, ანუ ჯდომაში ანუ წოლაში, ანუ მძინარესა ანუ მღვიძარეს, ცნობათა და ანუ უმცნობითა,

**გვ. 26.** დაიხსენი და განაშორე კაცსა მას სახლით. აქებდენ მამასა, ძესა, სულსა წმინდასა, რომელი იყო უწინარესი საუკუნოთა მამცნობელი საშინებელთა. ანგელოზი უგალობდა საღტარგაბრწყინებულსა..... ან მით შეგიპყრო ეშმაკისა გულისა ლომგულისა, შელოსა ლომბილისა ... ამიერიდანად მიერიდან ადგილსა განეშორენი კაცსა მას, ვისაც **აგაროზი** ქონდოს სახლით. შენ თუკი ხარ მიმდევე ხარ, შენ თუ ცეცხლი ხა მე წყალი ვარ. შენ თუ მერხი ხარ, მე კვიტოზანა ხე ვარ. სახელითა მხთისათა მამისა ძისა სულისა წმინდისათა ლოცვა უკამურისა. გამოვიდა შავი კაცი შავისა ტყისაგან, შავისა კლდისაგან შაუსა ხელუსა ეკავა ..... შავსა თაუსა ებურა გუველსა ... მოიმათრახებდა შავსა მეიდანსა .... ცეცუხლი..... გამოილო შავი ლაგამი და უნაგირი, შეჯდა შავი კაცი შეკაზუმულობითა... შაუსა ხელუსა ეცვა ეკავა. შაუსა თაუსა ებურა გუველსა...

**გვ. 27**....თერთმეტი ანგელოზნი ზეცისანი იარებოდენ სოფლად, კურნებოდენ კერპებს და მტკივანთა, მსივანთა და ყოველთა სენთა ჯირყვალსა სლოვანისა და უსახელოსა. არა არს

**გვ. 28.** კურნელი ქრისტე ღმერთი მარგებელი სახლით ვისაც ნაეკითხოს, რასაც კაცისუ სახლსა, ვისიც სახლში იყოს, იქინაი მაუნებლისაგან ნება... ლოცვა სალმობისა, სატკივარისა, ცივებისა, ხურვებისა, მედგარისა, ტეხისა, სურავანდისა, რკუი ქარისა

**გვ. 29.** და ავსა ქარისა, მუცლისა, გულისა, წყალმაკისა, ბალასირსა (!) სიყვითლისა, სიმსივნისა მატროლებელისა ერაცისა(!) ..... რაცა ქარი და ჭირი ამა კაცისა ასოთა შინა ხარ თა-

ვსა, თვალსა, ყურსა, გულსა, მუცელსა, ზრუფსა, თეძოსა,

**გვ. 30.** თაუსა და პირსა, რასაცა ნასხმანსა შინა ხარ, წრაფლ გამოდი და განემორენი, თვარა მოვიდა მიქეელი და გაბრიელ თავარანგელოზი. დაგწუვავ ემმაკო, გირძეულო, მაუნებელო, აღის ცეცუხულითა გაგაქარვებ. ჯუვართა ქრისტესითა სახელი სახარება მათესი და წმინდისა სახარებისა ისმინე...

**გვ. 31.** მადლითა ჭეშმარიტება ქრისტესი ...ექნა, ამინ. ღმერთო და ვოთხნო თავნო სახარებანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, გადაარჩინე ამ ანგაროზის ბატონი ყოველისა მარცხისაგან, ჩხუბისაგან, საუსებისაგან, ჩვენ სამი სისა ჩვე ყოველთ მოვიღეთ მადლი მადლისანა ... რჯული მოსესგან მოეცოხლო(!) მადლი და ჭეშმარიტება ქრისტესი, მხოლოშობილისა მაგისა მიერ საუსე მადლი და ჭეშმარიტებითა იოვანე ... მაგისტვის ლაღადყო და თქვა: ესე არს რომელი ჩუენსა შემდგომად ჩუენსა და უწინიარეს იყო, რამეთუ პირველ ჩვენსა სა..

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ქობულეთის მუზეუმში დაცული ხელნაწერი დაზიანებულია, ამიტომ მისი სრულყოფილად ამოკითხვა ვერ მოხერხდა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ **ავგაროზი**- ძვ. გულზე სატარებელი რაიმე მცირე ნივთია, რომელსაც სამკურნალო ძალა ან მფარველის თვისებები მიენერებოდა.

აღსანიშნავია, რომ გვიანდელმა XIX საუკუნის ტრადიციამ გააერთიანა როგორც XIV-XV, ასევე XVI- XVII საუკუნეთა ცვლილებანი და „ავგაროზის“ სახელწოდებით შემოგვინახა არაერთი მაგიური შინაარსის მქონე ხელნაწერი, რომელთაგან ზოგი საინტერესოა თავისი ფორმითაც - გრაგნილის სახე აქვს (ჩხიკვაძე, 2007: 123). ჩვენს შემთხვევაში ხელნაწერი კვადრატულადაა დაკეცილი, რაც ამართლებს მის დანიშნულებას.

ნ. ჩხიკვაძის აზრით, „უძველესი აპოკრიფის პერსონაჟის - ედესის მთავარ ავგაროზის სახელი ზოგადი შინაარსის მატარებელ სიტყვად იქცა. წმ. გიორგის სახელთან თხზულების დაკავშირებამ მას ახალი სასიცოცხლო ძალა შესძინა (ჩხიკვაძე, 2007: 124). „დედაბრული ხელით“ შესრულებულ ავგაროზში

ჩანს წმინდა გიორგის უსაზღვრო თაყვანისცემა. ლოცვებში წმინდა გიორგია „ემმაკისა გამაქარვებელი.“

ცნობილია, რომ ქართველი ხალხი ოდითგანვე წმინდა გიორგის მიიჩნევდა თავის მფარველად და შემწედ, ამიტომაც აღარ არის გასაკვირი ხალხში გავრცელებული აზრი, რომ საქართველოში წმინდა გიორგის სახელზე წლის დღეების შესაბამისად 365 ტაძარია აშენებული. „ქობულურ-აჭარული დედაბრულით“ შესრულებულ ტექსტში ვკითხულობთ: **სამასამოცოხთო (sic) დიდო წმინდაო გიორგი დეცივეი და შეიბრაღე ყოველისა ავადობისაგან...** ხელნაწერში ჩამოთვლილია იმერეთის, გურუისა და ქობულეთ-ქვემო აჭარის წმინდა გიორგის სალოცავები: **წმინდაო გიორგი ხონისაო, წმინდაო გიორგი სადმირისაო, წმინდაო გიორგი გამოჩინებულისაო, წმინდაო გიორგი სუჯუნისაო, წმინდაო გიორგი ციხისაო, წმინდაო გიორგი გამოჩინებულისაო, წმინდაო გიორგი ბაილეთისაო, წმინდაო გიორგი იმერეთისაო, წმინდაო გიორგი ჩოჩხათისაო, წმინდაო გიორგი ლანჩხუთისაო, წმინდაო გიორგი ჩიბათისაო, წმინდაო გიორგი დუვაბიზისაო (sic), წმინდაო გიორგი ოზურგეთისაო, წმინდაო გიორგი ასკანისაო, წმინდაო გიორგი ნიგოეთისაო, წმინდაო გიორგი ზედობნისაო, წმინდაო გიორგი ლეხოურისაო, წმინდაო გიორგი ქაქუთისაო, წმინდაო გიორგი ჩეხედნისაო, წმინდაო გიორგი აჭყვისთავისაო, წმინდაო გიორგი ზენითისაო, წმინდაო გიორგი გორისაო, წმინდაო გიორგი მაცხოვრის ქახათისაო, წმინდაო გიორგი კეჭიეთისაო, წმინდაო გიორგი ცხემლვანისაო, წმინდაო გიორგი ამაღლებისაო, წმინდაო გიორგი დიდგაკისაო, წმინდაო გიორგი ნათლისცემისაო, წმინდაო გიორგი გვარამეთისაო, წმინდაო გიორგი შუშანეთისაო, წმინდაო გიორგი გვარისაო, წმინდაო გიორგი ახალჩენისაო, წმინდაო გიორგი თეთროსნისაო, წმინდაო გიორგი... წმინდაო გიორგი სამებისაო, წმინდაო გიორგი კუვირიკისაო, წმინდაო გიორგი ნაბნარისაო, წმინდაო გიორგი ჩაქვისაო, წმინდაო გიორგი გულიანიდისაო, წმინდაო გიორგი ციხისაო. წმინდა გიორგის სალოცავთა ნუსხა დასტურია იმი-**

სა, რომ ქობულეთის თითქმის ყველა სოფელში წმინდანისავე სახელობის ტაძრები ყოფილა. დაახლოებით ორსაუკუნე-ნახევრის შემდეგ, როცა დიმიტრი ბაქრაძემ იმოგზაურა ქობულეთ-აჭარაში, რეალობა ამგვარად აღწერა: „თუმცა აჭარასა და ჩურუქ-სუში ქრისტიანული ტაძრები დიდი ხანია დაანგრის, მაგრამ მოსახლეობა მათ დღემდე შიშითა და კრძალვით ეპყრობა და მათი გარშემო კორომები ხელშეუხებლად მიაჩნია; ბევრი ადგილობრივი მცხოვრები, განსაკუთრებით მოხუცები, თავის ძველ ხატებზე ლოცულობენ თავისთავისა და თავისი ავადმყოფებისათვის, მსხვერპლად სწირავენ ცხვარსა და ქათამს, უნთებენ ცვილის სანთლებს და სხვ. ისინი ახლაც ჰყვებიან, სად და რომელი წმინდანის პატივსაცემად იყო აგებული ეკლესია, ვინ და რომელი გვარიდან იყო მისი უკანასკნელი მღვდელი, სად წაიღეს ხატები“ (ბაქრაძე, 1987:72)

საყურადღებოა, რომ ტექსტში დამოწმებული სალოცავების აბსოლუტური უმრავლესობის კვალიც არ არის დღეს, ყოველ შემთხვევაში ქობულეთში მაინც. მამაჩემის (ამირან ხახუტაიშვილის) მონათხრობიც ამას მოწმობს: „ჩემი დინენე (ბეზია) გაღმა გაგვიყვანდა, სანთლებს დაანთებდა და მეტყოდა, აქ საყცარი იყო.“ დიახ, ნასაყდრალთან ანთებდნენ სანთლებს სოფელ ზენითში, რომელიც ხელნაწერში „ზენითის წმინდა გიორგის“ სახელითაა დადასტურებული. ამდენად, არსებული ცნობა მეტად ღირებულია ისტორიისათვის.

დღესდღეობით არც შუშანეთის წმინდა გიორგის სალოცავის კვალი არაა. ამაზე ჯერ კიდევ ზაქარია ჭიჭინაძე წერდა: „სოფელ ალაბარში... ერთ ალაგას ეკლესიის ქვები ჰყრია, ამ ეკლესიას წმინდა გიორგი შუშანეთისას უწოდებენ“ (ჭიჭინაძე, 2013: 60).

რამაზ სურმანიძის მიერ მოძიებული ოთხი საარქივო დოკუმენტის მიხედვით XVI საუკუნეში დასავლეთ საქართველოში, კერძოდ აჭარა-გურია-იმერეთში წმ. გიორგის სახელობის 40 ეკლესია მოქმედებდა. 1744 წლისთვის მათი რიცხვი 26-მდე შემცირებულა. 1793 წლის დოკუმენტით იგი 42-ს უდ-

რიდა. 1840 წელს მარტო გურიაში 34 იყო (სურმანიძე, 2007: 8). ჩვენს ხელთ არსებული „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები წმ. გიორგის იმ სალოცავების შესახებ გვაუწყებენ, რომლებიც ზემოთ დასახელებულ არცერთ საარქივო დოკუმენტში არ დასტურდება. ესენია: **ჩეხედნის, ზენითის** (მხოლოდ ქობულეთის ავგაროზშია), **კეჭიეთის, ცხემვანის, ქაქუთის, დიდვაკის, სამება** (მხოლოდ ქობულეთის ავგაროზშია), **თეთროსანი** (მხოლოდ ქობულეთის ავგაროზშია), **კვირიკის, ჭახათის** წმ. გიორგის სალოცავები.

ქობულეთის მუზეუმში დაცულ „ავგაროზში“ სხვადასხვა დაავადების შელოცვებია. ჩვეულებრივ იგი იწყება მიმართვით ქრისტიანული სამებისადმი: **სახელითა მხთისათა მამისა ძისათა, სულისა წმინდისათა...** ეს კი მნიშვნელოვანი ქრისტიანული ელემენტია არქაულ ჟანრში შეჭრილი. საზოგადოდ, „ქრისტიანული დასაწყისი მითითება იყო იმის შესახებ, რომ ეს ლოცვა ღვთიური ძალისაა, ამდენად, წმინდაა და მისი ცოდნა ღვთიური ნიჭით თუ ძალით მომადლებულ პირთა ხვედრია“ (გაგულაშვილი, 1986: 122).

ამ თვალსაზრისით საინტერესოა საუკუნე-ნახევრის წინ ქობულეთიდან მუჰაჯირად გახიზნულთა შთამომავლების მეხსიერებაში დაცული ინფორმაცია. კერძოდ კი ლოცვებისა და შელოცვების ტექსტები. ჩვენ ჩავინერეთ თურქეთის ქალაქ ფაცის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ქობულეთელი მუჰაჯირების შთამომავალთა მეტყველების ნიმუშები. აღნიშნულ რაიონში ოცდაათამდე ქართულენოვანი სოფელია და ძირითადად ქობულეთიდან გადასახლებულნი ცხოვრობენ. ყველაზე მაღალი სოფელია ქორლანი, რომელიც ზღვის დონიდან 800 მეტრზე მდებარეობს და აქ ჭახათიდან მუჰაჯირად წასული რომანაძეები, პაპუნაიშვილები, ანანიძეები... ცხოვრობენ. როგორც თავად ყვებიან, მათმა წინაპრებმა სრულიად უცხო მიწაზე „გამორიგებულად გააკეთეს პანაი საქართველო...“ თან გაიყოლეს მშობლიური მიწის, გვარის, გენის სიყვარული, ტანჯვითა და ვაებით ატარეს საუკუნეების მანძილზე და შთა-

მომავლობას უანდერძეს. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეხსიერებაში შემონახულ ლოცვებსა შელოცვებში, ზოგადქართულის მსგავსად, დომინირებს ქრისტიანული სამება, ქრისტიანული წმინდანები: „მარიავ, რას ტირი, მარიავ, რას კოკოტოფ?“ (მთქმელი: ავნი მესხიძე, ფაცის რაიონი სოფ. **კვაბახტარი. 76** წლის).

შელოცვათა უმრავლესობა იწყება, სწორედ, მიმართვით ქრისტიანული სამებისადმი ან უფლისადმი: სახელითა, ხტითა და მამითა ძითა... (ჰაჯერ ანანიძე, **92** წლის, სოფელი ქორღანი); ...სახელითა ხტითა, მამისა ძისა, ლოცვა სირსვილაისა (უმიან შავიშვილი, **78** წლის, სოფ თახთაბაში)... მე ვარ ლოცავი, ღმერთი მარგები (პაპუნაიშვილი ფირდოს-თარხანი, **92** წლის, სოფელი ქორღანი).

მართალია, მთქმელებისათვის მაგიური ძალის მქონე სიტყვიერ ფორმულაში ბევრი უცხო სიტყვათშეხამებაა, მიუხედავად ამისა, შელოცვის მაგიურ ძალაში ისინი ღრმად არიან დარწმუნებულნი.

სამეცნიერო ლიტერატურაში შელოცვის ხალხური წარმომავლობა ეჭვის ქვეშაა დაყენებული, იგი სასულიერო წრეების მნიგნობრული მოღვაწეობის ერთგვარ პროდუქტადაა მიჩნეული (კიკნაძე, **2006: 88**). ამას ადასტურებს ქობულეთური „ავგაროზის“ ხელნაწერი. ხელნაწერის მთელი ტექსტი ქრისტიანული ელემენტებითაა გაჯერებული. ავგაროზის ტექსტში სახარების ის მონაკვეთია წარმოდგენილი, რომლის მიხედვითაც ვიგებთ, რომ მღვდელ ზაქარიას ცოლი, „ხანგადასული“ ელისაბედი, დაფეხმძიმდა. მარიამი ნავიდა იუდეის ქალაქში ელისაბედთან. მისალმებისთანავე ელისაბედს ყრმა მუცელში შეუთამაშდა. ელისაბედი სულიწმინდით აივსო და ხმამალლა თქვა: **კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფნი მუცელსა შენსა (ლ. 1,39)**. მოცემული ფრაგმენტი ავგაროზის ტექსტებში ამგვარადაა წარმოდგენილი: **აღდგა მარიამ და წარვიდა მთად კერძო(ნსა) მსწრაფლ ქალაქი იუდისასა მოიკითხა ელისაბედ და შევიდა სახულუსა**

**ზაქარიასა, მოიკითხუა ელისაბედი მარიამისა კურთხობდა რუყუმა(sic) მუცელსა მისა და სული წმინდითა ელისაბედ და ხმაყო ხმითა დიდითა და თუქუა: კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არისუ ნაყოფი შენი მუცელისა შენისა...**

შელოცვებში მოხსენებული არიან სხვადასხვა წინასწარმეტყველი, მათ შორის ღირსი ანტონი მარტყოფელი, რომელმაც საქართველოში ჩამოაბრძანა კეცის ხატი: წინაშე თვალთა მისთა ეს ებისტოლე ანგაროზი იახლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა **ველიასითა**, მორწმუნებითა წინასწარმეტყველობითა **იაკობითა**, ძრიელობითა **იოსებითა**, სიმდაბლითა წინასწარმეტყველებითა ძუელისათა და დავითისათა მეფისათა წინასწარმეტყველობითა და ძალითა მოციქულითა წინასწარმეტყველობითა და **მარტვილთა მარტყოფელთა** შორთა მოხვიესათ (sic) მგალობლისათა არა არს ზაკვა და ფიცითა, რომელთა გარისიხები მშვიდობითა მაღლისათა და ზეცისა და ქვეყნისათა. სახელითა უფლისა ჩვენისა... გამოცთილებითა წმინდითა ხმითა ქუხილითა სინათლითა ევლაისითა (sic), შესხმითა ანგელოზი მშვიდობითა ძალითა ძრიელებითა, რომელი გამოჩინდა სასწაული და საკვირველებითა ...

შელოცვის ტექსტში წარმოდგენილია განდევნა-დაშინების ფორმულა. ამასთან, შემლოცველი დაშინების დროს ნათქვამის სიმტკიცის შთაბეჭდილების შექმნის მიზნით „ქრისტეს ჯუჴარს“, მთავარანგელოზთა და წმინდა სახარების ფიცის ხერხს იყენებს, ასევე მიქეელ და გაბრიელ მთავარანგელოზი წმინდა სახარების ძალით ახევიანებს სენს: ...რასაცა ნასხმანსა შინა ხარ, წრაფლ გამოდი და განეშორენი, თვარა მოვიდა მიქეელი და გაბრიელ თავარანგელოზი. დაგწუვა ეშმაკო, გარეულო, მაუნებელი. აღის ცეცუხულითა გაგაქარვებ. ჯუჴვართა ქრისტესითა, სახელი სახარება მათესი და წმინდისა სახარებითა.

დასტურდება ე. წ. აბრაკადაბრა, ანუ გაუგებარი სიტყვები:

**„ლოცვა ცივებისა: ილა ილმა ნაფალ მანა ლადებინ ჯინიქმანა...“**

ავგაროზის ტექსტში არსებულ შელოცვაში ორი ძალის – კეთილისა და ბოროტის პაექრობაა წარმოდგენილი. კეთილ ძალებს წარმოადგენენ ქრისტიანული წმინდანები. ბოროტი ძალები ავის მოქმედნი, დაავადების გამომწვევენი არიან: უნახეთ კვალი ეშმაკისა კლდისა ძირსა ჩაუდგით ბადე ასი მფხარი აბრეშუმისა, შევყარეთ ალი ეშმაკი და თუქვა მთავარანგელოზუმა. რა ხარ? – თუქუვა. მე ვარუ ეშმაკინი და ...

დართულია ვედრების ტრაფარეტი. მვედრებელის სახელი და გვარი კი არ არის დადასტურებული. იგი ოჯახის ავგაროზია. სამკურნალო ლოცვებსა და შელოცვებში იესო ქრისტეს მხურვალედ მვედრებელი შესთხოვს: კურნელი ქრისტე .. ღმერთი მარგებელი სახლი თვისი წაეკითხოს... რასაც კაცისუ სახლსა. ვისიცუ სახლში იყოს, იქინაი მაუნებლისაგან ნება... ლოცვა სალმობისა სატკივარისა ცივებისა, ხურვებისა, მედგარისა, ტეხისა, სურავანდისა... ყოველისა ავადობისაგან, ავატყოფობისაგან, მოჩუვენებისაგან. მადლითა ჭეშმარიტება ქრისტესი ... ექნა, ამინ.

სახარების ძალაში დარწმუნებული მლოცველი მხურვალედ ევედრება ღმერთს დაიცვას საფრთხისა და ავადმყოფობისაგან: „ღმერთო და ვოთხნო თავნო სახარებანო: მათე, მარკოზ, ლუკა და იოვანე, გადაარჩინე ამ ანგაროზის ბატონი ყოველისა მარცხისაგან, ჩხუბისაგან, ცხრო და ხურვებისაგან...“

ლოცვებში მვედრებელი ასევე წმ. კვიპრიანეს (III-IV სს), ეშმაკეულთა მკურნალს, შესთხოვს ჯადოქრობისაგან დაცვასა ეშმაკეულთა განკურნებას: დაღისა შინა კავიპრიანისა განისხნების ყოველი ნასკნი და აღიხოცენი ყოველი საცთური... ღმერთო ძრიელო, ვითხოვე ვედრება...

სამკურნალო შელოცვათა შორის განსაკუთრებით ცნობილი ყოფილა ჩვენში ცივების შელოცვა. ხალხი მაგიური ფორმულებით ებრძოდა ამ გავრცელებულ სენს (ოქროშიძე, 1960: 305). ხელნაწერში ვკითხულობთ: მედგრისა ცხერო და

ხორვებისა... წინაშე თვალთა მისა. ცხრო და ხურვებისაგან... თუმცა იქვე: ლოცვა სალმობისა სატკივარისა ცივებისა, ხურვებისა.

**დ) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზის შემცველხელ ნაწერთა ურთიერთმიმართება**

ხელნაწერთა ურთიერთმიმართების გარკვევისათვის მნიშვნელოვანია მათ შორის ორთოგრაფიულ და ტექსტობრივ სხვაობათა დადგენა. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერთა რაოდენობა თითზე ჩამოსათვლელია. ორი ავგაროზის ტექსტია, რამდენიმე პირადი წერილი (მათ შორის ორი მუჰაჯირი ქალის მიერ შესრულებული), არსებობს არაბული ლოცვის ფრაგმენტები, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ ანბანის ორი ნიმუში, ლაპიდარული წარწერა და ხელრთვები და ა.შ. შეიძლება ითქვას ამგვარი წერის მეტად მწირი ნიმუშები გვაქვს ხელთ, თუმცა მათ საფუძველზე რიგი დასკვნის გაკეთების საშუალება მოგვეცა.

აღსანიშნავია, რომ მუზეუმის ხელნაწერები ქრონოლოგიურად XX საუკუნის მეორე ნახევარს განეკუთვნება, ხოლო მუჰაჯირთა წერილები – XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისს. ქობულეთიდან მუჰაჯირად გახიზნული ქალებისა და ქობულეთ-აჭარის მკვიდრ ქალთა პირადი წერილების ურთიერთმიმართებისას დადგინდა რიგი ორთოგრაფიული განსხვავება. განსაკუთრებით ეს ეხება გრაფემას, რომელიც არ დასტურდება არც ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის №158 ფონდში დაცულ ხელნაწერებსა და არცერთ ჩვენს ხელთ არსებულ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ ხელნაწერებში, მათ შორის ხელნაწერი ანბანის რიგში. ამ საკითხთან დაკავშირებით ერთი რამ გამოიკვეთა. ხელნაწეთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ა ხელნაწერისგან განსხვავებით სიტყვაში „ბედუნიერო“ გრაფემა არ დასტურდება მუჰაჯირი ქალის ტრაპიზონიდან გამოგზავნილ წერილში, ამიტომაც ეს საფუძველს გვაძლევს, ვიფიქროთ, აღნიშნული გრაფემა ოდენ ცოცხალი მე-

ტყველების თავისებურებათა გრაფიკული ფიქსაციაა.

მუჭაჯირ ქალთა ნერილები გამოირჩევა პრინციპული უმეტობით, რასაც ვერ ვიტყვით სხვა დანარჩენ ხელნაწერზე: კი ვიცი რეიზა ქუნა, ჩემო გუნუყენილებლო გემუბურიელო დეიდალაუ; უსუფუ ეფენუდისუ ხელუ მოკითუხუვასუ მუვახუსენებუ და სამუდურავი სუყუველასუ ხელუსუ მუნუყობუდა, ჩემი საქიმე არუ გეიკარლა. (ბერძენიშვილის ხელნაწერი) **მდრ.** გამუჩესუ შუქური ქარუქა ვარუთუ; აგი წიგინი თუხუმეტუ ივანობისუ თუვისუ დაწერილია დიელაუ (H 1258 ა).

H ფონდის 1258 ა და ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერები ავგაროზებია: „...წინაშე თვალთა მისთა ეს ებისტოლე ანგაროზი იახლოს ზეცისა და ქვეყნისა და მისა ხატოვანებითა ევლიასითა“; „გადაარჩინე ამ ანგაროზის ბატონი ყოველისა მარცხისაგან...“ (ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი) და „ვისაცუ ესე ებისტოლე ვაგაროზი ქონედუსუ...(5 r); „ვისაცუ ესე აგაროზი ქოდესუ სახელითუ აიშესუ ... განეშორენითუ კაცისა აგაროზი ვისაცუ ქონედუსუ (17 v); მე ვარუ, მე აგაროზი ვარუ (18 r) (H 1258 ა)..

როგორც ზემოთ ითქვა, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ამოკითხვის სირთულეს წერის თავისებურებები განაპირობებს, ამიტომაც რიგ შემთხვევაში ტექსტის გამართვისას მათი ურთიერთმიმართების გათვალისწინება დაგვეხმარა, თუმცა აღნიშნული სირთულის დაძლევა ბოლომდე არ მოხერხდა, რადგან ავგაროზის ორივე ხელნაწერი (ქობულეთის მუზეუმში დაცული და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H 1258 ა ხელნაწერები) დაზიანებულია და ნაკლული. ტექსტობრივი მიმართებებისას დადგინდა, რომ დასახელებული ხელნაწერები ზედმინვენით ზუსტი არაა.

თუ ჩვენ სანიმუშოდ ავიღებთ სახარების ფრაგმენტებს, რომლებიც, სავარაუდოდ, გადამწერს უცვლელად უნდა დაეტოვებინა, აღმოჩნდება, რომ ისინიც კი ერთგვარად შემოქმედებითად არის გადაკეთებული:

<u>ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი</u>	<u>ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H 1258 ა ხელნაწერი</u>
<p><b>19 r</b> სახარება ლუკასუთესათა წუმიდისა სახარებისა ისუმიწე მარიამისა შინა. აღუგა მარიაში და წევიდა მუთასა კერუძუნუსა, ქალაქუსა დიდუსა იუდისასა და შევიდა სახულუსა</p> <p><b>19 v</b> ზაქარიეისასა. მოიკითუხა ელისაბედი. იყო ვითარუცა ესუმა ელისაბედისუ, მოკითუხა მარიაში. რუყუმა მუცელუსა მისასა და აღავუსო სულიწუმინუდითა</p> <p><b>20 r</b> ელისაბედი და ზუმაყო ზუმითა დიდითა თქუვა: კურთუხეული ხარ შედედათა შორისუ. კურთუხეულ არისუ ნაყოფი შენი მუცელისა შენისა და ავი ნუ ესე ჩემუდა რათა მოვიდა</p> <p><b>20 v</b> ესუ დედა უფლისა ჩუვენისა ჩუვენი და რათა ... ვითარუცა იყო ზუმა მოკითუხუვისა შენისა ყურუთა მომართუ ჩემუთა, კურთუხეობდა რუყუმა ესე სიხარულითა.</p> <p><b>21 r</b> მუცელუსა ჩემუსა ნეტარუ არისუ სულუთა ... წამუსუ, რამეთუ იყო აღუსურულება თქუმულუთა მათი ძალუთა მიმართუ უფლისა მიერი და თუქუვა მარიაში. ადიდებუსუ სულისა</p> <p><b>21 v</b> ... ჩუვენსა უფლისა და განიხარა სულუმანუ ჩუვენუმანუ მუხუთის მიმართ. ღუმერთო, ცუხურო და ხურუვებაო ჩემო. რამეთუ მოხედე სიდაბულოსა ხელისა თუვისისა, რამეთუ ესე არი სუ...</p> <p><b>22 r</b> ამიერდა არიდენუ ყოველი ნათესავინი და გარუნა მარიაში და წევიდესუ და გაგემორო, ამენუ. ლოცუვა ცივებისუ... ადე შენუ იქუნა ბელუქი განა კულუდესა ბოლო.</p> <p><b>22 v</b> ბაგა... ესე თორუმეტი თავინი ესენენი არისუ ცივებისანი. ესე მარუჯუვენასუ მუკულაუსუ ებასუ, მასუ ცივება არისუ ესუცუ... ნებითა და შეწევისითა მუხუთისათა. სახელითა ყუმარუნუვილუსა</p> <p><b>23 r</b> ლოცუვა წუმინუდისა გიორუვისა...</p>	<p><b>გგ-1</b> სახარებითა ლუკასითა. წმიდითა სახარებითა ისმინე მარიამისა შინა. აღდგა მარიაში და წარვიდა</p> <p><b>გგ-2.</b> მთად კერძო(ნსა) მსწრაფლ ქალაქი იუდისასა, მოიკითხა ელისაბედი. მოკითხუა მარიამისა კურთუხეობა რუყუმა(sic) მუცელსა მისა და აღავუსო სულიწმიდითა ელისაბედი და ხმაყო ხმითა დითა (sic) და ქვა (რქუა): კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის, კურთხეულ არ ნაყნი (ნაყოფნი) მუცელუსა შენსა და ვინ ესე დედა რათა მოვიდეს დედა უფლისა ჩუვენისა.</p> <p><b>გგ-3.</b> ჩუვენდა ესერა ვითარცა იყო ხმა მოკითხვისა ჩუვენისა. კურთუხეობდა ყურუმა სიხარულისა მუცელსა ჩემსა და ნეტარცა არს რომელთა იყო აღსურულება თქმულთა მათ მისთა. ადიდებს სულსა ჩუვენსა უფლისა და განიხარა სულმან ჩუვენმან მხთის მიმართ, მაცხოვრებისა ჩუვენისა,</p> <p><b>გგ-4.</b> რამეთუ მოხედნა სიმდაბლისა ხელისათვისა, რამეთუ მოხედნა სიმდაბლისა ხელისა თვისა, რამეთუ აჰა, ესე ამიერიდან არიდენ მე ყოველი ნათესავი და გარნა მარიაში ელისაბედი თანა. მარიაში წარვიდა სამ თვედსა თვი სახად (sic) თუვისი, ამინ. ლოცვა ცივებისა: ილა ილმა ნაფალ მანა ლადებინ ჯინიქმანა მინიქმანა ბოლობა გამანა.</p> <p><b>გგ-5.</b> ესე თორუმეტი თავი ესენი არიან ცივებისანი. ვისაც ესე ანგაროზი ქონდეს, მას ბოროტი ეშმაკისა მაუნებელი, მაცდური ვერა შინებხვას ვერცა დლითა, ვერცა ღამითა, ნებითა, შეწეუნითა მხთითა, ღმერთო, შიენიე და მოუხთინე სახელითა ლოცვა წმინდისა გიორგისა, ეშმაკისა გამაქარვებელისა.</p>



ამ ორი წიგნის ასეთი მდგომარეობა სავსებით გასაგებია. შესაძლოა, სრული და თანაც ერთგვაროვანი ტექსტის შემცველი ერთი დედანი არ ჰქონდათ.

უნდა ითქვას, რომ ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი სავსებით ამართლებს თავის ფუნქციას. იგი შესრულებულია ქალაქში, დაკეცილია კვადრატულად, გრძლიურად. რასაც ვერ ვიტყვით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ა ხელნაწერზე. ორივე ხელნაწერი ადგილ-ადგილ დაზიანებულია, რის გამოც იგი ნაკლულია. ქობულეთის ხელნაწერის ტექსტი უფრო სრულია, თუმცა შესაძლებელია H 1258 ა ტექსტი სრულყოფილი ყოფილიყო, ვიდრე იგი წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას გადაეცა, რის შემდეგაც იგი აღდგა და წიგნად აიკინძა.

ავგაროზის ორივე ტექსტი სახარების ფრაგმენტებითა და ქრისტიანული ელემენტებით არის გაჯერებული. მათში სწეულთა განკურნების, არანმინდა სულთაგან შეპყრობისა და გათავისუფლების ლოცვები და შელოცვებია. ხელნაწერის ტექსტები კლასიკური შელოცვებია, იმდენად რამდენადაც მასში შეტანილია სხვადასხვა ტიპის სამკურნალო შელოცვა. ასევე ერთგან სამეურნეო შელოცვაც გვხვდება: წმინდითა დამცა დაიცვე სახელისი ყანა, ვაენახი ნაყოფიერცმც არს მხთის ძალითა მამისა, ძისათა, სულითსა წმითადსა..

ტექსტების ურთიერთმიმართებისას გაირკვა, რომ ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი მეტად სრულია, ვიდრე ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის H ფონდის 1258 ბ ხელნაწერი. ცალკეულ შემთხვევაში სიტყვათა დანერვილობაც განსხვავდება, მაგალითად: **სამასამოციდა** წუმინდა გიორუგი (27 v, H ფონდის 1258 ბ ხელნ.) **შდრ.: სამასამოცოხთო** წუმინდა გიორუგი (ქობულეთის ხელნ. გვ. 10). ტექსტებს შორის განსხვავება თვით წმინდა გიორგის სალოცავთა ჩამონათვალშია.

ერთ-ერთი თავისებურება „ქობულეთურ-აჭარული ხელით“ წერისა, როგორც აღვნიშნეთ, ხმოვანმეტობაა. იმას, რომ ტექსტების გახმოვანება ავტორის ინდივიდუალიზმზეა დამო-

კიდებული, ადასტურებს ავგაროზის ტექსტების იდენტური მონაკვეთები: წინაშე თუვალთა მისითა ებისტოლე იახლოსუ ზეცისა და ქუვეყუნისა და ამისა ხატოვანებითა ეველისათა, მორუნუმუნებითა აბარამისთა, წინანარუმეტუყუველებითა **(6 r)** იაკობუსათა, ძრიელობისათა, სიმუდაბულითა მოსესითა, წინანარუმეტუყუველებითა და ელისა და დავითისათა, სოლომონისათა. ლოცუვა ეჯკელითა მითისათა **((6 v) H 1258 ბ) შდრ.** წინაშე თვალთა მისთა ეს **ებისტოლე ანგაროზი** იახლოს ზეცისა და ქვეყუნისა და მისა ხატოვანებითა ეველისითა, მორუნუმუნებითა წინანარუმეტყველობითა იაკობითა, ძრიელობითა იოსებითა, სიმდაბლითა წინანარუმეტყველებითა ძუელისათა და დავითისათა ნეფე და სიბძნითა სოლომონისათა, ლოცვა ეზეკიელ მეფისათა (გვ.20). როგორც ამ ორი ხელნაწერის ტექსტთა ურთიერთმიმართებით გაირკვა, H 1258 ბ ხელნაწერის გადამწერი მეტად პრინციპულად იცავს გახმოვანების წესს, ვიდრე ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერის გადამწერი, თუმცა, როგორც აღვნიშნეთ, ეს უკანასკნელი მეტად სრულყოფილია, ვიდრე ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ავგაროზის ტექსტი.

ხელნაწერთა ურთიერთმიმართებამ ასევე მოგვცა იმის თქმის საშუალება, რომ მართალია, ამგვარი წერისათვის გადამწერი თუ ტექსტის ავტორი თანხმოდანდასაყარად უცილობლად და უპირატესად უ, ა, ო ხმოვნებს იყენებს, მაგრამ ამ მხრივ მკვეთრად ჩამოყალიბებული პრინციპი, მაინც არ არსებობდა.


### ე) უცნობი მუჰაჯირი ქალის წერილი

თ. ხაჟომია „დედაბრულის“ გრაფიკულ თავისებურებებზე საუბრისას აღნიშნავს, რომ „ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე დასტურდება XIX საუკუნის ერთი რიგის საბუთებში, რომელთა მიმართ ჩვენი ყურადღება მიაქცია აკად. ნ. ბერძენიშვილმა. ესენია ქალის ხელით ნაწერი კერძო ხასიათის წერილები გურიიდან“ (ხაჟომია, 1949: 87). თ. ხაჟო-

მია იქვე დასძენს, რომ წერილები ეკუთვნის ნ. ბერძენიშვილს და წარმოგვიდგენს ნიმუშსაც. ჩვენ მოვახერხეთ წერილის იდენტიფიცირება და გავარკვიეთ, რომ სწორედ მის შესახებ ნ. ბერძენიშვილი წერს: „დედაბრული ხელი“ ნიმუში ქართული დამწერლობისა, რომელიც იხმარებოდა გამაჰმადიანებულ ქართულ მოსახლეობაში, უმთავრესად ქალებში. აქ წარმოდგენილია აჭარელი ქალის ტრაპიზონიდან აჭარაში გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტი“ (ბერძენიშვილი... 1948: 324).

ჩანს, თ. ხაყოშია აიგივეს გურულ ნასყიდობის საბუთების წერის მანერასა და მუჰაჯირი ქალის წერილის ხელს, რაც სიმართლეს არ შეეფერება.

ნიმუში I



მუჰაჯირი ქალის ტრაპიზონიდან აჭარაში გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტი

მუჰაჯირი ქალის წერილი შესრულებულია „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის პრინციპებით. საყურადღებოა, რომ როგორც H ფონდის 1258 ბ ხელნაწერში, რომელიც პირადი წერილია, მუჰაჯირი ქალის ტრაპიზონიდან აჭარაში გამოგზავნილ წერილშიც დასტურდება გრაფემა. ასევე ფრიად მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დასახელებული გრაფემა მხოლოდ ამ ორ პირად წერილში დასტურდება. როგორც მოსალოდნელი იყო, წერილში დასტურდება თურქიზმები: *დეულეთლო*, *ეფენდი*, *გელინი*. დეულეთლი არის არაბული სიტყვა Devlet – და ნიშნავს სახელმწიფოს, მმართველობას, ეფენდი efendi – ბატონს, პატივცემულს ნიშნავს, გელინი (gelin – რძალი),

ასევე დიალექტიზმები: *გაკუჭებული* (გაბრაზებული), *რეიზა* (რატომ), *გემბრიელი* (გემრიელი) და ა.შ.

ნიკო ბერძენიშვილის მიერ წარმოდგენილი აჭარელი ქალის ტრაპიზონიდან აჭარაში გამოგზავნილი წერილის ნაწყვეტის შინაარსი კი ასეთია: *დეულეთლო*, *ბედუნიერო*, *დაუ დესუპინე ხანუმო*, *თუქუვენი გაკუჭებული დაი რეხიმიე სელამუსუ*, *ხელუ მოკითხუვასუ მუვახუსენებუ*. *უსუფუ ეფენუდისუ ხელუ მოკითხუვასუ მუვახუსენებუ და სამუდურავი სუყუველასუ*. *ხელუსუ მუნუყობუდა*, *ჩემი საქიმე არუ გეიკარღია*. *კი ვიცი რეიზა ქუნა*, *ჩემო გუნუყენილებლო*, *გემუბურიელო დეიდალაუ*. *მეჯიდალა სელამუსუ და ღუმერთი კიდუე მაღირუსებუსუ თუქუვენუ ნახუვასუ*. *გელინუ ხანუმუსუ მისი ბაღუნებიღა*, *სელამი თუვალეებუმი მიკოცუნე*. *სანატურელი ხუშუტი*, *მემედი... თუვალეებუმი ვაკოცე...*

*გთავაზობთ დაშიფრულ ვერსიას.*

წარჩინებულო, ბედნიერო, დაო დესპინე ხანუმო. თქვენი გაბრაზებული და, რეხიმიე სალამსა და ხელზე მოკითხვას მოგახსენებს. ბატონ უსუფს ხელზე მოკითხვას მოგახსენებ და ყველას სამდურავს. ხელს უწყობდა ყველას, ჩემი საქმე არ გაიკარა. ვიცი, რატომაც, ჩემო გაუნაწყენებლო, გემრიელო

დეიდა. მეჯიდალა სალამს მოგახსენებს და ღმერთი კიდევ მაღირსებს თქვენს ნახვას. რძალბატონს სალამი და თვალეში კოცნა. სანატრელ ხუმუტისა და მემედს... თვალეში ვაკოცე...


ჩანს, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის ტრადიცია გრძელდებოდა მუჰაჯირად გახიზნულთა შორის. ეს ტრადიცია კი იმ პრინციპებს ეფუძნებოდა, როგორც ბიცაა: მოდიფიცირებული გრაფემები, ხმოვანმეტობა, უპუნქტუაციო და უინტერვალო წერა.

### ვ) ხოშნეთ ბაჟუნაიშვილის ხელნაწერი

ბათუმის ნიკო ბერძენიშვილის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის საცავში ინახება სოფ. ჭახათში მცხოვრები 105 წლის ხოშნეთ ბაჟუნაიშვილის ხელნაწერი, რომელიც შესრულებულია 1962 წლის ივლისში.

ანბანის რიგს შემდეგი მინაწერი აქვს: *მე მოგახსენებო* ხოშნეთი ბაჟუნაიშვილი. ავტორისეული მინაწერი შესრულებულია იმ თავისებურებათა გათვალისწინებით, რომლებიც „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელისთვისაა“ ნიშანდობლივი: უინტერვალო წერა და ხმოვანმეტობა.

1962 წელს ხოშნეთ ბაჟუნაიშვილის მიერ ჩაწერილ ანბანთრიგში 32 გრაფემაა. მასში არ დასტურდება *ძ* ასო. *ხანს* კი *ჰაეც* აქვს მიწერილი. ეს გაურკვევლობა, ვფიქრობთ, არაა ძნელი ასახსნელი. მიუხედავად იმისა, რომ *ჰაე* ცალკე გრაფემად დასტურდება ანბანთრიგში, იგი აშკარად ასახავს ცოცხალი მეტყველების თავისებურებას. ქობულეთურში *ჰაეს* შემცველ სიტყვებში უმეტესწილად *ხანი* დასტურდება. საზოგადოდ, ქობულეთურისთვის ტიპურია სპირანტი *ჰ*-ს ადგილას *ხ*-ს ხმარება. აღნიშნულ კილოკავში თვით უცხოური წარმოშობის სიტყვებში უგამონაკლისოდ *ჰ*-ს ნაცვლად დასტურდება *-ხ* (მდრ. *ჰაერი-ხაერი*, *ხაზირი//ჰაზირი* (აჭ.); *ხელალი//ჰელალი* (აჭ.) - ალალი; *ხერამი//ჰერამი* (აჭ.) - არამი. ეს იმ შემთხვევაშიც, როცა *ხ*- მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია. კერძოდ, სუბიექტური II და ობიექტური III პირის პრეფიქსია: ნაჰყევი//




ნახევი; ხავს//ჰყავს; ხოლია//ჰყოლია; ხონდა//ჰქონდა.

ქობულეთურის აღნიშნულ თავისებურებას ადასტურებს ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არაბული ლოცვის ტექსტები, რომლებიც „ქობულურ-აჭარული დედაბრულითაა“ შესრულებული. მათში *ჰაეს* ნაცვლად *ხანი* დასტურდება: ლაილახეილეა...

### ზ) ფატყუმე მიქელაძის ხელნაწერები



„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელითაა“ 1940 წლის 21 სექტემბერსაა შესრულებული ანბანი, რომელიც ხინოს მკვიდრს, 80 წლის ფატყუმე მურადის ასულ მიქელაძეს ეკუთვნის.



ფატყუმე მიქელაძის ანბანი

როგორც ბატონი ემენ დავითაძე გვიდასტურებს, ეს ხელნაწერი ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომელმა, ბატონმა ალექსანდრე ქათამაძემ პირადად მას გადასცა.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ფატყუმე მიქელაძისეული ანბანი 32 ასო-ნიშნისგან შედგება. ხელნაწერში ჰაე აშკარად ავტორის ჩანართია. კითხვის ნიშანი აქვს ძ-ს, რომელიც მხედრული ხან-ისებრია (თუმცა, ხ ცალკე გრაფიკადაა დადასტურებული ანბანში). ანბანთრიგში არ დასტურდება ყ და ეს ფაქტიც საყურადღებოა, იმდენად რამდენადაც ქობულეთურისათვის ჯ:ჟ მონაცვლეობა ტიპურია, რაც იშვიათია აჭარულისა და, ზოგადად, სამხრული მეტყველებისათვის. ქობულეთელ მუჭაჯირთა შთამომავლების მეტყველების ნიმუშებიც ამას ადასტურებს: ახალ თვარებზე მოჭოს არ დააჟღუმლებდენ (უმიან შავიშვილი, თურქეთი, ფაცის რაიონი, სოფ. კაბახტარი, 2008 წელი); მე ჯღენტს ვყავარ (დურდან




სახუტაიშვილი, თურქეთი, ფაცის რნ-ი, სოფ. ..., 2008 წელი),  
ბაუჯოლი ახმედ ბუძიაჲ მოსთქმიდა (სახუტაიშვილი 2009).

ჯ:ჟ მონაცვლეობის გამოხატულებაა ის, რომ ხოშნეთ ბა-  
ჟუნაიშვილის ანბანში ჟ და ჯ გრაფემები გრაფიკულად იდე-  
ნტურია.


ფატყუმე მიქელაძე წერს, რომ „ძველებური ქართული წერა  
ვისწავლე ჩემ ბიბლიიდან (მამიდასგან). ბავშვობის დროს  
ძველი ქართული წერა ქალებმა ვიცოდით, დასძენს ფატყუმე  
მიქელაძე. მართალია, იგი იყენებს იმ გრაფემებს, რომლებიც  
„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელისთვისაა“ ნიშანდო-  
ბლივი, თუმცა ამგვარი წერის პრინციპთაგან ავტორი მხო-  
ლოდ უინტერვალო და უპუნქტუაციო წერას მიმართავს. ფა-  
ტყუმე მიქელაძე ხმოვანთმეტობას არ იყენებს. მხოლოდ სახე-  
ლია ვოკალიზებული – ფატყუმე.

**თ) ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის №851 ფონდში დაცული ხელნაწერები**


იმას, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერა  
აქტიურად გამოიყენებოდა ქობულეთ-აჭარაში, მოწმობს  
ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნე-  
ობის მუზეუმში დაცული ხელნაწერები. სამ გვერდზე მოკი-  
თხვის წერილია, რომელიც 1984 წელს ნაწილობრივ ამოიკი-  
თხა ან განსვენებულმა ალ. ქათამაძემ, ორზე კი – მუსლიმური  
ლოცვებია. ხელნაწერს თანდართულ საინფორმაციო წერილ-  
ში ალ. ქათამაძე წერს: „...ფურცელზე ძველი დედაბრულით  
დაწერილია არაბული სიტყვებით ლოცვები, ხოლო ორ ფუ-  
რცელზე ძველი დედაბრულით დაწერილია მოკითხვის წერი-  
ლი, რომელიც ნაწილობრივ ამოვიკითხე“. ალ. ქათამაძის ინ-  
ფორმაციით, ეს წერილები ჩამოტანილია სოფელ აჭყვისთავი-  
დან და ეკუთვნის რუქიე ინაიშვილი - რომანაძეს (1900–1988  
წწ.). ტექსტის შინაარსი ასეთია:




ძალი ბატონო ნუნუ ხანუმ გელიხანუმ. მე კუნერე შენით  
ერი თუ გამულუმუჭერებელი (sic!) დიდი დედათილი გალობე-  
ლისუ (შ)უვილისუ ქალი. ძალია(ნ) მენატურები იცოდე . .....  
იმედუსუ მაძულესუ... ყურანი



... შენი სახელი ჭირიმე და შენი ..... ბადიში შუვილისუ შუვი-  
ლო ... მეგულები და იმიტომ გემიჭიდა... მომაგოდები მე ხანუ..




ეს ხელნაწერი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“  
შესრულებული არაბული ლოცვაა.




*სუხანელა ხის უვემედუ იკითუხაუ და რეჯების უ თუვარეზე, აგი თუვარეუ დეილევა, შეყუბანი დადიგება, უდა იკითუხო, უდა: ლაილახხუ, შეყუბანუ მუხამედურესულახი. შეყოთუ .... (ლიმანუ ველახელარელე... ლაყილახი ყალი იყებუ ღუვიმუ...)*

ჩანს, ხელნაწერში არაბული ლოცვებია, რომლების ავტორი მკითხველს სთავაზობს ლოცვების წაკითხვას სასურველ მთვარეში. წერის მანერა კი ტრადიციული: უინტერვალო, უპუნქტუაციო წერაა და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, დამწერს არც გახმოვანების წესი ავიწყდება (თუვარეზე, დადიგება, იკითუხო და ა. შ..



*სუხუვა რა მოკუნერო, ასულა. გაკიკვიდება ჩემუ დაწერი(ლს) რუ წეიკითუხაუ მარა ჩუვე(ნ) დუროს ასე იყო წერა. ... მომენატურე. იყავითუ კაქა და კაქა თუ იქუნებითუ ძალიანი გემიხადება. შენი ჭირიმე მასური ნუნუ გელიხანუმო, ბატონო. //*

სხვა რა მოგწერო, ასულა. გაგიკვირდება ჩემს დაწერილს რომ წაიკითხავ, მაგრამ ჩვენს დროს ასე იყო წერა. ... მომენატრე. კარგად იყავი. თუ კარგად იქნები, ძალიან გამიხარდება. შენი ჭირიმე ნუნუ, რძალბატონო.



*ყოლიფერი კაქა. დუსიკასუ ბიჭი.... შენი ჭირიმე შენი ფაშაი გეყურუბანა. იცოდე გიმიხადა როუ ჩემი თავი გაგასედა. მადულობელი ვარუ დიდი...// ყველაფერი კარგად. დუსიკას ბიჭი.. შენი ჭირიმე, შენი ბიცოლა გენაცვალა. იცოდე, გამიხარდა, რომ გაგახსენდი. გმადლობ.*

**ი) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ლაპიდარული წარწერა**

1877-78 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ ბერლინის კონგრესის გადაწყვეტილებით გამუსლიმანებულ მოსახლეობას მიეცა არჩევანის უფლება, მიეღო რუსეთის ქვეშევრდომობა ან ოსმალეთში გადასახლებულიყო. ასე დაიწყო დიდი გადასახლება, ემიგრაცია, მუჰაჯირობა. „მუჰაჯირობა უდიდესი ტრაგედია იყო ერის ისტორიაში. ძირძველი ქართული მხარეები დაცარიელდა. განსაკუთრებით დაზარალდა ქობულეთ-ჩაქვის, გონიოსა და ქვედა აჭარის რაიონები“ (ახვლედიანი, 1978: 194). 1879 წლის გასახლების შემდეგ ქობულეთში ორი ათასი მცხოვრებიდან ხუთასამდე დარჩა, ხოლო მახლობელი სოფლები სრულიად გავერანდა და გაპარტახდა. ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები დღესაც ცხოვრობენ თურქეთის ქალაქებში: გირესუნში, სამსუნში, ფაცაში, ორდუში, ფერშემბეში, უნიეში, სამსუნსა და სინოპში. თურქეთის ქალაქ ფაცაში კომპაქტურად სახლობენ ქობულეთის სოფლებიდან მუჰაჯირად გახიზნულები. სოფლებში **ბოზდაღში, თახთაბაშში, ბაჯანაქში, კარატაშში, კაბახტარში, დუაიერსა და ა.შ. ცხოვრობენ** სტამბოლიშვილები, სუქნიშვილები, ზაქარეიშვილები, ლომაძეები, შავიშვილები, გოხიძეები, ბასილიძეები, ცეხლაძეები, ბაუჟაძეები, მჟავანაძეები, კაკალაძეები, ნოლაიძეები, შაქარიშვილები, ჯინჭარაძეები, ოთიაშვილები, ქათამაძეები, ინაიშვილები, ჩელებაძეები, ნინიძეები, ცენტერაძეები, ოქროპირიძეები, კვესიეიშვილები, მიქელაძეები, აფხაზოლლები (როგორც თავად ამბობენ), მამისეიშვილები, ხახუტაიშვილები, მახარაძეები, მესხიძეები, ხინიკაძეები, თხილაიშვილები, მონყობილები, გოლომანიძეები, ბეჟანიძეები, ბაუჟაძეები, ცივაძეები, ელიაძეები, ტაკიძეები, შავიშვილები, გოხიძეები, უსტალიშვილები, ჭალმაკაძეები, მორჩილაძეები, კონცელიძეები, მეგრელიშვილები, კილაძეები, რომანაძეები, გეგიძეები, პაპუნაიშვილები, კაკალაძეები, ბოლქვაძეები, ვერულიძეები, მურვანიძეები, ხაბაზები, კენჭაძეები ა.შ.



ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლები დღემდე ყვებიან იმ ტრაგედიის შესახებ, რაც მათს წინაპრებს დაატყდა თავს: ალამბრიდან წამოსული... ცეცხლაძეები ვართ. ჩვენ იქიდან 1882 წელში ვართ გადმოსული. ჩემი ბაბუაი, ხუსეინ გოგიტიძე, ალამბრიდან გადმოსულა ოჯახით. ჩემი მამა აქ დეიბა-და-მაჰმუდაი. ნენეე გამოვდა შვიდი წლის. ბაბუას დუუტეგია აქა ნენეე; წესულა, ყველას გამეყვანო. საზღვარი ჩაკლეთილა. ბეჟიაფხე (ბეჟანიძე) იყო ნენეე. სულთანაა ერქვა; დეიდაა სახელი იყო ემინეე. რუს ჰარბში ჩემი ძმაა ასკერში იყო. ბათუმში დარჩა ცხემვანს ერთ წელიწადს დარჩა, მემრე აქ გამოვდა – მოგვიყვა 93 წლის სულეიმან ჯინჭარაძე სოფელ დუაჟერიდან.

თურქეთში, ფაცის სოფლებში, გაიგონებთ ამაყად ნათქვამს: „მე ცეცხლაიფხე ვარ, მე - ინაიფხე...“ დიახ, ეს ქალები არინ ინაიფხეები, ცეცხლაიფხეები, შავიფხეები, ხახუტაფხეები. ასე თამამად აცხადებენ მუჰაჯირთა შთამომავლები მამის გვარეულობიდან წარმომავლობას: „შაბანაის ცოლი მჟავანაფხე იყო; აი, ფატმა ხაბაზიფხეს ჯეიზიდანაა (თურქ. მზითევი).“ **ფხე-** სუფიქსი ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველებაში ცოცხალი მორფემაა. აღსანიშნავია, რომ ქალის გვარობრივი წარმომავლობის გადმოცემა ქართველურ ენათა უძველესი ვითარების ამსახველია (ჩანტლაძე, 2008: 76-78).

**ფხე-** ტრადიციულად მამისეულ გვარს ერთვოდა. მაგალითად: ინაიფხე, ხახუტაფხე, ცეცხლაიფხე... და გადმოსცემდა გათხოვილი ქალის ნათესაობისადმი კუთვნილებას, მამის გვარეულობიდან წარმომავლობასა და ვინაობას (მგელაძე, 1998: 3).


ინაიფხე მნიშვნელობით იგივეა, რაც ინაიშვილის ასული (ქალი). დღეს ქობულეთში **ფხე-**თი ნაწარმოები გვარები გამოიყენება ქალის კაპასი ხასიათის გამოსახატავად, რაც აღნიშნული ფორმატისათვის მეორეული დატვირთვაა (შდრ. ჯორბენაძე, 1989:).

ბათომიდან წამოსულან პირველათ ბურსას. ფადიშაჰმა ასწავლა- ვერ მოსთავებ მაგინს ბურსას აღარ წეიყვანონო 10 წელიწად გემში ყოფილან, მემრე დააპნია... ორი ძმაა ერთად არ გამუყვანინან გარეთ. ზოგი ორდში, ფაცას ჩამოსულან. თოქათიდან ჩამოსულან ენ კაე იერი დუაერი ყოფილა. ვინ წამეიყვანა ხალხი? ვინცხას ჯიბეში ფული ქონდა, იი წამოვდა. ზოგი უკან გესულა (**შევქი კაკალაძე. 64 წლის. სოფ. თახთა-ბაში**); ნენეეს ნენეე ბათომიდან გამოსულა, ბალანაა ყოფილა, უსტალიაფხე. ნენეს „ფაცანას“ დაარქუმდენ (**რეჯებ ხახუტაიშვილი. 80 წლის. ქ. ფაცა**); დიდნენეე გზაში დაბადილა. იგი იტყოდა ჩვენები უკან უნდა გესულიყვენო და ვერ გევდენ. ნენემისი იტყოდა ფახირები ჩუუმარხიან და გევალთ ვნახავთო. კიდობანი გამუუტანიან აქა (**საბიე ქათამაძე. თურქეთი, ქ. ფაცა. 76 წლის**);

ჩემი ბაბუაას ბაბუაე სეიდალა ინაიშვილი გამოსულა ჩუ-რუქსუიდან. ცხენის ნალები უკულმა დუუჭედებია, გამოქცეულა, მისი შვილების და ცოლის ერთგან გამოსულა (**ზაათი ინაიშვილი. 52 წლის. თურქეთი, ქ. ფაცა**).

ჩვენები რუმ გამოსულან, სამ თვეს ჩადრებში უცხოვრიან, თურქები მოვდენ, მუსლიმანები გამოსულან და ენა არ იცია-ნო. ერზრუმიდან თერჯანს დარჩენ. შვიდ წელწადს ქერი ჭამეს, ვერ მიეჩვიენ და ვორი-სამი ბალანაა მოკტა. იტირებდენ ბაღნები. თოქათიდან ამასიაში, მემრე ფაცას. აბდულხამიდს გამუუგზანია: გულჯემალ გემით. ალი ფაშას ბურსას უნდა წეიყვანა ყველაი, მარა ზოგი აქ დუუტევიან, ზოგი გონჯა გამხთარა და იმიზა ბურსას აღარ წუყვანია. აგენი ერთათ არ გავაჩეროთო. დააპნია (**ხასან-თახსიმ ბეჟანიძე. 86 წლის. თურქეთი, ფაცა, სოფ. კაბახტარი**).

თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგ მუჰაჯირი ქართველების, კერძოდ, ქობულეთელების შთამომავლები საუცხოოდ ფლობენ ქართულს. ქართველ მუჰაჯირებს სამშობლოდან თან წაუღიათ ტრადიციები, მეტყველება, ფოლკლორი. უცხო მინაზე შექმნილ „პატარა საქართველოში“ კი დღესაც ცდილო-



ფაცის ბუხრის წარწერა

ბენ შეინარჩუნონ საერთოქართული ზნე-ჩვეულება და მშობლიური ენა, მადლიანი, ძარღვიანი ქართული სიტყვა.

თურქეთის ქალაქ ფაცის სოფლების უმეტესობა ქობულეთელი მუჰაჯირებითაა დასახლებული. მუჰაჯირად გახიზვნის შემდეგ უცხო გარემოში მეტად გამძაფრებიათ მამული-სა და მშობლიური ენის სიყვარული და გაფრთხილებიან მას. ამ ხსოვნამ გადაარჩინა ჩვენებურები უცხო ტომში აღრევას და შეანარჩუნებინა საკუთარი იდენტობის ძირითადი ნიშანი - ქართული ენა და ასევე კიდევ ერთი ძირითადი კომპონენტი ეროვნული თვითდამკვიდრებისა - ქართულად წერა.


2009 წელს ფაცის სოფელ კაბახტარს ვენვიეთ. ბიძაჩემმა, ფიქრი შენდურმა (ხახუტაიშვილმა) ფაცის რაიონის სოფელ კაბახტარში ხასან-თახსიმ ბეჟანიძესთან მიმიყვანა. წინაპართა მიერ აშენებულ საცხოვრისში, ბუხრის სარტყელზე კარგადაა შემონახული „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული წარწერა.

ბუხრის წარწერა ამოკვეთილია და შესრულებულია „ქობუ-

ლურ-აჭარული დედაბრული ხელით“. სახლის მეპატრონის, მუჰაჯირთა შთამომავლის, ხასან თახსიმ ბეჟანიძის თქმით, ოსტატი „გამკეთებლის“ გახსენებას ითხოვს. წარწერის შინაარსი ამგვარია: **ამ ქემერის ამშენებელს გახსენება უნდა** (ქემერი-თურქ., ბუხრის სარტყელი). სრულყოფილად მხოლოდ სამი სიტყვა ამოვიკითხეთ: **ამუ ქემერისუ .... უნუდა**. წარწერის დანარჩენი ნაწილი ჩვენთვის გაურკვეველია, რადგან ქარაგმის ტიპის ნაკვეთთა ქვეშ მხოლოდ შემდეგი ასოები იკითხება: **ბ, ხ, ი....**ერთი რამ ცხადია, ეს იმ მშობლიურით შესრულებული წერაა, რომლის ერთგულებამაც დღემდე მოიყვანა ოდესლაც თურქეთში გადასახლებული მუჰაჯირი ქართველობა. მათმა შთამომავლებმა მოახერხეს ეროვნული ცნობიერების შენარჩუნება. ისინი თავს ეთნიკურ ქართველებად მიიჩნევენ. უხარიათ, ეამაყებათ, უკვირთ, რომ ასე შემოინახეს, გაუფრთხილდნენ ძვირფას საგანძურს – ქართულ ენას, მშობლიურ ანბანს. ისლამის მიღების შემდეგ თურქეთში მცხოვრები ქართველების ცხოვრების წესმა გარკვეული ცვლილებები განიცადა, მაგრამ ეთნიკურად მათი დიდი ნაწილი მაინც ქართველად დარჩა. ძირითადად, ქართულია მათი ტრადიციულ-ყოფითი კულტურა.

ფაცაში ნაპოვნი ბუხრის ლაპიდარული წარწერა ზოგადქართული ელემენტებით ხასიათდება: წრიული დისკო, ორნამენტები რელიეფურია. აქ წარმოდგენილია მრგვალი წრე-დისკოების კომბინაცია. სიმბოლო-ნიშანი მზის გამოსახულებაა. ორნამენტირებული არშია ქემერს ირგვლივ შემოუყვება; საზოგადოდ, მზებორჯღალათი მზისა და ცეცხლის მსგავსება იყო გამოხატული. მნიშვნელოვანია მცენარეული მოტივიც. სამი ამოზრდილი რტო ასევე წრე-დისკოთი ბოლოვდება.

რაც შეეხება არაბულ წარწერას, თავში იკითხება „აღლაჰ“. შემდეგ კი – „მააშააღლაჰ“ (ანუ შემოკლებით „მაშაღლაჰ“). შემდეგ კი დათარიღებულია, სავარაუდოდ, ჰიჯრის წელთაღრიცხვით 1317 წელი. რახან ჰიჯრის წელთაღრიცხვით ახლა 1443 წელია, შესაბამისად, წარწერის თარიღი სწორედ ემთხვე-



ფაცის ბუხრის ორენოვანი წარწერები  
(ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელითა და არაბულით)

ვა მუჰაჯირთა ფაცაში მიგრაციას. აღნიშნული პროცესი კი XIX საუკუნის ბოლოს დაიწყო. ფაცის ბუხრის წარწერა, ისევე როგორც ოფიციალურ დოკუმენტზე „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელრთვები, მეტყველებს, რომ ამგვარი წერა მეტად მშობლიური იყო ქობულეთ-აჭარის მკვიდრთათვის, თუმცა ძნელბედობის ჟამს მხოლოდ ქალებს ხელწიფებოდათ იმგვარი ტექსტების გადაწერა, რომლებიც მათი ყოფისათვის განუყრელი ატრიბუტი იყო. საამისო მოცლილობა მამაკაცებს არ ჰქონდათ. ამის დასტურია ქალების მიერ შესრულებული დღემდე შემორჩენილი პირადი წერილები და ავგაროზები.

ქობულეთელი მუჰაჯირის მიერ ფაცის ბუხარზე შესრულებული წარწერა, რომელზეც მისი შთამომავლები დღემდე ამყად საუბრობენ, უნიკალურია. იგი უტყუარი ნიშანია უცხო გარემოში თვითდამკვიდრებისა და განსხვავებული კულტურული თუ რელიგიური იდენტობის ეთნოსთა შორის კომუნიკაციისაც.


კულტურული მეხსიერება ეროვნული ცნობიერების უმთავრესი განმსაზღვრელი ნიშანია და, როგორც ასმანი ამბობს, კულტურა არის „წარმომავლობის შემაჩერებელი სადაზღვევო სისტემა საყოველთაო დავიწყების წინააღმდეგ“ (ვიმონმებთ თანდაშვილის მიხედვით, თანდაშვილი, 2016: 25). იგი მეხსიერების უმაღლეს ფორმად კულტურულ მეხსიერებას მიიჩნევს.

მუჰაჯირთა ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის ნათელი დასტურია წარწერები საფლავის ქვებზე. ეპიტაფიაზე მითითებულია გარდაცვლილის წარმომავლობა: ბათუმი, ზარაბოსელი. საუბარია ქობულეთის ერთ-ერთ სოფელზე.




კ) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელრთვები

მეტად მნიშვნელოვანია ხელრთვები არაბულით შედგენილ ნასყიდობის დოკუმენტებზე. არსებული დოკუმენტები დღემდე ინახება ბაჯელიძეების ოჯახში (ჩვენ ის ქობულეთელმა ირინა ბაჯელიძემ გადმოგვცა). ცხადია, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერა ხელენიფებოდათ არამხოლოდ ქალებს, თუმცა ამ შემთხვევაში ოდენ გრაფემებია დადასტურებული და არ არის ის პრინციპები გატარებული, რომლებიც „ქობულურ-აჭარულ დედაბრულ ხელს“, ამგვარ წერას, ახასიათებს.



**ლ) დიმიტრი ბაქრაძის ხელნაწერი**

ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ თავისებურებაზე იმთავითვე მსჯელობდა. იგი წერდა: **Три первые строки письма адчарской женщины, со вставочною буквою і при каждой буквъ слова.** „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერთაგან ფრიად მნიშვნელოვანია დიმიტრი ბაქრაძის ნიმუში, რომელიც ჩვენ ამოვიკითხეთ: **„მის ბინიყინვალება მონიყალე ხემინიფის შივილის დიმიტირი ბატონის შივილის ბირევალი მოკითხივას მოგახსენეფ ჯარიზა“**(ბაქრაძე, 1987).



ოსმალთა ბატონობის პერიოდში ქობულეთ-აჭარაში ქართული წერის ტრადიცია რომ არ მოშლილა, ამას დიმიტრი ბაქრაძის ხელნაწერიც ადასტურებს და ის ხელრთვებიც, რომლებიც ნასყიდობის დოკუმენტებს ახლავს თან. „დედაბრულით“ შესრულებული ხელნაწერი, რომელიც მადლობის წერილია, ადასტურებს, რომ დასახელებულ რეგიონში ამგვარი წერის ტრადიცია იყო და მას აქტიურადაც იყენებდნენ; თუმცა, ცხადია, რომ თუკი გავითვალისწინებთ ოსმალთა ბატონობის იმ ავბედით პერიოდს, მკვიდრი მოსახლეობა, რომელსაც არცერთი წიგნი არ შეუქმნია, მხოლოდ საოჯახო დამწერლობად ქცეული „დედაბრული ხელით“ კერძო წერილების წერასა და მათთვის საჭირო ტექსტების შექმნასლა თუ ახერხებდა. ამას ადასტურებს ზ. ჭიჭინაძის მონათხრობი.

ალამბარში ყოფნის დროს მას მაჰმუდ ეფენდი ხახუტოლლი (კომახიძე) ენახა. ზ. ჭიჭინაძე ცოტა არ იყოს გაოცებული წერს: „აღმოჩნდა, რომ მას ქართული წერა სცოდნიყო, მხოლოდ ჩვენებური“ და იქვე დასძენს, რომ: „ჩვენებურს“ ესენი

მათებურ ქართულს უწოდებენ, რომლის ნიმუშად დ. ბაქრაძის არხეოლოგიურს მოგზაურობაშიც არის მოყვანილი“ (ჭიჭინაძე, 2013: 60).

დიმიტრი ბაქრაძის მიერ წარმოდგენილი მადლობის წერილი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ ტიპური ტექსტია, მისთვის ნიშანდობლივი პალეოგრაფიული ნიშნებით და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მასში ცოცხალი მეტყველების ფორმები დასტურდება, რომლებიც ადასტურებს, რომ ავტორის იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი ენა და დამწერლობაა.

**მ) თედო სახოკიასეული ხელნაწერი**

თედო სახოკია, რომელმაც XIX საუკუნის 80-90-იან წლებში გურიაში, ოსმალთა უღლისაგან გათავისუფლებულ აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში იმოგზაურა, ზედმიწევნით აღწერა ამ ეოქის ქართველთა ყოფა-ცხოვრება. აჭარაში არსებული მდგომარეობის, კერძოდ, აქ არსებული განათლების შესახებ ის წერს: „ოჯახში ყველა ქართულად ლაპარაკობს. მეტადრე ქალები არიან წმინდად დამცველი ჩვენი ენისა. რადგან ნაბეჭდი წიგნები აქეთკენ ამ უკანასკნელ ხანამდე არ მოიპოვებოდა, თუ წერა და ნაწერის კითხვა იცოდნენ, ისევ ქალებმა: აქაური ბეგების დეებმა, უფრო ხანშიშესულებმა. მდაბიოთა შორის ძველებური წერის მცოდნე იშვიათია დღესაც“ (სახოკია, 1985: 235). იგი საგანგებოდ საუბრობს „მეტად დაშორებული აწინდელის წერის“ შესახებ და დასძენს, რომ „თვით სახე ამათის ნაწერის ანბანისა მეტად დაშორებულია ჩვენი აწინდელის წერისაზე და შეუჩვეველ თვალისათვის მეტად მძიმე გასარჩევია. იმდროს, როცა ჩვენ ვცდილობთ მრგვალად და ვწეროთ, თითქმის ყოველ ანბანს, ამათ მიერ დაწერილს, სამკუთხედების ხასიათი აქვს“ (სახოკია, 1985:235). ცხადია, თ. სახოკია „დედაბრული ხელის“ განსაკუთრებულობასა და ორიგინალურობაზე საუბრობს. იგი თან ურთავს, როგორც თავად აღნიშნავს, „მაშინდელ აჭარელ ქალების დამწერლობის

ნიმუშს“. აღნიშნული ნიმუში ასევე დაშიფრულია.

თ. სახოკია აღნიშნავს: „როგორც სხვაგან, აქაც ჩვენი ენის ბურჯებად მანდილოსნები ითვლებიან. მათ შორის არის დაცული ძველებური ქართული წერა“ (სახოკია, 1950: 243).

ამჟამად მთავარი მანდილოსნების დახატვის ნიმუში:

აწესებულ გეგმის შესახებ არაა რაიმე  
წყობის რეგისტრაციის შესახებ არაა რაიმე  
აქტიური მონაწილეობის შესახებ არაა რაიმე  
რეგისტრაციის შესახებ არაა რაიმე  
და რეგისტრაციის შესახებ არაა რაიმე

თვით ეს ხელნაწერი ასე იკითხება:

ანუ	ამას მოგახსენებ ჩვენ ყ(ე) რომ ქე თქუით ჩუვენი ქება;
ბანუ	ბიძას ჩუვენს უყვარვართ, უკეთესი არ იქნება;
განუ	გური (?) წელს უხმივართ, რომ არ წუდეთ, არ იქნება;
დონ	დოდო, თლათ უნდა დაუჯდეთ, თლათ ქვეყანა განათლდება.


ტექსტი დაშიფრულია: ანუ – ამას მოგახსენებ ჩვენ ყ(ე) რომ ქე თქუით ჩუვენი ქება; ბანუ – ბიძას ჩუვენს ვუყვარვართ, უკეთესი არ იქნება; განუ – გური წელს ვუხმივართ, რომ არ წუდეთ, არ იქნება; დონ – დოდო, თლათ უნდა დაუჯდეთ, თლათ ქვეყანა განათლდება. ამკარაა, რომ ტექსტი ერთგვარი ანბანთქებაა.

ჩანს, ტექსტი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელითა“ შესრულებული, მაგრამ ავტორი ხმოვანმეტობას არ იყენებს. უნდა ითქვას, რომ ტექსტში სიტყვებს შორის არც ინტერვალი არ დასტურდება და არც სასვენი ნიშნები. ეს უკანასკნელი კი მხოლოდ ერთჯერ გვხვდება სამწერტილის სახით. რაც შეეხება ტექსტში დამონმებულ ყე ნაწილაკს, ის აქ არ არის მოსალოდნელი (ტექსტში მხოლოდ ყ ასო-ნიშანია!). სავარაუდოდ, იგი ზედმეტი.

ნ) რუხსეთ ხანუმ სურმანიძის ხელნაწერი

ფრიად მნიშვნელოვანია „დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები, რომლებიც პროფესორმა რამაზ სურმანიძემ გადმოგვცა. იგი ეკუთვნის რუხსეთ ხანუმ სურმანიძეს, რომელიც 1920 წელს გარდაცვლილა. რუხსეთ სურმანიძე დურსუნ ბეგ სურმანიძის (რამაზ სურმანიძის მამის), გამზრდელი მამიძის, ფადიმეს, დეიდა იყო. ეს უკანასკნელი ცოლად ჰყავდა შერიფ ბეგ ხიმშიაშვილს. რუხსეთს შვილი არ შესძენია და შერიფ ბეგს დაშორებია. რუხსეთი ცხოვრობდა ჭვანის რაიონის სოფ. ჭალაში.

ტექსტი „დედაბრულითა“ შესრულებული და ძნელად იკითხება. წერის თავისებურებით იგი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებულ ხელნაწერებს ჰგავს. ქალაქის დაზიანების გამო ჩვენ მხოლოდ რამდენიმე სიტყვის ამოკითხვა შევძელით: ...თათარი .... ქართველი ხუვანითქარი... შე გენაცუვალე... დელოცა შენი ...



Handwritten text in a cursive script, possibly a historical record or account. The text is written on aged, yellowish paper and is mostly illegible due to fading and bleed-through from the reverse side. A horizontal line is drawn across the top of the page.

Handwritten text in a cursive script, similar to the previous page. The text is written on aged, yellowish paper and is mostly illegible due to fading and bleed-through from the reverse side.

Handwritten text in a cursive script, likely a historical or religious document. The text is written in dark ink on aged, yellowish paper. The script is dense and difficult to decipher, but appears to be a continuous passage of text. The paper shows signs of wear, including discoloration and some staining.

Handwritten text in a cursive script, likely a historical or religious document. The text is written in dark ink on aged, yellowish paper. The script is dense and difficult to decipher, but appears to be a continuous passage of text. The paper shows signs of wear, including discoloration and some staining.



## დასკვნები

ხელნაწერი მემკვიდრეობის საგანძურში დიდი ადგილი უჭირავს ქალის ხელით გადაწერილ მანუსკრიპტებს, რომლებიც ცუდი მხედრულითაა შესრულებული. ამგვარ წერას ტრადიცია „დედაბრულ ხელს“ უწოდებს.

დღემდე ცნობილი იყო, რომ ტერმინი „დედაბრული ხელი“ პირველად სიმონ ჯანაშიამ გამოიყენა 1946 წელს. 1948 წელს ნიკო ბერძენიშვილმა, სიმონ ჯანაშიამ და ივ. ჯავახიშვილმა ის დაუკავშირეს გამაჰმადიანებას, თუმცა ეს ტერმინი არ გვხვდება თავად ივ. ჯავახიშვილის „ქართულ დამწერლობათმცოდნეობაში.“ ჩვენ მიერ მოპოვებული მასალების თანახმად, აპოლონ წულაძე მას იყენებს 1916 წელს, ასე რომ, აღნიშნული ტერმინი გაცილებით ადრე, მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, იყო ცნობილი.

კვლევის შედეგად „დედაბრული“ ხელნაწერების ერთი დიდი ნაწილი პალეოგრაფიული და ლინგვისტური თავისებურებების გამო ცალკე გამოვყავით და „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ვუწოდეთ. იგი მხედრული ანბანის მოდიფიკაციაა, მაგრამ საკმაოდ ორიგინალური დანერგობაა. ამგვარი წერის მანერითაა შესრულებული პირადი წერილები, ავგაროზის ტექსტები, ანბანის ნიმუშები ხელრთვები და ა. შ. ახალ კულტურულ გარემოში „დედაბრული ხელმა“ შეიცვალა გრაფიკული და ლინგვისტური მახასიათებლები. პალეოგრაფიული ნიშნების მიხედვით დამწერლობის ეს მეტად თვითმყოფადი და თავისებური, ჭეშმარიტად უნიკალური სახეა. სხვა ამგვარი ხელნაწერებისაგან განსხვავდება იმით, რომ **1. უშუალოდ უკავშირდება ოსმალთა ბატონობას და 2. განირჩევა პალეოგრაფიული ნიშნებით. ესენია: ასოთა კუთხოვანი მოხაზულობა, ხმოვანმეტობა, სიტყვების გაუმიჯნაობა, უინტერვალო წერა და სასვენო ნიშნების უქონლობა.** ეს კი საფუძველს გვაძლევს, მას ვუწოდოთ საიდუმლო დამწერლობის ერთ-ერთი სახე.

„დედაბრული ხელით“ წერის ტრადიციას, ბუნებრივია, გაცილებით ადრე უნდა ჩაჰყროდა საფუძველი. ის აჭარაში ოსმალთა ბატონობის პერიოდს უკავშირდება. ისტორიული რეალობის გამო გადამწერები იძულებული იყვნენ, სახარების შემცველი ავგაროზის ტექსტები „გარდაენუსხათ“ და გაესაიდუმლოებინათ. წერის ამ განსაკუთრებული სახის ჩამოყალიბების საფუძველიც სწორედ ეს უნდა ყოფილიყო. ეს გარკვეული სოციალური ჯგუფის, პროფესიული წრის მეტყველებრივი ნაირსახეობაა, რიტუალური არგოა, ნათქვამის შესაფარავად შექმნილი. დაშიფრული გამოთქმები მხოლოდ შემლოცველისათვის უნდა ყოფილიყო გასაგები. გასაიდუმლოებისთვის სხვადასხვა პრინციპი გამოიყენებოდა. სავარაუდოდ, ეს პრინციპები კარაბადინებიდან პირად წერილებში გადავიდა.

ღირსსაცნობია, რომ ოსმალთა ბატონობის პირობებში ქართული ენის და ცნობიერების შენარჩუნება ქალმა იტვირთა; მან აუცილებელი ქრისტიანული მწერლობის ძეგლები გადაწუსხა, ხელით წერილი განძი შექმნა. ეს იყო ეროვნულ-ცნობიერებამინავლული ხალხის გადარჩენის მცდელობა, ეროვნული თვითდამკვიდრების ერთ-ერთი კომპონენტი.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული წერილის ფრაგმენტი პირველად 1873 წელს (რუსეთ-თურქეთის ომამდე) დ. ბაქრაძემ გამოაქვეყნა. 1908 წელსაა გამოგზავნილი მუჰაჯირი ქალის წერილი ავგაროზის წიგნთან ერთად თურქეთიდან; ამავე პერიოდს ეკუთვნის აჭყვისთაველი რუქიე რომანაძის (1900–1988 წწ.) პირადი წერილები, ასევე ბათუმის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცული არაბული ლოცვების შემცველი ხელნაწერები; 1920 წელს გარდაცვლილი ჭვანელი რუხსეთ სურმანიძის ხელნაწერი; 1948 წელს ნ. ბერძენიშვილმა მუჰაჯირი ქალის წერილი გამოაქვეყნა; გასული საუკუნის 40-იანი წლებისაა ქობულეთელი ქალების (ფატყუმე მიქელაძე და ხოშნეთ ბაჟუნაიშვილი) ანბანის ნიმუშები და პირადი წერილები. 1950 წელს თედო სახოკიამ ამგვარი ნიმუში ქედაშიც დაადასტურა. ბოლო დროს „დედაბრული ხელით“ შესრულებული

ბული ავგაროზის შემცველი ხელნაწერი აღმოჩნდა ქობულეთში, მეგრელიძეების ოჯახში, მნიშვნელოვანია ბაჯელიძეების ოჯახში დაცული არაბულენოვანი ნასყიდობის დოკუმენტები „დედაბრული“ ხელრთვებით. უფრო მეტიც, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ლაპიდარული წარწერა (ბუხრის სარტყელზე) თურქეთში ქობულეთელ მუჰაჯირთა საცხოვრისში აღმოვაჩინეთ.

ამდენად, „ქობულურ-აჭარული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები ოსმალთა ბატონობის, კერძოდ, გამაჰმადიანების შემდგომი პერიოდისაა და შესაბამისად, ყველა ის ხელნაწერი, რომლებიც ხელთ გვაქვს, XIX-XX საუკუნეებისაა.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ფენომენია: საკმაოდ ორიგინალური მხედრული მძლავრი ფაქტორი გახდა ეთნიკური ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში სრული ეროვნული გადაგვარებისაგან.

შეიძლება ითქვას, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ეთნოსის მიერ გაცნობიერებული, გააზრებული მოვლენის შეფასებითი დამოკიდებულებაა, წერითს მეტყველებაში გამოხატული; საზოგადოებრივი ცნობიერებაა ენობრივად ხორცშესხმული; კულტურული მეხსიერებაა, რომელიც ეთნოსის საზღვრებს ადგენს. როგორც ჰუმბოლდტი იტყოდა, ენით უშუალოდ გამოიხატა ერის სული.

თავად ხელნაწერი მემკვიდრეობა სრულყოფილად ასახავს ქობულეთ-აჭარის კულტურულ და სულიერ მდგომარეობას ოსმალთა ბატონობის პერიოდში. აქ ხელნაწერი წიგნის ტრადიცია ოსმალთა ბატონობის პერიოდშიც არ მოშლილა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, მისი შენარჩუნება ისევ და ისევ ქალს უკავშირდება. მან იტვირთა ქართული ენის გადარჩენა, ქართული ცნობიერების შენარჩუნება. ეს მოვლენა ეთნოლინგვისტური იმუნიტეტის გამოხატულებაა, კომუნიკაციის ეროვნული სპეციფიკაა.

თუ რა აუცილებელი ნიშნები გახდა საჭირო იდენტობის გა-

მოსახატავად და შესანარჩუნებლად, კარგად ჩანს „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის თავისებურებებში.

მძიმე ისტორიულ პირობებსა და გარკვეულ სოციალურ ჯგუფში შექმნილი „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ წერის თავისებურებათა კვლევა საინტერესო აღმოჩნდა არა მხოლოდ პალეოგრაფიისა და ლინგვისტიკის, არამედ სოციო-და ფსიქოლინგვისტიკის თვალსაზრისითაც. ამგვარი „ხელის“ შექმნის აუცილებლობა უკავშირდება სოციოლინგვისტიკის ზოგად პრობლემათაგან ერთ-ერთს, ენის სოციალურ და პროფესიულ დიფერენციაციას. კომუნიკაციის ამ ეროვნული სპეციფიკით კოლექტიური მეხსიერება შეიქმნა.

ამგვარად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები ერის კულტურის, მისი მსოფლხედვის მაუწყებელია. ცხადია, ქობულეთ-აჭარაში, მიუხედავად ძალმომრეობისა, ეროვნული სულისკვეთება, თვითშეგნება არ მოდუნებულა. მისი გადარჩენა ქალმა იტვირთა და „ჩვენებურ“ წერაში, წერითს მეტყველებაში კოდირებული ცნობიერება, კოლექტიური მეხსიერება წარმოგვიდგინა. ამჟამად, რომ „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით წერა“ უნივერსალურ კულტურულ ინფორმაციას შეიცავს. როგორც პაული აღნიშნავდა, ეს ხალხის „ფსიქიკური შემოქმედებაა, ენაში უკუფენილი“.

„ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ ფენომენია, კონკრეტული სოციუმის სოციოკულტურული რესურსია. საკმაოდ ორიგინალური მხედრული მძლავრი ფაქტორი გახდა ეთნიკური და ეროვნული ერთიანობის შეგნებისა, რასაც არაერთხელ გადაურჩენია ქართველობა თავისი ისტორიული არსებობის განმავლობაში სრული გადაგვარებისაგან.

კოლექტიური მეხსიერებისა და თვითშემეცნების, იდენტობის ასეთივე ნათელი დასტურია თურქეთში, ფაცის რაიონის სოფელ კაბაქტალში მოპოვებული ბუხრის სარტყლის წარწერა. იგი მუჰაჯირთა ისტორიული მეხსიერებისა და იდენტობის ნათელი დასტურია.

ამრიგად, „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“, რომელიც ოსმალთა ბატონობის პერიოდში შეიქმნა, იდენტობისა და ისტორიული მეხსიერების ნათელი დასტურია. ახალ სოციალ-ოკულტურულ გარემოში მან შეიცვალა გრაფიკული და ლინგვისტური მახასიათებლები. მხედრული ანბანის მოდიფიკებული, ორიგინალური დამწერლობის მეშვეობით ისტორიული ავბედობის ჟამს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნების ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი გახდა.

## RESUME

Women-scribed manuscripts, which are written in bad Mkhedrulian occupy a very significant place in the manuscript heritage of Georgia. This kind of writing style is called “Dedabrulian Handwriting”.

The interest in this issue arose after encountering manuscripts of Dedabrulian Writing style in Batumi State Museum and this interest increased after Ms. Shushana Putkaradze delivered information about the tidings existing in Georgian Cloister in Istanbul. While making the research, we also encountered manuscripts in KobuleTi Museum and a lapidary inscription in Turkey.

During the research, one part of manuscripts was separated from others because of its linguistic and palaeographic peculiarities and we called it “Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting”. This style is a modification of Mkhedrulian Script and it should be admitted that it’s a very original way of writing. Some private letters, amulet texts, alphabet samples etc. are written using this writing manner. In new cultural surroundings “Dedabrulian Handwriting” changed its graphic and linguistic characteristics. According to palaeographic marks, this kind of writing is very independent, distinctive and unique. ‘Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting’ differs from other kinds of handwritings in the following ways: 1. It is directly connected to the Reign of Ottoman Empire and 2. It is distinctive with its paleographic marks. Among these paleographic peculiarities are: angular outline of letters; extra vowels; non-separated words; no intervals; no punctuation marks. These differences give us basis to call this style one of the ways of Secret Writing.

Creation of “Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting” should have originated quite a long time ago. During the reign of Ottoman Empire, scribes had to secretly rewrite necessary amulets containing testament texts in order to conceal the information of

these texts. We think that, this fact became a basis for creating "Dedabruilian Handwriting". This is kind of ritual argot and they conveyed concealing aims. This kind of concealed expressions should have been clear only for charmers. There should have been different concealment principles. Supposedly, these principles were lately transferred from amulets to private letters.

It should be noted that during the reign of The Ottoman Empire, a woman managed to maintain Georgian Language and Georgian Consciousness. A woman scribed Christian texts and in this way she created Handwritten Heritage. This was the attempt to save Georgian soul and establish themselves as a nation.

The first fragment of "Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" was published in 1873 by D. Baqradze (before the war between Russia and Turkey). In 1908, a letter of Muhajir woman was sent with the book of amulets. Private letters of Ruqie Romanadze(1900-1988), manuscripts containing Arabian incantation preserved in Batumi State Museum and Rukhset Surmanidze( died in 1920) handwriting also date back to 1908. In 1948 N. Berdzenishvili published a letter of Muhajir woman; In the 40s, Kobuletian women Phatkume Miqeldze and Khoshnet Bazhunaishvili created the samples of the alphabet and some private letters. In 1950, Tedo Sakhokia confirmed the existence of this kind of sample in Keda. Recently, we have found out the "Dedabruilian" handwritten document containing some amulets in the family of the Megrelidzes in Kobuleti. The Badjelidzes also preserve a Arabic purchase deed that contains some "Dedabruilian" writing parts. Moreover, we have discovered a lapidary inscription on a fireplace zone in Muhajir living space in Turkey.

All the discovered documents date back to XIX-XX centuries.

The texts of manuscripts are the samples of the living speech and they are very valuable for Georgian Literal Language History, Dialectology, Stylistics and Linguoculturology. These kinds of texts are very fertile empirical material for the language history. The

most important factor is the fact, that "Dedabruilian" writing was created during the hardest days of history and its function was to maintain national identity, because of this fact, it can be considered as a phenomenon. These manuscripts emphasize the role of a woman in this ancestral field.

"Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" is a phenomenon: It became a very powerful and original Mkhedrulian factor of the consciousness of Ethnic Unity and this saved Georgian people from the total national degeneration several times.

"Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" is the written expression of nation's evaluation of events. It is the consciousness of the ethnos given in the written form. And, we want to recollect Humboldt ideas: "Language shows nation's soul".

The Heritage of the Manuscripts perfectly describes cultural and spiritual conditions of Kobuletian-Adjarian people during the reign of the Ottoman Empire. Scribing tradition was not even stopped during their reign and the most important detail is the fact that it is directly connected to the role of the woman. She managed to save Georgian national consciousness. This is the expression of ethno-linguistic immunity and the national specificity of the communication.

"Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" vividly shows the marks which were important for expressing and preserving national identity.

The creation of "Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" in very harsh historical conditions turned out to be very important not only for palaeography and linguistics but also for Socio -and Psycholinguistics. It is directly connected to the social and professional differentiation of the language. This specificity promoted creation of collective memory.

So, "Kobuletian-Adjarian Dedabruilian Handwriting" is the herald of nation's culture and its ideology. It is obvious, that despite a lot of pressure, national soul in Kobuleti-Adjara did not disappear.

It was saved by a woman and she was able to hide collective memory and consciousness in secret way of writing. It is also vivid, that "Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting" contains universal cultural information and as Paul said: "It's the mental creativity reflected in the language".

"Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting" is a phenomenon, the sociocultural resource of the specific social group. Original Mkhedrulian became a very powerful factor of the consciousness of Ethnic Unity and it saved Georgian people from the total national degeneration several times.

The excellent example of national memory and self-consciousness is the inscription found on a fireplace zone in Turkish village Kabaqtagh.

All in all, "Kobuletian-Adjarian Dedabrulian Handwriting" created during the reign of the Ottoman Empire is the evident proof of identity and historical memory. In new cultural surroundings "Dedabrulian Handwriting" changed its graphic and linguistic characteristics.

This independent, distinctive and unique modification of the Mkhedruli Script became a very strong factor for preserving nation's self-originality during the hardest times.

## ბამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1. **ანდრონიკაშვილი, 1996:** ანდრონიკაშვილი მ., ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გამომცემლობა „ირმისა“, თბ.;
2. **არაბული, 2005:** არაბული ა., ქართული მეტყველების კულტურა, თბ.;
3. **ახვლედიანი, 1978:** ახვლედიანი ხარიტონ, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი;
4. **ბარამიძე, 2011:** ბარამიძე მ., მასალები სამხრული კილოების ფრაზეოლოგიზმების ლექსიკონისთვის (შავშეთის ქართულის მიხედვით) | საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „კულტურათმორისი დიალოგები,“ შრომები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თელავი;
5. **გურგენიძე, 1973:** გურგენიძე ნ., აღმოსავლური წარმოშობის ლექსიკური ელემენტები აჭარულსა და გურულში, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ.;
6. **ბაქრაძე, 1987:** ბაქრაძე დიმიტრი, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში., გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათუმი;
7. **ბერძენიშვილი... 1948:** ბერძენიშვილი ნიკო, ჯავახიშვილი ივანე, ჯანაშია სიმონ. საქართველოს ისტორია. ნაწილი I. სახელგამი. თბილისი;
8. **ბურჭულაძე, 1914:** ბურჭულაძე გრ., სახალხო გაზეთი
9. **დავითაძე, 1990:** დავითაძე ე., სოფლის აღმაშენებელი, ნ. 1., თბილისი;
10. **დანელია, სარჯველაძე, 1997:** დანელია კ., სარჯველაძე ზ., ქართული პალეოგრაფია, თბ.;
11. **თანდილავა, ცეცხლაძე, 2015:** თანდილავა ლ., ცეცხლაძე ნ., გულ-კომპონენტიანი ფრაზეოლოგიზმები ქართულსა და თურქულში, ლინგვისტურ მეცნიერებათა სწავლების ინტერნაციონალური სიმპოზიუმის მასალები, თურქეთი;

12. **თანდაშვილი, 2016:** თანდაშვილი მ., ენის დიგიტალური დოკუმენტირება (შესავალი დოკუმენტაციისტიკაში), შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი;

13. **თოფურია, 1979:** თოფურია ვ., გრამატიკულ მოვლენათა ერთგვაროვანი პროცესი ქართველურ ენებში. შრომები ტომი III თბ.;

14. **იმნაიშვილი, 1982:** იმნაიშვილი ი., ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია. ტომი I. ნაწილი II. თბ.;

15. **იმნაიშვილი ... 1996:** იმნაიშვილი ი., იმნაიშვილი ვ., ზმნა ძველ ქართულში I, მფ.;

16. **კიკნაძე, 2006:** კიკნაძე ზ., ქართული ფოლკლორი, თბ.;

17. **მამულია, 2006:** თურქულ-ქართული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. გამომცემლობა „ცისარტყელა“ თბ.;

18. **მაჭახელა, „შაჰინი,“ Macacheli net, dejimler.**

19. **მგელაძე, 2014:** მგელაძე ვლ., პეტრე უმიკაშვილი და ოსმალბისდროინდელი სამხრეთ საქართველო, თბილისი;

20. **მგელაძე, 1998:** მგელაძე ნუგზარ, ფალავა მამია, ფხე-ხე – ისტორიისა და ეტიმოლოგიის საკითხები, ბსუ, შრომები II, ბათუმი;

21. **ნიჟარაძე, 1971:** ნიჟარაძე შ., ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა. G გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“, ბათ.;

22. **ნიჟარაძე, 1975:** ნიჟარაძე შ., აჭარული დიალექტი, ბათ.;

23. **ნოლაიდელი, 1960:** ნოლაიდელი ჯ., „აჭარული კილოს თავისებურებანი“ ბათუმი;

24. **ნოლაიდელი, 1980:** აჭარული კილოს თავისებურებანი, ბათ.;

25. **ოქროშიძე, 1960:** ოქროშიძე თ., შელოცვა - ქართული ხალხური პოეტური შემოქმედება, ტ. I, თბ.;

26. **სარჯველაძე, 1984:** სარჯველაძე ზ., ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი თბ.;

27. **სარჯველაძე, 1976:** სარჯველაძე ზ., XI-XV საუკუნეთა

ისტორიულ დოკუმენტთა ძირითადი ორთოგრაფიულ-ფონეტიკური თავისებურებანი, მაცნე ელს, 2;

28. **ჟღენტი, 1936:** ჟღენტი ს., გურული კილო, თბ.;

29. **სახოკია, 1979:** სახოკია თ., ხატოვანი სიტყვა-თქმანი, გამომცემლობა „მერანი“, თბ.;

30. **სახოკია, 1950:** სახოკია თ., მოგზაურობანი. თბილისი;

31. **სილოგავა, 2008:** სილოგავა ვ., ენციკლოპედია „ქართული ენა“, თბ.;

32. **სურმანიძე, 1996:** სურმანიძე რ., ქართული კარაბადინი. გამომცემლობა „ალიონი“, ბათ.;

33. **სურმანიძე, 2007:** თეთროსანი, გამომცემლობა „ალიონი“, ბათ.;

34. **ფალავა, 1995:** ფალავა მ., ერთი ფონეტიკური მოვლენის შესახებ აჭარულში, ბდუ პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა II სამეცნიერო კონფერენციის მასალები, ბათუმი;

35. **ფუტყარაძე, 1993:** ფუტყარაძე შ., ჩვენებურების ქართული, ბათუმი;

36. **ფრენკელი, 2012:** ფრენკელი ალ., ნარკვევები ჩურუქსუ-ზე, გამოსაცემად მოამზადა, ავტორის ბიოგრაფია, შენიშვნები, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო რამაზ სურმანიძემ, თბ.;

37. **ქავთარაძე, 1964:** ქავთარაძე ივ., ქართული ენის ისტორიისათვის., თბ.;

38. **ლლონტი, 1984:** ლლონტი ალ., ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბ.,

39. **ჩანტლაძე, 2008:** კიდევ ერთხელ – ფხე-ხე სუფიქსისათვის ქართველურ ონომასტიკაში, არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტის 67-ე სამეცნიერო სესია, თბილისი;

40. **ჩელეაძე, 2012:** ჩელეაძე ნ., „დედაბრული ხელის“ თავისებურებების შესახებ, საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელი და პერსპექტივები, აჰმედ ოზქან მელაშვილის დაბადებიდან 90

წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები, თბ.;

**41. ჩხიკვაძე, 2007:** ნ. ჩხიკვაძე, „ავგაროზის ეპისტოლის“ ძველი ქართული რედაქციები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ნესტან ჩხიკვაძემ, თბილისი;

**42. ცეცხლაძე... 2014:** ცეცხლაძე ნ., ხახუტაიშვილი მ., სტილისტიკა, თბილისი;

**43. ცეცხლაძე, 2016:** კალკური ფრაზეოლოგიზმების პრაგმატიკული ანალიზი სამხრულ კილოებში, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რეგიონული სამეცნიერო ცენტრი, შრომები I. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სტამბა. თბილისი, ISSN 2449-2507

**44. ძიძიგური, 1960:** ძიძიგური შ.; საენათმეცნიერო საუბრები. თბ.;

**45. ნულაძე, 1916:** ნულაძე აბ., „ქართველი მუსლიმანები და ქართული წერა“ გაზ. „საქართველო“, #274;

**46. ჭიჭინაძე, 2013:** ჭიჭინაძე ზ., მუსულმან ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, თბ.;

**47. ხაჟომია, 1949:** ხაჟომია თ., ქართული დამწერლობის ერთ-ერთი თავისებური სახე, „მომომხილველი“, I, თბილისი, ტაბ. I-X

**48. ხახუტაიშვილი, 2013:** ხახუტაიშვილი მ., ზმნიზედები ქობულეთურ კილოკავში (მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით), XXXIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თეზისები, თბილისი;

**49. ხახუტაიშვილი, 2011:** ხახუტაიშვილი მ., თანდებულთა ხმარების ზოგი თავისებურება მუჰაჯირთა მეტყველების მიხედვით, რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბილისი;

**50. ხახუტაიშვილი, 2013:** ხახუტაიშვილი მ., ნაწილაკი ქობულეთურ კილოკავში

(მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით), გამომც. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, VII, ბათუმი;

**51. ხახუტაიშვილი, 2014:** ხახუტაიშვილი მ., სალექსიკონო მასალა ქობულეთური კილოკავისათვის (ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლების მეტყველების მიხედვით), გამომც. „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, IX, ბათუმი;

**52. ხახუტაიშვილი, 2015:** ხახუტაიშვილი მ., ინტერკულტურული დიალოგი ერთი ლაპიდარული ნარწერის მიხედვით, ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები, VI, გამომც. „უნივერსალი“, ბათუმი.

**53. ხახუტაიშვილი, 2015:** ხახუტაიშვილი მ., ქრისტიანული აღმსარებლობის ელემენტები ქობულეთელ მუჰაჯირთა შთამომავლებთან, სამეცნიერო კონფერენციის მასალები, გორი.

**54. ხახუტაიშვილი, 2011:** ხახუტაიშვილი მ., ქართველი მუჰაჯირი დედები, ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, პირველი საერთაშორისო კონფერენცია ლინგვოკულტუროლოგია-სა და ანთროპოლოგიაში, ბათუმი;

**55. ხახუტაიშვილი, ფუტკარაძე, 2006:** ხახუტაიშვილი მ., ფუტკარაძე შ., ქობულეთელ მუჰაჯირთა მეტყველების ნიმუშები, ბსუ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი. მე-6 კრებული. გამომცემლობა „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. ბათუმი;

**56. ჯავახიშვილი, 1949:** ჯავახიშვილი ივანე., ქართული დამწერლობათმცოდნეობა ანუ პალეოგრაფია, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ.;

**57. ჯანაშია, 1946:** ჯანაშია სიმ., გიორგი შარვაშიძე, თბ.;

**58. ჯორბენაძე, 1989:** ჯორბენაძე ბ., ქართული დიალექტოლოგია I. თბ.;

**59. ჯიქია, 1964:** ჯიქია ს., თურქულ-ლაზური ენობრივი ურთიერთობიდან, თსუ-ს შრომები ტომი 108. თბ.

## შემოკლებანი

**აბულ. 1973:** აბულაძე ილია, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ.,

**კლარჯ.:** კლარჯული მასალები, მ. ფალავა, მ. ცინცაძე, რსუ-ს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის „კრებული“, ტ. VI, ბათ. 2009;

**ტბეთი... 1977:** ტბეთის სულთა მათიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ, თბ. 1977;

**ფოლკ. ლექსიკონი 1974:** ქართული ფოლკლორის ლექსიკონი ტ. I, თბ.;

**ქსა 1948:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) – კოლექციისა, ტ. 3. თბ.;

**ქსა 1951:** ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ყოფილი მუზეუმის ხელნაწერები (H) კოლექციისა, ტ. 2. თბ.;

<https://tr.wikipedia.org.ge>

## შინაარსი

რედაქტორთაგან -----	3
შესავალი -----	6

### თავი I. „დედაბრული ხელი“ - წერის მანერა

§ 1. „წიგნის წერის ჯელოვნების“ ისტორია საქართველოში ---	9
§2. ტერმინ „დედაბრული ხელის“ შესახებ -----	11
§ 3. ცნობები „დედაბრული ხელის“ შესახებ -----	17

### თავი II. ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი

§ 1. ეპოქა, რომელშიც „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელი“ შეიქმნა -----	26
§ 2. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელის“ პალეოგრაფიული მნიშვნელობა -----	31
§ 3. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერების ლინგვისტური ანალიზი ---	40
§ 4. „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ხელნაწერები -----	54
ა) H ფონდის 1258 ბ ხელნაწერი -----	54
ბ) H ფონდის 1258 ა ხელნაწერი -----	62
გ) ქობულეთის მუზეუმის ხელნაწერი -----	77
დ) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ავგაროზის შემცველხელ ნაწერთა ურთიერთმიმართება -----	93
ე) უცნობი მუჰაჯირი ქალის წერილი -----	97
ვ) ხოშნეთ ბაჟუნაიშვილის ხელნაწერი -----	100
ზ) ფატყუმე მიქელაძის ხელნაწერები -----	101
თ) ბათუმის ხარიტონ ახვლედიანის სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის №851 ფონდში დაცული ხელნაწერები -----	104
ი) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“ შესრულებული ლაბიდარული წარწერა -----	111



კ) „ქობულურ-აჭარული დედაბრული ხელით“

შესრულებული ხელრთვები -----	118
ლ) დიმიტრი ბაქრაძის ხელნაწერი -----	120
მ) თედო სახოკიასელი ხელნაწერი -----	121
ნ) რუსეთ ხანუმ სურმანიძის ხელნაწერი -----	123

დასკვნები -----	129
რეზიუმე (ინგლისურ ენაზე) -----	133
გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები -----	137
შემოკლებანი -----	142